საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№010
(12 080)
15 იანვარი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი



## გოგუა კონტრაქტს დღეს გააფორმებს?

ივანაუსკასი ქართველი ნახევარმცველით კმაყოფილია

2

## აშვეთია ილიჩევსკში ითამაშებს

3

# ბლატერის ახალი იდეა



ზეპის სამუნდიალო რევოლუცია: პენალტები აღარ გვინდა, გადავითამაშოთ

10



# სიონი მოსკოვში მოგებული მიდის

კამერუნელები სტამბოლის გავლით...

3

# კაპელო: ბექჰემს შეუძლია, ივარჯიშოს, მაგრამ აღარ ითამაშებს

გუშინ, "რეალმა" "სარაგოსას" შინ 1:0 მოუგო. გამარჯვება მუდამ ფასობს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ "სანტიაგო ბერნაბეუ" კმაყოფილი დარჩა. ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, სამეფო კლუბმა სამი ქულა სუფთად **ფაბიო კაპელოს** სტილში მოიპოვა.

საინტერესო კი უფრო ის იყო, რაც იტალიელმა მაესტრომ მატჩის წინა დღეს თქვა. მისი კომენტარი **დევიდ ბექჰემის** ამერიკულ ტრანსფერს ეხებოდა: *"მას შეუძლია, ივარჯიშოს "რეალთან" ერთად იმდენი, რამდენიც უნდა, მაგრამ იცოდეს, რომ აღარ ვათამაშებ".*

ესეც, ასე. დონ ფაბიოს უმოტივაციო კაცი არ სჭირდება. ამასობაში კი, პრიმერა დივიზიონი სენსაციებმა მოიცვა. შაბათს, "ბარსელონამ" კატალონიურ დერბიში "ესპანიოლთან" წააგო (1:3), ხოლო გუშინ, მარათონის ერთპიროვნული ლიდერი "სევილია" შინ "მალიორკასთან" შერცხვა (1:2)...



ინგლისი
**ჩელსის ფანები მოურინიოს მხარეზე**

იტალია
**ინტერმა ისტორია გადაწერა**

6-8

დინამო
## უფროსები ბრაზილიაში... ბრაზილიელების ჩამოსაყვანად?

დღეს დინამო ზაპოროჟიეს მეტალურგს ეთამაშება

2

სავარაუდო ტრანსფერები
## ქიქველიშვილი ოლიმპში ივარჯიშებს

2



## ბობოხიძე კრივბასს ვერ მოურიგდა

შემდეგი გაჩერება: ტავრია ან ზარია?

3

კალათბურთი
## ცქიტიშვილის დებიუტი სან ფერნანდოში

ლეგიონერები. კვირის მიმოხილვა

11

ხელბურთი
## ისევ წავაგეთ

ფლეი ოფში რუმინეთი და ლატვია

13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# გოგუა კონტრაქტს დღეს გააფორმებს

## ივანაუსკასი კმაყოფილია

რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა ქართულ წყაროზე დაყრდნობით გუშინ გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **გოგიტა გოგუამ** შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ "ჰართსთან" სეზონის ბოლომდე კონტრაქტი უკვე გააფორმა.

მოხმობილია ედინბურგელთა მწვრთნელის, **ვალდას ივანაუსკასის** სიტყვებიც, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მწვრთნელი ძალიან კმაყოფილი ყოფილა ასეთი ძლიერი ნახევარმცველის შეძენით და სწამს, რომ გოგუას "ჰართსის" გაძლიერება შეუძლია.

ამ ინფორმაციის სიმართლეში ეჭვი იმიტომ შეგვეპარა, რომ ინფორმაცია ჩვენში შაბათს დილით გაჩნდა, გოგიტა კი ედინბურგში შაბათს ღამით ჩაფრინდა, სადაც მას დახვდა ივანაუსკასი და სასტუმროში მიაცილა. გოგიტა გუშინ სასტუმროში იყო და ისვენებდა, თუმცა დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. შეუძლებელი იყო და წარმოუდგენელიც, რომ ედინბურგში ღამის ორ საათზე ჩასულს კონტრაქტის გაეფორმებინა. ბრიტანული ტრადიციების თანახმად, კონტრაქტებს უქმეებზეც ძალზედ იშვიათად აფორმებენ.

სხვა დანარჩენის რა გითხრათ - ივანაუსკასს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველზე მზე და მთვარე რომ ამოსდიოდა, ეს ცნობილი ამბავი იყო. რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტს ედინბურგული კლუბის გაძლიერება რომ შეუძლია, ამაში ეჭვის შეტანაც არ გვსურს. გოგიტას პოტენციალის მოთამაშეს ბევრად ძლიერ გუნდში შეუძლია დამკვიდრება და თავის გამოჩენა. ეს არაა სიახლე. ივანაუსკასი ფეხბურთელს ტყუილად რომ არ მიიწვევდა, ამის მიხვედრასაც არ სჭირდება განსაკუთრებული გამჭრიახობა.



გოგიტა გოგუა

დაბოლოს, რუსული წყაროები ამტკიცებენ, თითქოს ქართველი ფეხბურთელი გასინჯვაზე მიიწვიეს. სანდო წყაროს თქმით, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად წინასწარი შეთანხმება ოფიციალურ დოკუმენტებში აისახება და გოგიტა გოგუა "ჰართსთან" კონტრაქტს სეზონის ბოლომდე გააფორმებს.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# უფროსობა ბრაზილიაში

იმდროს, როცა თბილისის "დინამო" ანთალიაშია მოსამზადებელ შეკრებაზე, კლუბის მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე** და სპორტული მენეჯერი **გია ჯიშკარიანი** ბრაზილიაში არიან. იცით ალბათ, "დინამოსა" და "კორინთიანსს" შორის თანამშრომლობა რომ არსებობს, ჰოდა, "დინამოს" ხელმძღვანელობაც სწორედ ამ კლუბშია. ვიზიტის შედეგი "დინამოში" სამხრეთამერიკელთა გამოჩენა უნდა იყოს. ტყავაძე და ჯიშკარიანი ერთ კვირას დაყოფენ ბრაზილიაში და ლეგიონერთა ჩამოსვლაც მათი დაბრუნების მერე მოხდება.

ანთალიაში მყოფი "დინამო" კი დღეს 17 საათზე მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს. მეტოქე ამჯერად ზაპოროჟიეს "მეტალურგი" იქნება, სადაც ორი ქართველი – **დავით კვირკველია** და **ირაკლი მოდებაძე** თამაშობს.

ლეგიონერები

# ქართველები სკონტოს შეკრებაზე

რიგის "სკონტო" ლატვიის დედაქალაქში შეიკრიბა და სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუნდში არიან ქართველი მცველი **დავით გამეზარდაშვილი** და ნახევარმცველი **რეზო გეწაძე**.

ორივე მათგანმა შაბათს, 13 იანვარს "სკონტოს" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ლიტვის ვიცე-ჩემპიონ "ეკრანასთან". მატჩი ლიტველთა გამარჯვებით 2:0 დასრულდა. გამეზარდაშვილი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, გეწაძე კი 62-ე წუთზე. ჯერჯერობით, ტრავმის გამო არ თამაშობს "სკონტოს" ქართველი მცველი **ზაალ ელიავა**.

გამეზარდაშვილისა და გეწაძის საკითხი ჯერ არ გარკვეულა. გააფორმებენ თუ არა გუნდთან კონტრაქტს, ლატვიელთა თურქული შეკრების შემდეგ გაირკვევა.

ლატვიური ინტერნეტ სააგენტო "ფუტბოლი" იუწყება, რომ ქართველ ნახევარმცველ გეწაძეს "ეკრანასთან" თავი არ გამოუჩენია, თუმცა, ისიც ნათქვამია, რომ რეზომ "სკონტოს" ვარჯიშებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

საავარაუდო ტრანსფერი

# ჭიჭვეიშვილი ოლიმპში ივარჯიშებს

## სიჭინავა ფეხბურთს დაუბრუნდა

საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **თენგიზ სიჭინავა** ბოლოს ბოლნისის "სიონში" თამაშობდა. თუმცა გუნდში დიდხანს არ გაჩერებულა და მისი იქიდან წასვლის შემდეგ ითქვა, 32 წლის ნახევარმცველმა ბუცები კედელზე ჩამოკიდაო. სიჭინავას ფეხბურთიდან წასვლა მაინც გაუჭირდა და როგორც შევიტყვეთ, ამჟამად აზერბაიჯანშია და ერთ-ერთ ბაქოურ კლუბში ისინჯება.

შესაძლოა, აზერბაიჯანშივე გააგრძელოს კარიერა ბოლნისის "სიონის" მცველმა **დავით ჭიჭვეიშვილმაც**. იგი კლუბიდან მოსკოვის ტურნირზე გუნდის გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოუშვეს და დღემდე ვერ გაუგია, რა გახდა "სიონის" გადაწყვეტილების მიზეზი. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მოულოდნელად დაითხოვეს.

ჭიჭვეიშვილის დამატება სურს რუსთავის "ოლიმპსაც". გუნდის ხელმძღვანელებმა მას უკვე კონკრეტული საკონტრაქტო პირობები შესთავაზეს, ფეხბურთელმა კი მოსაფიქრებლად დრო მოითხოვა. თუმცა შეთანხმებამდე მას "ოლიმპში" ვარჯიში შესთავაზეს, რაზეც ფეხბურთელი სიამოვნებით დათანხმდა.

ასე რომ, სავსებით რეალურია, საქართველოს ნაკრების ყოფილმა მცველმა ამ ორიდან ერთ-ერთი ვარიანტი აირჩიოს - მდიდარი აზერბაიჯანული კლუბი "სიმურგი" თუ ამბიციური "ოლიმპი".

# ადრიაანსემ დემეტრაძე გაიხსენა

დონეცკის "მეტალურგი" ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა **კო ადრიაანსემ** ჩაიბარა. მან უკვე ჩაატარა ვარჯიშები და უკრაინულ მედიას პირველი შეხედულებები გაუზიარა.

როგორც აღმოჩნდა, დონეცკელთა დღევანდელი შემადგენლობიდან ის მხოლოდ ოთხ მოთამაშეს იცნობს და ერთ-ერთი მათგანი ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძეა. ადრიაანსეს კარგი მეხსიერება ჰქონია, თორემ რვა წლის წინ როტერდამის "ფეიენოორდში" დემეტრაძის გამოსვლა მას კი არა, ბევრ ქართველ გულშემატკივარსაც არ ახსოვს.

"ვილემისა" და "აიაქსის" ყოფილით ავკაცი შემტევი ფეხბურთის მოყვარულია და "კატენაჩოს" მიმდევარ უკრაინის ფებურთშიც ამ სტილის დანერგვას აპირებს. გუშინწინ დემეტრაძემ პირველად ითამაშა "მეტალურგში". მწვრთნელმა გუნდი ორად გაყო და ერთმანეთს გააჯიბრა. "ყვითლებში" მოთამაშე დემეტრაძემ თავი ვერაფრით გამოიჩინა, თუმცა მისმა გუნდმა 2:1 კი მოიგო. სამაგიეროდ კარგად ითამაშე თანაქალაქელი "შახტიორიდან" ახლახანს გადასულმა ნიგერიელმა ფორვარდმა **ემანუილ ოკოდუვამ**. მართალია აფრიკელს გოლი არ გაუტანია, მაგრამ მწვრთნელს თამაშის შემდეგ არაერთი საქებარი სიტყვა დააცდევინა თავის მისამართით. ასე რომ, დემეტრაძეს მეორე წრეში მეტი მობილიზება და შემართება მართებს ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად.

**დათო მეფარიშვილი**

კლუბები. მეორე წრის წინ. ზესტაფონი

# კოკაიას ჩამოსვლა გადაიდო

შაბათს საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია**. ერთწლიანი განშორების შემდეგ მასთან შეხვედრა ძალიან ბევრ ადამიანს სურდა და ზესტაფონელებმაც გუნდის დამაარსებლის დახვედრა 300-კაციანი სუფრით დააპირეს.

სამწუხაროდ, "ზესტაფონის" თავკაცი უცხოეთში კიდევ ორიოდე დღით გაჩერდა და კლუბის წევრებისა და გულშემატკივრების პრეზიდენტთან შეხვედრა გადაიდო.

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა - ილია კოკაია საქართველოში მაინც დაბრუნდება, ზესტაფონი კი ისე არ წახდება, კიდევ ერთხელ 300-კაციანი სუფრით რომ ვერ დახვდეს.

ჯერჯერობით არც ბრაზილიიდან ჩამოსულა ფეხბურთელი, რომელსაც "ზესტაფონში" გასინჯავენ. დღემდე ელიან გაბონის ნაკრების თავდამსხმელსაც.

11 იანვარს"ზესტაფონმა" მომზადების პირველი ეტაპი ბაკურიანში დაასრულა. მეორე შეკრება 15 იანვრიდან ურეკშია დაგეგმილი, ხოლო ამის შემდეგ გუნდი უცხოეთში გაემგზავრება.

კლუბი კვლავ აქტიურობს შემადგენლობის გასაძლიერებლად. ამ კუთხით სიახლეა ის, რომ "ზესტაფონის" კაპიტანმა **კახა ჩხეტიანმა** კლუბთან თანამშრომლობა კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა.

# ჰამბურგთან შანსი არ მისცეს

შაბათს დუბაიში შეკრებაზე მყოფმა კიევის "დინამომ" პირველი საკონტროლო მატჩი გამართა გერმანულ "ჰამბურგთან". უკრაინულმა კლუბმა ორი განსხვავებული შემადგენლობით ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა - პირველში "დინამომ" ბუნდესლიგის აუტსაიდერს ვერაფერი დააკლო, მეორეში კი "გადაუარა" - 4:1. ჰეთ-თრიქი მიითვალა ახალგაზრდა გამთამაშებელმა **ბალაშ ფარკაშმა**. სამწუხაროდ, კიეველთა თავკაცმა დემიანენკომ "მოახერხა" და მოედანს არ გააკარა ქართველი მცველი **დავით იმედაშვილი**, მის გარდა ჯანმრთელ ფეხბურთელთაგან მხოლოდ ოლეინიკს არ უთამაშია. "დინამოს" ოფიციალური საიტი იუწყება, რომ მათ შანსი შემდეგ მატჩში მიეცემათ. იმედაშვილს თამაშის საშუალება ორი დღის წინათაც მიეცა. დემიანენკომ გუნდი ოთხად გაყო და მინი-ტურნირი მოწყო. ქართველის გუნდი ფინალში დამარცხდა.

ამასობაში კიევში ექიმ **ვლადიმირ მალიუტას** ხელმძღვანელობით ინდივიდუალურად ვარჯიშობს ხუთი დინამოელი, მათ შორის - ქართველი ფორვარდი **ოთარ მარცვალაძე**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იმედაშვილი ჯერჯერობით მხოლოდ თანაგუნდელებთან თამაშებით შემოიფარგლება

გაგრა

# კიევში ითამაშებენ

ხარკოვის "მეტალისტში" ორ ქართველ ფეხბურთელს გასინჯავენ. ერთ მათგანზე უკვე გაუწყეთ. იგი რუსთავის "ოლიმპის" მარჯვენა მცველი **ლაშა მიმინოშვილია**. მეორის ვინაობა კი გუშინ შევიტყვეთ. "გაგრის" ნახევარმცველი, თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშე **ირაკლი სამხარაძე** დუბაიში შეუერთდება უკრაინელებს.

ირაკლი "გაგრაში" ერთი წელია თამაშობს და ფორმა აღიდგინა. იგი შარშან ამ დროსაც უკრაინაში ისინჯებოდა, მაგრამ ერთწლიანმა უთამაშებლობამ კვალი დაატყო, ფიზიკურად ჯერ კიდევ სჭირდებოდა მომჯობინება და უკრაინელებს ამ იმედით დაემშვიდობა.

"გაგრამ" უკრაინულ კლუბში მეორე წევრიც გაუშვა - 16 წლის თავდამსხმელი, წყალტუბოს საფეხბურთო სკოლის გაზრდილი **ქარცხავა** კიევის "დინამოს" აკადემიაში ჩაირიცხება.

გუნდი კი 13 იანვარს კიევში გაემგზავრა, სადაც მაკაროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს. შეჯიბრება კიევის "დინამოს" ბაზაზე, კონჩაზასპეში გაიმართება და გამარჯვებული თორმეტ გუნდს შორის გაირკვევა.

"გაგრა" თბილისში 27 იანვარს დაბრუნდება და ოთხ დღეში ისევ უცხოეთში გაემგზავრება. ამჯერად გუნდი ანთალიაში მოემზადება.

გუნდის ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძის** თქმით, **გია გეგუჩაძემ** პირველი წრე ექსპერიმენტებისთვის გამოიყენა და ახალი წლიდან უკვე ოპტიმალურ შემადგენლობას დაეყრდნობა.

დღე-დღეზე უნდა გაირკვეს "გაგრის" კუთვნილი მცველის, **ირაკლი ქორთუას** საკითხი. იგი გასულ წელს ლატვიის ჩემპიონატში "დიუვანაგის" ღირსებას იცავდა. გუნდი უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა, ფეხბურთელს პრეზიდენტი დარჩენას სთხოვს, მაგრამ ქორთუას საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ამერი მოსკოვის სპარტაკის წინააღმდეგ

"ამერის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ თბილისურ კლუბს თურქეთის შეკრებაზე დაგეგმილი საკონტროლო შეხვედრა ჩაეშალა.

"თურქეთის მეორელიგელმა "ოფსფორმა", რომელსაც 13 იანვარს უნდა შევხვედროდით, თამაშზე უარი განაცხადა, მიზეზად კი ვარჯიშზე რამდენიმე ფეხბურთელის დაშავება დაასახელა. სამწუხაროდ, ახალი სპარინგპარტნიორის უცებ მოძებნა ვერ მოხერხდა. რამდენიმე შეთავაზებაზე "ამერის" მწვრთნელმა **გიორგი ჩიხრაძემ** თავად თქვა უარი, სასურველ მეტოქეებთან შეთანხმება კი ვერ მოხერხდა შეხვედრის ჩატარების დროის ან ადგილის გამო".

თბილისში დაბრუნებამდე "ამერი" ერთ თამაშს გეგმავს - 15 იანვარს მისი მეტოქე მოსკოვის "სპარტაკის" დუბლ-შემადგენლობა იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან სილაგაძე, ლევან კორღალიძე და ლაშა ქებაძე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

თანამეგობრობის თასი

# სიონი მოსკოვში მოგებული მიდის

საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის "სიონი" მოსკოვში ამაღლებული განწყობით წავა. თანამეგობრობის ტურნირისთვის მოსამზადებელი ეტაპის ბოლო სპარინგ-მატჩში "სიონმა" 2:1 მოუგო რუსთავის "ოლიმპს". სამივე გოლი ბოლნისელთა ანგარიშზეა. მეტოქის კარი **ვიტალი დარასელიამ** და **არჩილ ალავიძემ** დალაშქრეს, ორივე გოლი ფლანგიდან გამჭოლ გადაცემას მოჰყვა. ავტოგოლი კი მამალაძემ მიითვალა – კუთხურიდან მოწოდებული და თითქმის დაჭერილი ბურთი ხელიდან გაუვარდა, თან ისე, რომ პირდაპირ კარში შეგორდა.

საერთო ჯამში "სიონს" ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. დაცვის ცენტრში **ჭელიძე-ონიანის** დუეტი მოქმედებდა, ფლანგებზე კი **სეთურიძე** და **კობაური** თამაშობდნენ. ბოლნისელთა საუკეთესო რგოლი ნახევარდაცვაა, სადაც **სილაგაძე, აფციაური, კახელიშვილი, ქებაძე** და **დარასელია** თამაშობენ. წინ კი, როგორც ყოველთვის, ბოლო პერიოდში, **ჩასემი** ირჯებოდა. ტრავმის გამო გაცდენილი პერიოდის მიუხედავად, კარგად გამოიყურებოდა აფციაური. გუშინ მან მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, მწვრთნელები ტრავმის გამიზეზებას მოერიდნენ და შესვენების შემდეგ მისი ადგილი **არჩილ ალავიძემ** დაიკავა. კარგი იყო დარასელიაც, თითქმის ყველა შეტევის წამომწყები. ჩანს მოსკოვშიც "სიონის" თამაში ძირითადად მასზე აეწყობა. ყოველ შემთხვევაში ბოლო სპარინგ-მატჩებში ასე იყო.

რაც შეეხება ბოლნისელთა მოსკოვში გამგზავრებას, ეს 18 იანვარს მოხდება ერევნის გავლით. კამერუნელებს კი სტამბოლიდან მოუწევთ გამგზავრება რუსეთის დედაქალაქში. ვიზებს კი ბოლნისელები სამშაბათს მიიღებენ, ასე დაპირდნენ რუსეთის საელჩოში. ცვლილებაა მოსკოვში წამსვლელთა სიაშიც. გუნდთან ერთად გაემგზავრება **ლევან ბაჯელიძე**, რომელიც თავდაპირველი ვარიანტით, საქართველოში უნდა დარჩენილიყო. თანაშემწეებიდან კი **კახა ცხადაძეს** მოსკოვში **გიორგი ყიფშიძე** გაჰყვება. **ბადრი კვარაცხელიას** რუსების მხრიდან წამსვლელთა რაოდენობის შემცირების გამო, შინიდან მოუწევს გუნდის გულშემატკივრობა.

„ოლიმპში" ითამაშა **ლევან კორღალიძემ,** რომელიც დღემდე უკლუბოდაა და რუსთაველებთან რევაზ ძოძუაშვილის მიწვევით ვარჯიშობს

**პაატა თოთაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ბობოხიძე იალტაში მიდის

"კრივბასის" მთავარმა მწვრთნელმა, **ოლეგ ტარანმა** გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელების სია, რომლებსაც თურქულ შეკრებაზე წაიყვანს. მათ შორის არიან გუნდის კაპიტანი **ვასილ გიგიაძე** და საქართველოს ნაკრების კანდიდატი **ლადო ბურდული.** "კრივბასის" მთავარმა მწვრთნელმა ყველა ახალწვეულის გვარი გამოაცხადა, მაგრამ 13-კაციან სიაში არ იყო თბილისის "დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი **მიხეილ ბობოხიძე.**

როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთელის მენეჯერი კრივოი როგელებს პირობებზე ვერ შეუთანხმდა და ფორვარდმაც კლუბი დატოვა.

თუმცა, არაა გამორიცხული, ბობოხიძე ერთ-ერთ უკრაინულ კლუბში აღმოჩნდეს. მას ორიოდე დღეში ყირიმში ელიან. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, ბობოხიძეს სიმფეროპოლის "ტავრია" იწვევს, თუ სხვა გუნდი. ამჟამად ყირიმში უკრაინის უმაღლესი ლიგის 16 გუნდიდან მხოლოდ ორი ემზადება - ალუშტაში სიმფეროპოლის "ტავრია", ევპატორიაში კი - ლუგანსკის "ზარია". სავსებით შესაძლებელია, ბობოხიძე ამ უკანასკნელშიც აღმოჩნდეს. 25 წლის თავდამსხმელის აგენტმა შარშან დაიწყო ლუგანსკელებთან მოლაპარაკება და მიშა გუნდთან ერთად მცირე ხნით ვარჯიშობდა კიდეც.

მეორეს მხრივ კი ვიცით, რომ **მიხაილ ფომენკო** სიმფეროპოლის "ტავრიას" ძირითად გუნდს 16 იანვარს ახალწვეულებით შედგენილებს დააპირისპირებს. იქნება თუ არა მათ შორის ბობოხიძე, ჯერ უცნობია.

# იაშვილი დაასვენეს, კობის გრიპი აქვს

პორტუგალიურ შეკრებაზე მყოფმა **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** "ფრაიბურგმა" პირისპირებზე ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა. ჩვენებურთა გუნდი მიონხენგლადბახის "ბორუსიას" დაუპირისპირდა და 1:2 დამარცხდა. **ფოლკერ ფინკეს** გუნდის ძირითად შემადგენლობაში არცერთი ქართველი არ ყოფილა. ხიზანეიშვილი 46-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე და მატჩიც ჩაამთავრა. რაც შეეხება იაშვილს, მას მიონხენგლადბახელთა წინააღმდეგ არ უთამაშია. "ფრაიბურგის" ოფიციალური ვებგვერდი ალექსანდრე იაშვილის უთამაშებლობის შესახებ არაფერს წერს. თუმცა, როგორც თბილისში, იაშვილების ოჯახთან დაკავშირებისას შევიტყვეთ, ფრაიბურგელთა ფორვარდმა მსუბუქი ტრავმის გამო არ ითამაშა. ფინკეს გუნდი პორტუგალიიდან გუშინ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მზადებას ფრაიბურგში გააგრძელებს. მეორე ბუნდესლიგაში სეზონი 19 იანვარს განახლდება. "ფრაიბურგს" კი პირველი მატჩი 22 იანვარს როსტოკში "ჰანზასთან" ელის.

რაც შეეხება **ლევან კობიაშვილის** "შალკეს", გელზენკირხენელები შაბათს ჰოლანდიაში, უტრეხტში გაემგზავრნენ და ადგილობრივ გუნდთან ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. ჰოლანდიაში გუნდს კობიაშვილი არ გაჰყოლია. "შალკეს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ლევან კობიაშვილს გრიპი აქვს და ვირუსის გამო კუჭის ტკივილი აწუხებს. თუმცა, საგანგაშო არაფერია, წერენ გერმანელები, ლევანი მალე გამოჯანმრთელდებაო. თამაში კი 1:1 დასრულდა.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

# აშვეთია ილიჩევეცში ითამაშებს

## კონტრაქტი დღეს გაფორმდება

ყაზანის "რუბინთან" საბოლოოდ გამოთხოვების შემდეგ, საქართველოს ნაკრების ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** არჩევანის წინაშე დადგა. მისი დამატების სურვილი რუსულ პრემიერლიგაში მოასპარეზე "მოსკვას" კი ჰქონდა, მაგრამ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. ფორვარდის გადაბირება სამ უკრაინულ გუნდს (მათ შორის "ილიჩევეცს") სურდა. აშვეთიათი ასევე დაინტერესებული იყო საბერძნეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი კლუბი და **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი". თუმცა, საბოლოოდ მიხეილ აშვეთიამ "ილიჩევეცზე" შეაჩერა არჩევანი და მარიუპოლელთა გუნდს თურქულ შეკრებაზე გაჰყვა.

მიხეილ აშვეთია გასულ უქმეებზე წარუდგინეს "ილიჩევეცის" მთავარ მწვრთნელ **ივან ბალანსა** და კლუბის პრეზიდენტ **პაველ რაზუმნის.** ქართველი ფორვარდი მარიუპლოლელთა გუნდში უკვე სამი დღეა ვარჯიშობს. პარალელურად ამისა მომავალი კონტრაქტის თაობაზე საბოლოო მოლაპარაკებები წარიმართა და მხარეებს შორის შეთანხმებაც შედგა. უფრო მეტიც, მიხეილ აშვეთია "ილიჩევეცთან" დღეს გააფორმებს კონტრაქტს და მიმდინარე სეზონის ბოლომდე ბალანის გუნდში იასპარეზებს. ჩვენს მიერ მოპოვებული ეს ცნობა აშვეთიას ოჯახის წევრებმაც დაგვიდასტურეს.

"ილიჩევეცთან" მიმართებაში სხვა საგულისხმო ცნობებიც მოვიძიეთ. მარიუპოლელებს თავდასხმის ხაზის გაძლიერება რომ აქვთ ჩაფიქრებული, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ "ილიჩევეცს" სხვების გარდა "კრივბასიდან" **ვასილ გიგიაძის** გადაბირებაც სურდათ, მაგრამ ვასოსგან საბოლოოდ უარი მიიღეს. ივან ბალანმა რამდენიმე ფეხბურთელით უკვე გააძლიერა გუნდი. უკრაინელებს აქცენტი გაახალგაზრდავებაზე აქვთ, მაგრამ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი მაინც დაიმატეს. ბალანის ახალწვეულთა სია ასეთია: **იგორ კოროტეცკი, ვლადიმირ ოლეფირი, იაროსლავ ვიშკიაკი** და მოლდოვას ნაკრებისა და "სატურნის" ყოფილი ფორვარდი **სერგეი როგაჩევი,** რომელიც, სავარაუდოდ, აშვეთიას მეწყვილე იქნება შეტევის ხაზში.

დაბოლოს, ანთალიერ შეკრებაზე მყოფი "ილიჩევეცი" თურქეთში 23 იანვრამდე დარჩება და რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც გამართავს. მარიუპოლელები სეზონის მეორე ნახევრის პირველ მატჩს 4 მარტს, სტუმრად **ჯაბა კანკავასა** და **რევაზ ბარაბაძის** "დნეპრთან" გამართავენ.

**დავით ცაბაძე**



მიხეილ აშვეთია

# პენალტი აიღო, მაგრამ სამი გაუშვა

გუშინ თურქეთში პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა ყაზანის "რუბინმა". რუსული პრემიერ ლიგის გუნდი თურქეთის უმაღლესი დივიზიონის მეათეადგილოსან "ანკარაგიუჯუსთან" 1:3 დამარცხდა. "რუბინის" შემადგენლობაში სეზონის დასრულების შემდეგ მხოლოდ ორი ქართველი დარჩა, **ლაშა სალუქვაძე** და **ნუკრი რევიშვილი.** პირველს "ანკარაგიუჯუსთან" მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, რევიშვილი კი 90 წუთი გაისარჯა. თათრებმა გოლი მე-10 წუთზე გაიტანეს **(ბაირამოვი),** დანარჩენი დრო კი თურქების უპირატესობით გაილია.

მეორე ტაიმში ქართველმა გოლკიპერმა პენალტი მოიგერია, თორემ ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო სოლიდური იქნებოდა. სხვათა შორის, "რუბინი" "ვერდერთან" გაჯიბრებას გეგმავდა, მაგრამ სპარინგი ჩაიშალა და მხსნელად თურქული კლუბი გამოჩნდა.



# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. პირველი წრის შეჯამება

www.pfl.ge

# ბათუმი

## მონაცემი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | საგოლე პასი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალოგრე | 13 | 12 | 1 | - | 3 | - |
| ცანავა | 13 | 12 | - | - | 4 | - |
| ექონია | 11 | 11 | 1 | - | 3 | - |
| ოქრუაშვილი | 11 | 10 | - | 1 | - | - |
| კოშკაძე | 10 | 10 | - | - | - | - |
| კუნჭულია | 10 | 5 | 1 | - | - | - |
| აფშილავა | 9 | 9 | - | - | 2 | - |
| გოგოლაძე | 9 | 7 | 2 | 1 | 1 | - |
| ლობჟანიძე | 8 | 8 | - | - | 2 | - |
| მუჯირი | 8 | 8 | 3 | - | - | 1 |
| ჯინჭარაძე | 8 | 6 | - | - | 1 | 1 |
| თოთლაძე (მეკ.) | 7 | 7 | -6 | - | 1 | - |
| ფარტენაძე | 7 | 1 | 1 | - | - | 1 |
| ტულუში | 7 | 1 | - | - | - | - |
| სომხიშვილი (მეკ.) | 6 | 6 | -8 | - | | - |
| რ. ჯიძია | 5 | 5 | - | 1 | 1 | - |
| ნაჭყებია | 5 | 5 | - | - | 1 | - |
| ძორიძე | 5 | 5 | - | - | 2 | - |
| ჯაბნიძე | 5 | 4 | 1 | 1 | - | - |
| ბეჟანიძე | 5 | 1 | - | - | - | - |
| გოგიშვილი | 3 | 3 | - | - | 1 | - |
| ბაჯელიძე | 3 | 1 | - | - | 1 | - |
| ტიაგო | 2 | 2 | - | - | - | - |
| დუმბაძე | 2 | 2 | - | - | 1 | - |
| აბაშიძე | 2 | - | - | - | - | - |
| ხარაზი | 2 | - | - | - | 1 | - |
| მახარაძე | 1 | - | - | - | 1 | - |
| ჯანელიძე | 1 | - | - | - | 1 | - |
| ბერიძე | 1 | - | - | - | - | - |
| გოგიტიძე | 1 | - | - | - | - | - |
| შავლიძე | 1 | - | - | - | - | - |



ბათუმელთა უდავო ლიდერი ამირან მუჯირი (10) მეორე წრეში ბაქიში ითამაშებს




გასული სეზონის მეორე წრეში იმის რეალური წინაპირობა შეიქმნა, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ბათუმს უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი ეყოლებოდა. მოლოდინი არ გამართლდა. ზაფხულში განვითარებული მოვლენები შეხსენებას არ საჭიროებს – ბოლო მომენტში გუნდს ინვესტორმა უგანა და აჭარელებსაც ისღა დარჩენოდათ, კვლავინდებურად ეგრეთ წოდებული, "ოქროს შუალედის" ბინადრობას დასჯერებოდნენ. "ბათუმმა" პირველ წრეში ზუსტად იმას მიაღწია, რასაც მისგან ელოდნენ – გუნდს არც უმაღლესიდან გავარდნა ემუქრება და ვერც მაღალი საფეხურებისთვის იბრძვის. თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, "ბათუმი" სეზონის მეორე ნახევარშიც დაახლოებით იგივე გაქანებისა იქნება.

## ამირან გოგიტიძე — მთავარი მწვრთნელი



"პირველი წრე არცთუ წარმატებულად ჩავატარეთ და კაცმა რომ თქვას, უკეთეს შედეგს არც ველოდით. გუნდი ხომ სახელდახელოდ შეიკრიბა, ხეირიანად შეკრებაც არ გაუვლია. ამის მიუხედავად, რამდენიმე კარგი მატჩი მაინც გავმართეთ, რაც მოგვიანებით დამატებული ძლიერი ფეხბურთელების დამსახურებაა".

### საუკეთესო მატჩი

"ყველაზე კარგად რუსთავში ვითამაშეთ. მსაჯს ამირან მუჯირი რომ არ გაეძევებინა, ვინძლო არც დავმარცხებულიყავით".

### ყველაზე ცუდი მატჩი

"შინ "ლოკომოტივთან" არ უნდა წაგვეგო. მარცხის უმთავრესი მიზეზი მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობაა".

### პლუსი

"ჩვენი გუნდის კომბინაციურ თამაშს გავუსვამდი ხაზს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მუჯირის დამსახურებაა".

### მინუსი

"ირაკლი თოთლაძისა და უჩა ლობჟანიძის დამატებამ მეკარისა და დაცვის პრობლემა მოგვიხსნა. მანამდე "ბათუმის" ეს რგოლები არადამაჯერებლად გამოიყურებოდა".

### პროგრამა-მაქსიმუმი

"მეორე წრეში შედარებით უკეთესი კალენდარი გვაქვს, რაც სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობასს მოგვცემს. წარმატების უფრო დიდი შანსი კი თასზე გაგვაჩნია, სადაც ასევე მაქსიმალური ძალისხმევით ვითამაშებთ".

### პროგრამა-მინიმუმი

"უმაღლეს ლიგაში ულაპარაკოდ უნდა დავრჩეთ, დარწმუნებული ვარ, ამას აუცილებლად შევძლებთ".

### მზადება მეორე წრისთვის

"ვარჯიში 4 იანვარს დავიწყეთ, მზადების პირველ ორ კვირას ბათუმში გავატარებთ, ამის შემდეგ კი თურქეთის ახლომდებარე ქალაქებში გვექნება რამდენიმე ერთდღიანი გასვლა იქაურ კლუბებთან ამხანაგურების ჩასატარებლად. სამწუხაროდ, უცხოურ შეკრებაზე გამგზავრებას ვერ ვახერხებთ".

### საკადრო პოლიტიკა

"მუჯირმა გუნდი პირველი წრის დასრულებისთანავე დატოვა. მის გარდა, კოშკაძე, ნაჭყებია და გოგოლაძე წავიდნენ. მალე რამდენიმე ფეხბურთელი კიდევ დაგვემშვიდობება. გადაწყვეტილია, რომ სეზონის მეორე ნახევარს ჩვენთან გაატარებენ "დინამო 2"-ის წევრები – კერესელიძე, ბარამიძე და ჩარგეიშვილი. იმედი მაქვს, რომ შესაბამისად, "მერანიდან" და "მეშაქრედან" ბესარაშვილსა და შალამბერიძეს დავიმატებთ".

### პირველი წრის რჩეულნი

"ბათუმში" უდავოდ ამირან მუჯირი იყო საუკეთესო, სხვა გუნდების წევრების გამორჩევისგან, თქვენის ნებართვით, თავს შევიკავებ".

### ფინანსური მდგომარეობა

"მიმდინარე სეზონში ხელფასების დაგვიანების ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა, რისთვისაც აჭარის მთავრობას დიდ მადლობას ვუხდი".

### ბათუმი და ქომაგი

"იყო დრო, ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე ნემსი ვერ ჩავარდებოდა. დღესდღეობით კი ჩვენს საქომაგოდ მაქსიმუმ 200-300 კაცი თუ დადის. ვერც გაამტყუნებ, ხალხს ლამაზი სანახაობა და შედეგი უნდა".

### ჩემპიონატის ახალი ფორმატი

"16-გუნდიანი მირჩევია, არგუმენტს ტრადიციულს დავასახელებ – თავის გამოჩენის შესაძლებლობა უფრო მეტ რეგიონსა და ფეხბურთელს მიეცემა".

### თასის ახალი ფორმატი

"კარგია, რადგანაც ერთი მარცხით გუნდი მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს არ კარგავს".

### კოლეგები

"ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მყოფ გუნდებს ძლიერი მწვრთნელები ჰყავთ. ისინი დაახლოებით ერთნაირი კვალიფიკაციისა არიან".

### მსაჯობა

"მსაჯობის ხარისხი შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც ხშირია შემთხვევები, როცა არბიტრი ქვეცნობიერად ძლიერისა და ფულიანის მხარეს იჭერს. ისე კი, პირველ წრეში ჩვენი გუნდი არაობიექტური მსაჯობის მსხვერპლი არ გამხდარა. კარგია, რომ აქცენტი ახალგაზრდა მსაჯებზე კეთდება".

### გარიგებული მატჩები

"თამაშები ყველაგან ეწყობა და ჩვენ რა გამონაკლისები უნდა ვიყოთ?! გარიგებებში მსაჯების მონაწილეობის ალბათობის შესამცირებლად მათი ანაზღაურება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს".

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **I ტური** | | | |
| 29.07 | ს | დილა | 0:0 |
| **II ტური** | | | |
| 05.08 | შ | ამერი | 0:1 |
| **III ტური** | | | |
| 20.08 | ს | ტორპედო | 1:2 |
| ჯაბნიძე | | | |
| **IV ტური** | | | |
| 28.08 | შ | სიონი | 1:2 |
| ექონია | | | |
| **V ტური** | | | |
| 09.09 | ს | კახეთი | 3:1 |
| გოგოლაძე (2), გალოგრე | | | |
| **VI ტური** | | | |
| 17.09 | შ | ზესტაფონი | 0:0 |
| **VII ტური** | | | |
| 23.09 | ს | ლოკომოტივი | 0:1 |
| **VIII ტური** | | | |
| 14.10 | შ | მერანი | 3:0 |
| მუჯირი (2), ფარტენაძე | | | |
| **IX ტური** | | | |
| 21.10 | ს | ოლიმპი | 1:2 |
| მუჯირი | | | |
| **X ტური** | | | |
| 29.10 | შ | ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| **XI ტური** | | | |
| 05.11 | ს | ჩიხურა | 0:1 |
| **XII ტური** | | | |
| 18.11 | ს | ბორჯომი | 0:0 |
| **XIII ტური** | | | |
| 26.11 | ს | დინამო | 1:3 |
| კუნჭულია | | | |

სულ: 13 მატჩი, 2 მოგება, 3 ფრე, 8 წაგება, ბურთები 10-14, 9 ქულა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ხიზანიშვილმა (მარცხნივ) ანრის ხელი ვერ შეუშალა

ლეგიონერები

# ალოგიკური მარცხი

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის მე-13 წუთზე **ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნი" რიცხობრივ უპირატესობაში დარჩა, მისმა გუნდმა საშინაო მატჩი ლონდონის "არსენალთან" წააგო - 0:2, თანაც ორივე გოლი მას შემდეგ გავიდა, რაც რეფერიმ მოედნიდან ბრაზილიელი სტუმარი **ჟილბერტო სილვა** მიაბრძანა. კლასმა თავისი გაიტანა - პირველ ტაიმში **კოლო ტურემ**, მეორეში კი **ტიერი ანრიმ** ორი უპასუხო გოლი გაიტანეს **ბრედ ფრიდელის** კარში. ხიზანიშვილმა ამ მატჩში 90 წუთი ითამაშა. "სანდი ფიფლმა" ზურას გარჯა 6 ბალით შეაფასა. "ბლექბერნი" 22 თამაშიდან 28 ქულით პრემიერლიგის ცხრილის შუაგულშია.

მცირე შესვენების შემდეგ განახლდა სერია A, თუმცა უქართველოდ. ვერ გამართლდა "მილანის" ექიმთა ოპტიმისტური პროგნოზი, **კახა კალაძემ** ტრავმა "რეჯინასთან" მატჩისთვის ვერ მოირჩინა და განაცხადშიც არ ყოფილა. მილანურმა კლუბმა უკალაძეოდ 3:1 იმარჯვა.

საბერძნეთის სუპერლიგაში მე-17 ტურის მატჩები გაიმართა. **ლევან მაღრაძის** "ქსანთი" "ერგოთელისს" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა. ჩვენებური განაცხადშიც არ ყოფილა. წუხელ "პანიონიოსი" "ოლიმპიაკოსს" ესტუმრა, თუმცა **ლევან ცქიტიშვილი** ჰოლანდიაშია "ალკმაარში" სინჯებზე და, ბუნებრივია, მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

ისრაელის რანგით მეორე "ლეუმით ლიგაში" **კოკა მიკუჩაძის** ბეერ შევას "ჰაპოელი" შინ ცხრა კაცის ამარა დარჩა და რაანანას "ჰაპოელთან" დამარცხდა. ეს ბეერშეველთა მესამე მარცხია სეზონში. **გიორგი შენგელიას** "ირონი" კი შინ კირიათ შმონას "ჰაპოელს" დაუზავდა - 1:1.

კვიპროსში მორიგი გამარჯვება იზეიმა **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისმა", ქართველი მოთამაშე-მწვრთნელის გუნდმა სტუმრად "დიგენისი" 2:0 დაამარცხა. თემურს მწვრთნელის სკამი არ დაუტოვებია.. "არისთან" სტუმრად 2:4 დამარცხდა **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსი", ლევანმა მეორე ტაიმში ითამაშა. **კლიმენტი ნიტაიშვილის** აეკ-მა შინ აეპ დაამარცხა 2:1.

# ლიმასოლიდან ლარნაკაში



კლიმენტი ნიტაიშვილი

კვიპროსში განხორციელებულ ტრანსფერებში ერთი ქართულია, ლიმასოლის აელ-იდან ლარნაკას აეკ-ში გადავიდა 27 წლის ქართველი ფორვარდი **კლიმენტი ნიტაიშვილი**. კლიმენტი სისტემატურად ხვდებოდა აელ-ის შემადგენლობაში, თუმცა პროდუქტიული ვერ იყო, მან პირველ წრეში სულ ორი გოლი გაიტანა. აეკ-ი კვიპროსულ ლიგაში 15 თამაშიდან 21 ქულით მეხუთე ადგილზეა. კლიმენტიმ უკვე მეორე მატჩში მიიღო მონაწილეობა ახალი კლუბის მაისურით და ორივეჯერ კლუბი გამარჯვებული დარჩა.

# ხვიჩა მურღულია დეპორტივოში ითამაშებს



ხვიჩა მურღულია

ამ ცოტა ხნის წინ გაცნობეთ, 18 წლის ქართველი მცველის, **ხვიჩა მურღულიას** არგენტინული ტრანსფერის შესახებ. ახალბედა მცველი, რომელიც სამშობლოში **თენგიზ სულაქველიძის** სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიის გუნდში ასპარეზობდა, პირველი ქართველია, რომელიც არგენტინის ჩემპიონატის B დივიზიონში მოასპარეზე "დეპორტივო მერლოში" ითამაშებს. ამისათვის მურღულია რამდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდა. ყოველივე ამაზე თბილისში დროებით მყოფი ხვიჩა თავადვე მოგვითხრობს:

*"არგენტინის ტექნიკური მომზადების ეროვნულ ცენტრში გასული წლის აპრილიდან მოყოლებული ვემზადებოდი. ცნობილი და გამოცდილი სპეციალისტები მამზადებდნენ. საკუთარ თავზე ბევრი ვიმუშავე და ნიკო პატარქალიშვილის დახმარებით შრომა დამიფასდა - "დეპორტივო მერლოში" ჩავირიცხე. თუმცა მხოლოდ ამით არ დავკმაყოფილდები. კარგად მესმის, რომ ჯერ კიდევ ბევრი შრომა მჭირდება უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად".*

ახალბედა ქართველი მცველი ამ ეტაპზე "დეპორტივო მერლოს" დუბლებში ითამაშებს.

*"თბილისში დროებით ჩამოვედი. იანვრის ბოლოსთვის უკვე არგენტინაში უნდა ვიყო. მერე ჩემპიონატიც დაიწყება.*

*ახალ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი უნდა გავაკეთო საიმისოდ, რომ მთავარ გუნდში მოვხვდე. იმედი მაქვს, ამას შევძლებ კიდეც"*, - სჯერა ხვიჩა მურღულიას.

მისი გუნდის მთავარი მწვრთნელი **ედუარდო დელგადოა**. არგენტინელი სპეციალისტი **ნიკო პატარქალიშვილის** მოპატიჟებით შარშან თბილისშიც იმყოფებოდა.

ახალ გუნდში მურღულიას არაოფიციალური დებიუტი უკვე შედგა.

*"დეპორტივო მერლოს" რიგებში რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაში უკვე ვითამაშე. ტურნირზე ვიყავით ურუგვაიში და 4 მატჩში მივიღე მონაწილეობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცდა წარმატებით ჩავაბარე, რასაც ჩემი ტრანსფერი მოჰყვა. მწვრთნელმა უკვე კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები, მენდობა და ეს ჩემთვის დამატებითი სტიმულია"*, - საუბრის ბოლოს გვითხრა ხვიჩა მურღულიამ.

**დავით ცაბაძე**

## სიტუაცია ქართულ კლუბებში

| გუნდი | მიდიან | მოდიან | შეკრებები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | **კიკნაძე, ზამთარაძე** (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია,** სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი** (სიონი, დსთ-ისთვის) | **რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) ნავალოვსკი (დინამო) | თბილისი, თურქეთი |
| ვიტ ჯორჯია | **დილმელაშვილი (დინამო),** | | თბილისი, ანტალია (თურქეთი) |
| ამერი | **ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?), კაკაშვილი (რილსკი ბულგ.) | **მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | **იმედაძე** (?) | **რ. ონიანი (ოლიმპი)** | თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები |
| დინამო | **ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე** (?) **ნავალოვსკი (ოლიმპი)** | **დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა) | ბაკურიანი, ანტალია |
| ტორპედო | **ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | **კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი) | — |
| სიონი | **სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი (ჩიხურა) ჭიჭვეიშვილი (?)** | **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი, (ოლიმპი,) მამალაძე (ჩიხურა), დარასელია (შახტიორი ყარაღანდა)** ყველა დსთ-ის თასისთვის | დსთ-ის თასი, იანვარი |
| ლოკომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი(?). | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე | | 10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | აკობია (მწვრთნელი, დინამო 2), სტურუა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო) | ორი შეკრება |
| ჩიხურა | **მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)** | ბათიაშვილი (სიონი), ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი), | შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში |
| ბათუმი | **ა. მუჯირი (ბაქი)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯია), ნაჭყებია | **ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | შეკრება ბათუმში |
| დილა | **ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი)** | **ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)** | შეკრება გორში |
| კახეთი | სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), იაშვილი (?), კევლიშვილი (მერანი), | **კუპრაშვილი (გურჯაანი)** | თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც |


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge




## იტალია. სერია A. XIX ტური

# ინტერმა ისტორია გადაწერა

## ლივორნოს მწვრთნელი აღარ ჰყავს



მილანი-რეჯინა. ალესანდრო ლუკარელისა და ალბერტო ჯილარდინოს თავბურთი

2007 წელი "ინტერმა" ისტორიული გამარჯვებით დაიწყო. "ნერაძურიმ" ზედიზედ მე-12 შეხვედრა მოიგო, რითიც სერია A-ში ახალი რეკორდი დაამყარა. იყო შიში, რომ სამკვირიანი საშობაო პაუზა გუნდს რიტმიდან ამოაგდებდა და რომ თავის დროზე "ინტერიდან" გაგდებული **ალბერტო ძაკერონი** თავის "ტორინოსთან" ერთად შურს იძიებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი - იმიტომ, რომ "ინტერი" ამ სეზონში სხვა გუნდია, აღარაა ისეთი, როგორიც 2002 წლის 5 მაისს, როცა ძაკერონიმ, იმხანად "ლაციოს" მწვრთნელმა, ბოლო ტურში სკუდეტო ჯიბიდან ამოაცალა. **რობერტო მანჩინის** კრებულმა კვლავ განაგრძო ძალების დემონსტრირება, ისე, როგორც წინა თვეებში იყო, სიახლე მხოლოდ ისაა, რომ **ადრიანომ** ძველი, კარგი დრო გაიხსენა და წინასაშობაო ტურიდან მოყოლებული, მოედნიდან უგოლოდ აღარ გადის.

ასეთი უნდა იყოს "ინტერი" იდეაშიც და რეალურადაც - **ადრიანო** და **იბრაჰიმოვიჩი** ძირითადში, **კრესპო** კი სკამზე. ასე იყო შაბათს და ამიერიდან, ალბათ, სულ ასე იქნება. "ტორინოს" ორი წამყვანი მოთამაშე, ნახევარმცველი **ბარონე** და მცველი **კომოტო** აკლდნენ, მაგრამ ამ სეზონში მისი ყველაზე სუსტი წერტილი მაინც შეტევაა. თავდასხმა უკბილოდ და უნიათოდ გამოიყურებოდა და შემთხვევითი არ იყო, რომ მეკარე **ჟულიო სეზარმა** მთელი პირველი ტაიმი უსაქმოდ გაატარა. სერიოზულად ერთადერთხელ ჩაერთო თამაშში, როცა მასპინძელთა კაპიტან **დე აშენტისის** შორეული დარტყმა მოიგერია. შემადგენლობის დაყენებისას, მანჩინიმ ცოტა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: **კამბიასო** და **დაკური** სკამზე დატოვა, ჩათვალა რა, რომ ტრავმების შემდეგ, არცერთი არ იყო საუკეთესო ფორმაში, და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, **ვიეირასა** და **ძანეტის** შორის, **სტანკოვიჩი** დააყენა. სერბი წელს ისეთი ფრთაშესხმულია, რომ კარში რომ ჩააყენო, ალბათ, იქაც საიმედოდ ითამაშებს. მოკლედ, მილანელთა ნახევარდაცვამ იოლად გაანეიტრალა მასპინძელ შემტევთა ყველა ნამოწყება. თუმცა, დასაწყისში, სტანკოვიჩის ნაკლებობა წინ იგრძნობოდა, რადგან გამთამაშებლის პოზიციაზე გამწესებულმა **ფიგუმ** მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ არაბეთისთვის უკვე მართლაც მომწიფებულია.

ტაქტიკურ-ტექნიკური თუ ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, "ინტერს" უჭირდა საგოლე მომენტების შექმნა, რადგან ფიგუ უგზოუკვლოდ იყო დაკარგული, ვერც **მაიკონი** და **მაქსველი** ახერხებდნენ ფლანგებიდან შეტევებში ჩართვას. მაგრამ როგორც კი მაიკონმა პირველად ჩააწოდა, ანგარიშიც გაიხსნა: ადრიანო **დი ლორეტოს** ზურგსუკან ახტა და **აბიატის** თავით აუღებელი დაურტყა, 1:0. "ინტერის" ეს ზედიზედ მე-12 გამარჯვება უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, იმავე ადრიანოსა და ვიეირას ორი ბრწყინვალე მომენტი რომ არ გაეფუჭებინათ.

მეორე ტაიმში **ფიორემ ლაზეტიჩი** შეცვალა და სწორედ მისი დარტყმის წყალობით იყო, რომ 58-ე წუთზე ანგარიში 1:1 გახდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელად ბურთი **მატერაცის** მოხვდა და კარში რიკოშეტით შევარდა. მაგრამ "ტოროს" ილუზია ძალიან ხანმოკლე გამოდგა, რადგან ორ წუთში იბრაჰიმოვიჩმა ბურთს დაუშვებლად დაჰკრა და შორეულ კუთხეში ულამაზესი გოლი გაიტანა. 85-ე წუთზე სტუმრებმა ერთიც დაამატეს: ვიეირას ოსტატური პასით ადრიანო აბიატის პირისპირ დარჩა, ბრაზილიელმა მეკარის ჩამოშორება გადაწყვიტა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ძირს დაახეთქა. მსაჯმა აბიატი გააძევა, 11-მეტრიანი კი მატერაციმ **ტაიბის** გაუტანა, 3:1.

მანჩინის "ინტერმა" რეკორდი დაამყარა, მაგრამ მწვრთნელს ჯერ არ ეზეიმება: *"ჯერჯერობით, საზეიმო არაფერი გაგვიკეთებია, - თქვა ნამატჩევს, - მთავარია, სკუდეტო მოვიგოთ და ზეიმი მერე იქნება. იოლი ჩემპიონატია? მე ცხოვრებაში არ მინახავს იოლად მოგებული სკუდეტო. სიმართლე ისაა, რომ ძალიან ძლიერები ვართ, თუმცა ჯერ ისევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. ბრწყინვალე პერიოდი გვიდგას და ის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ, რადგან ადრე თუ გვიან უფრო რთული ან უიღბლო მომენტებიც გვექნება... მოურინიო მილანში სახლს ეძებს? თუ უნდა, ჩემსას დავუთმობ. ისე, ხუმრობა იქით იყოს და, კონტრაქტის გაგრძელება პრობლემა არ არის. ყოველ სამ დღეში ვთამაშობთ და ამიტომ, დრო ცოტა რჩება, ამის თაობაზე მორატისთან რომ ვილაპარაკო. შესაფერის მომენტში ყველაფერს გავაკეთებთ რაც საჭირო იქნება".*

შაბათის მეორე შეხვედრაში "ემპოლიმ" "პარმას" დამაჯერებლად მოუგო 2:0. ემპოლიში, ქალაქში, სადაც 50 ათასზე კაცზე ნაკლები ცხოვრობს, ყველა ევროტურნირებზე ოცნებობს და აქაურები თანდათან სულ უფრო რწმუნდებიან იმაში, რომ ევროსაგზური უტოპია არ არის. "პარმის" საქმე კი ტურიდან ტურამდე უარესდება. ნამატჩევს, პარმელი ტიფოზები გუნდის ავტობუსს დახვდნენ და ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი მწვრთნელს, ნახევარსაათიანი ლანძღვა-გინება აუტეხეს. "პარმა" ბოლოდან მეორეა და, შესაბამისად, **სტეფანო პიოლის** სკამსაც წყალი აქვს შემდგარი.

საკვირაო შეხვედრებიდან, ყველაზე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა მესინაში, სადაც "რომამ" 1:1 ითამაშა და ლიდერს უკვე 9 ქულით ჩამორჩა. ძვირად დაუჯდათ რომაელებს **კივუს** გულუბრყვილო შეცდომა. სტუმრები იგებდნენ და თამაში სასურველი დასასრულისკენ მიჰყავდათ, როცა დამატებულ წუთებზე, რუმინელმა მცველმა, ისე, რომ ამის არანაირი საჭიროება არ იყო, საჯარიმოში **დი ნაპოლი** მოცელა და საშუალება მისცა **პარიზის**, 11-მეტრიანით ანგარიში გაეთანაბრებინა. იანვარი, ტრადიციულად, შავი თვეა **ლუჩანო სპალეტისთვის**, მძიმედ დაიწყო. თუმცა სადლაც "მესინასაც" შეიძლება გაუგო: გუნდს ბოლო შვიდ ტურში ერთადერთი ქულა ჰქონდა აღებული და რალაც ხომ უნდა ელონა.

პირველ ტაიმში თამაში ძალიან უემოციო გამოდგა. "მესინა" თავისას აკეთებდა, ანუ, დაცვაში მყარად იჯდა და ტემპის დაგდებას ცდილობდა. "რომა" მე-20 წუთისთვის გამოფხიზლდა, გოლი კი 39-ე წუთზე, ელვისებური კონტრშეტევით გაიტანა: **ტადეიმ ტოტი** მოძებნა, კაპიტანმა კი ერთი შეხებით, ეფექტურად გააყოლა ბურთი **მანსინის**, რომელმაც კარიდან გამოსულ მეკარეს რბილი დარტყმით გაუტანა. ყველაფერი ლამაზი იყო, მაგრამ ერთი, ფეარ ფლეისთან დაკავშირებული, პატარა ლაქა მაინც ჰქონდა ამ შეტევას. სანამ "რომა" საგოლე კონტრშეტევას დაიწყებდა, კივუ მესინელ **კორდობას** შეეჯახა. მასპინძელთა ფეხბურთელი მიწაზე გაწოლილი დარჩა, სტუმრებმა კი თამაში არ შეაჩერეს და გაიტანეს კიდეც. ამან მესინელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია, ფეხბურთელები მსაჯს მისცვივდნენ და გოლის გაუქმებას ითხოვდნენ, რისთვისაც თამაში 7 წუთის განმავლობაში შეჩერებული იყო...

მეორე ნახევარმა კიდევ უფრო მდორე ტემპში ჩაიარა, თუმცა თამაში უკვე "მესინას" მიჰყავდა, ხოლო "რომა" ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა. ტაიმის შუაში ტოტიმ ერთხელ შორიდან ძელს გაარტყა. ბოლო წუთებში მასპინძლები მთელი გუნდით წავიდნენ წინ და ერთი კონტრშეტევაც გაეპარათ, მაგრამ **სტორარიმ** მანსინის სასწაულით აუღო. ბოლოს კი მოხდა ის, რამაც რომაელებს ორი ქულა დააკარგვინა, ხოლო "ინტერი" უზომოდ გახარა.

ამასობაში, ზედიზედ მესამედ მოიგო "მილანმა" და მეოთხე ადგილს უკვე 3 ქულა აშორებს. **კარლო ანჩელოტის** გუნდმა მაქსიმალურად გამოიყენა ის არცთუ ბევრი მომენტი, რომელიც შექმნა. დაშავებული **კაკას** არყოფნაში, გამთამაშებლის როლი **ზეედორფმა** მიიღო. მისი და **ჯილარდინოს** კომბინაცია "რეჯინის" მცველმა მე-6 წუთზე წესების დარღვევით შეაჩერა. საჯარიმო დარტყმა **პირლომ** უზადოდ შეასრულა და ანგარიში გახსნა. კალაბრიელები ბედს არ შეურიგდნენ და თამამად შეუტიეს. 24-ე წუთზე, **მესტომ** ერთი მეტრიდან ძელს გაარტყა. სტუმართა შეტევებს "მილანმა", 35-ე წუთზე, სწრაფი კონტრშეტევით უპასუხა: **იანკულოვსკიმ** საჯარიმოში ზეედორფს გადააწოდა და ამანაც მეტრიდან ანგარიში უპრობლემოდ გააორმაგა. სტუმრებმა კი საწადელს 66-ე წუთზე მიაღწიეს, როცა **ბიანკიმ** 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაიტანა, მაგრამ ამაზე მეტი "რეჯინამ" ველარ შეძლო, ხოლო "მილანმა", 77-ე წუთზე, ორს ერთიც დაამატა: **გურკუფმა** მეკარესთან ერთი-ერთზე გაიყვანა ჯილარდინო და დარტყმა ზუსტი გამოდგა - 3:1.

მძიმედ დაშავებული **ამაურის** არყოფნაში, მის ნაცვლად მოთამაშე **კარაჩოლომ** თავი არ შეირცხვინა და "პალერმოს" გამარჯვებას სათავე დაუდო. ეს მისი პირველი გოლი იყო ჩემპიონატში. მეორე ნახევარში **ძაკარდომ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, თუმცა სიცილიელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვოდა მეკარე **ფონტანასაც**, რომელმაც უდინეზელ ფორვარდებს ორი "მკვდარი ბურთი" აუღო.

ზედიზედ ორი წაგების შემდეგ "ატალანტამ" "ლივორნოსთან " გაინავარდა - 5:1. ძვირად დაუჯდა ეს მარცხი სტუმართა მწვრთნელ **დანიელე არიგონის**, რომელიც პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** თამაშის დამთავრებისთანავე პოსტიდან დაითხოვა.

90-წუთიანი ულიმლამო ბურთაობის შემდეგ, "სამპდორია" და "ფიორენტინა" ნულოვან ფრეზე დაზავდნენ. "კალიარიმ" კი, ორთვიანი პაუზის მერე, პირველი გამარჯვება იზეიმა, რაც ასევე პირველი იყო მისი ახალი მწვრთნელისთვის **ფრანკო კოლომბასთვის**. პირველი ტაიმის წაგების შემდეგ, "კიევომ" ხუთწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუტანა "კატანიას"და გასავარდნ ზონას 5 ქულით დაშორდა.

### მომდევნო ტური

**20 იანვარი.** ასკოლი-ატალანტა, რეჯინა-პალერმო. **21 იანვარი.** კატანია-კალიარი, სიენა-კიევო, ინტერი-ფიორენტინა, უდინეზე-მესინა, ემპოლი-სამპდორია, პარმა-ტორინო, ლივორნო-რომა, ლაციო-მილანი.

### ემპოლი-პარმა 2:0

**ემპოლი:** ბალი-6, რაჯი-7, ლუკინი-6, პრატალი-6, ტოსტო-6.5 (86. მარძორატი-შ.გ), ბუშე-6.5, ალმირონი-6.5 (73. მატეინი-6.5), დ. მორო-6, ვანუკი-6, საუდატი-6, პოცი-5.5 (55. მარიანინი-6).

**პარმა:** ბუჩი-6, კოლი-4, პერნა-5.5, კონტინი-6, კასტელინი-6, დესენა-5 (46. კუტუზოვი-6), გრელა-5.5, ჩარამიტარო-5 (62. ფერონეტი-5.5), ჩიგარინი-6, მორფეო-5.5 (83. დედიჩი-შ.გ), ბუდანი-6.

**გოლები:** 1:0 რაჯი (26), 2:0 მატეინი (77)

**გაძევება:** კოლი (58. პარმა)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 20-24; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 10-8 (6-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 8 000

### ტორინო-ინტერი 1:3

**ტორინო:** აბიატი-6.5, დი ლორეტო-4, ჩოფი-6, ი. ფრანჩესკინი-5.5, პანკარო-5 (78. აბრუსკატო-შ.გ), დე აშენტისი-6, არდიტო-6, ბალესტრი-5, ლაზეტიჩი-5.5 (46. ფიორე-6.5), როზინა-6.5, სტელონე-6 (84. ტაიბი-შ.გ).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-6.5, ბურდისო-6, მატერაცი-6.5, მაქსველი-6 (81. კორდობა-შ.გ), ვიეირა-6.5, სტანკოვიჩი-6.5, ხ. ძანეტი-6, ფიგუ-6.5 (64. კამბიასო-6), იბრაჰიმოვიჩი-6.5, ადრიანო-7 (86. სოლარი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ადრიანო (24), 1:1 ფიორე (59), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (60), 1:3 მატერაცი (85-პენ)

**გაძევება:** აბიატი (84. ტორინო)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 5-11 (4-8); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 25 000

### მესინა-რომა 1:1

**მესინა:** სტორარი-7, იულიანო-5, პარიზი-6.5, ძანკი-6, რეა-5.5, მაზიელო-5, დე ვეცე-6, ლავეკია-6.5 (61. ალვარესი-5.5), ჯალომბარდო-6 (28. კორდოვა-5.5/56. დი ნაპოლი-6), პესტრინი-6, ფლოკარი-5.5.

**რომა:** ა. დონი-5.5, კივუ-5, ფერარი-5.5, პანუჩი-6, ტონეტო-6, დე როსი-6, ტადეი-6 (81. ვილჰელმსონი-შ.გ), პეროტა-6 (83. კასეტი-შ.გ), მანსინი-6.5, პისარო-5.5, ტოტი-6.5.

**გოლები:** 0:1 მანსინი (39), 1:1 პარიზი (90-პენ)

**გაძევება:** პარიზი (90. მესინა)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-13 (6-8); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 20 000

### პალერმო-უდინეზე 2:0

**პალერმო:** ა. ფონტანა-7.5, ბარძალი-6, მ. პიზანო-6, ძაკარდო-7.5, კასანი-6, გუანა-7, ბრეშანო-6, სიმპლისიუ-6, კორინი-6, კარაჩოლო-7 (89. ჯოვ. ტედესკო-შ.გ), დი მიკელე-6 (70. დიანა-6).

**უდინეზე:** პაოლეტი-6, საპატა-5, დოსენა-შ.გ (9. კოდა-6), ნატალი-5, დე მარტინო-5.5, დ. ძენონი-6, ობოდო-6, პინცი-5.5 (80. ერიომენკო-შ.გ), იაკუინტა-7, დი ნატალე-5.5 (73. სიკეირა-შ.გ), ბარეტო-6.

**გოლები:** 1:0 კარაჩოლო (32), 2:0 ძაკარდო (75)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 13-19 (6-10); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 000

### მილანი-რეჯინა 3:1

**მილანი:** კალაჩი-6, კაფუ-6 (72. შიმიჩი-6), ბონერა-5, მალდინი-6, ფავალი-5.5, იანკულოვსკი-6.5, ზეედორფი-6.5, ბროკი-6, პირლო-6, ფ. ინძაგი-6.5 (57. გურკუფი-6.5), ჯილარდინო-6 (88. ოლივეირა-შ.გ).

**რეჯინა:** პელიცოლი-6.5, ლანძარო-6 (74. მისიროლი-6), ა. ლუკარელი-6 (65. ჯოზა-6), მოდესტო-6, არონიკა-6, მესტო-6.5, ჯაკ. ტედესკო-6.5, ტონიოცი-6, ბიანკი-6, ლეონი-5.5 (59. ნილსენი-5), ამორუზო-5.5.

**გოლები:** 1:0 პირლო (6), 2:0 ზეედორფი (35), 2:1 ბიანკი (66), 3:1 ჯილარდინო (78)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 12-16 (6-10); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 43 996

### სამპდორია-ფიორენტინა 0:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6, ფალკონე-6, აკარდი-6.5, კ. ძენონი-6, მაჯო-6, დ. ფრანჩესკინი-6.5, ვოლპი-6, პალომბო-6.5, ჯ. დელვეკიო-5.5 (57. ფლაკი-6.5), კვალიარელა-6.5, ბაძანი-5.5 (77. ბონაცოლი-შ.გ).

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, გამბერინი-6, პასკუალი-6, უიფალუში-5.5, პოტენცა-6, დონადელი-6, მონტოლივო-5 (59. პაციენცა-6), ბლაზი-6 (69. იორგენსენი-5), ლივერანი-5.5 (78. გობი-შ.გ), ტონი-5.5, მუტუ-5.5.

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 26-24; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 17-5 (9-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 21 980

### კიევო-კატანია 2:1

**კიევო:** სიჩინიანო-6.5, დ'ანა-6.5, მარკეზე-6.5, მანდელი-6.5, მალაგო-6, იტალიანო-6 (76. ლუსიანო-6), ბრიგი-6.5, სემიოლი-7 (80. ფ. მორო-შ.გ), სამარკო-7, ბოგდანი-6.5 (85. კოსატო-შ.გ), პელისიე-6.

**კატანია:** პანტანელი-7, სტოვინი-6.5, ვარგასი-5, სოტილი-6.5, სარდო-5 (83. ლუჩენტი-შ.გ), იცკო-5.5 (82. მილეზი-შ.გ), კაზერტა-6.5, ჯ. კოლუჩი-6.5, ბაიოკო-6.5, ედუსეი-5.5 (71. როსინი-6), სპინეზი-5.5.

**გოლები:** 0:1 სტოვინი (40), 1:1 სემიოლი (58), 2:1 პელისიე (64-პენ)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 32-25; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 19-8 (12-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 5 000

### ატალანტა-ლივორნო 5:1

**ატალანტა:** კალდერონი-6, რივალტა-6, ბელინი-6, ლორია-6, ადრიანო პერეირა-6, არიატი-6, დონატი-6, კ. დონი-7 (72. ბომბარდინი-6), პინტუ-6 (86. დეფენდი-შ.გ), მილიაჩო-6, ძამპანია-6.5 (75. ვენტოლა-6).

**ლივორნო:** ამელია-5.5, გრანდონი-5.5, პასკუალე-5.5 (73. ვიდიგალი-შ.გ), კნეჟევიჩი-6 (37. გალანტე-5), პფერტცელი-6, რეზაეი-5, კოპოლა-4.5, ა. ფილიპინი-5.5, ვიჯანი-5.5, მორონე-5.5, კ. ლუკარელი-6.

**გოლები:** 1:0 კ. დონი (38), 2:0 კ. დონი (45), 2:1 პფერტცელი (53), 3:1 დონატი (57), 4:1 არიატი (66), 5:1 ვენტოლა (90)

**გაძევება:** კოპოლა (48. ლივორნო)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 17-9 (11-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 12 000

### კალიარი-ასკოლი 1:0

**კალიარი:** ფორტინი-6, ლოპესი-6, ფ. პიზანო-6, აგოსტინი-6.5, კაპონე-5.5 (63. პეპე-5.5), ა. დ'აგოსტინო-5.5 (54. დელ გროსო-6), ლ. კოლუჩი-6.5, კონტი-5.5, სუასო-6.5, ლანჯელა-5.5 (77. ბუდელი-5).

**ასკოლი:** პალიუკა-6, პეკორარი-5.5, ნასტასე-6, კუდინი-5.5 (72. პეშე-5.5), დი ბიაჯო-6, ბონანი-6 (62. გუბერტი-6), ფინი-6.5, ვასტოლა-5.5, პ. ძანეტი-6, პერული-5 (46. პაოლუჩი-5.5), ბელანოვიჩი-6.

**გოლი:** 1:0 სუასო (16-პენ)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 16-24; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 15-10 (6-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 10 000

### ლაციო-სიენა 1:1

**ლაციო:** პერუცი-6, ოდო-6.5, კრიბარი-6, სტენდარდო-6 (46. ბონეტო-6), ძაური-6, მუდინგაი-5.5, ლედესმა-5.5, მუტარელი-6, მაური-5.5 (76. მანფრედინი-შ.გ), როკი-6.5, პანდევი-5 (55. მაკინვა-6).

**სიენა:** მანინგერი-7, ბერტოტო-6 (79. ნეგრო-შ.გ), პორტანოვა-6, რინაუდო-6, მოლინარო-6, ანტონინი-6, ვერგასოლა-7, კოდრეა-5.5, ლოკატელი-5.5 (65. კოცა-7), ფრიკი-5.5, კორვია-5 (75. კიეზა-6).

**გოლები:** 1:0 როკი (61), 1:1 კოცა (87)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-8; **ჯარიმა:** 14-27; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 17-16 (11-8); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 28 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 19 | 16 | 3 | 0 | 41-16 | 51 |
| 2. რომა | 19 | 13 | 3 | 3 | 41-16 | 42 |
| 3. პალერმო | 19 | 12 | 2 | 5 | 37-23 | 38 |
| 4. ლაციო | 19 | 8 | 5 | 6 | 30-18 | 26 |
| 5. კატანია | 18 | 7 | 5 | 6 | 26-33 | 26 |
| 6. ემპოლი | 18 | 6 | 7 | 5 | 16-17 | 25 |
| 7. ატალანტა | 19 | 6 | 6 | 7 | 32-30 | 24 |
| 8. სამპდორია | 19 | 6 | 6 | 7 | 28-26 | 24 |
| 9. მილანი | 19 | 8 | 7 | 4 | 25-17 | 23 |
| 10. უდინეზე | 19 | 6 | 5 | 8 | 19-23 | 23 |
| 11. ტორინო | 19 | 5 | 7 | 7 | 15-23 | 22 |
| 12. ლივორნო | 19 | 5 | 7 | 7 | 19-29 | 22 |
| 13. სიენა | 19 | 4 | 10 | 5 | 16-20 | 21 |
| 14. ფიორენტინა | 19 | 10 | 4 | 5 | 30-17 | 19 |
| 15. კალიარი | 19 | 3 | 10 | 6 | 15-21 | 19 |
| 16. კიევო | 19 | 4 | 5 | 10 | 20-28 | 17 |
| 17. მესინა | 19 | 3 | 7 | 9 | 20-33 | 16 |
| 18. რეჯინა | 19 | 6 | 5 | 8 | 24-28 | 12 |
| 19. პარმა | 19 | 2 | 6 | 11 | 16-35 | 12 |
| 20. ასკოლი | 19 | 1 | 6 | 12 | 13-29 | 9 |

**ბომბარდირები:** 12 - ტოტი (რომა); 11 - სპინეზი (კატანია); 10 - ბიანკი (რეჯინა), მუტუ (ფიორენტინა); 9 - კ. დონი (ატალანტა), კვალიარელა (სამპდორია), რიგანო (მესინა), ტონი (ფიორენტინა); 8 - ამაური (პალერმო), ბუდანი (პარმა), იაკუინტა (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი).

## სერია B

### XIX ტური

**სპეცია-პიაჩენცა 3:3**

**გოლები:** 0:1 დეგანო (8), 1:1 კონფალონე (41), 1:2 დეგანო (42), 2:2 გუიდეტი (49), 2:3 კაჩა (50), 3:3 პადოინი (81)

**მანტოვა-იუვენტუსი 1:0**

**იუვენტუსი:** ბუფონი (79. მირანტე), ბირინდელი (90. დე ჩელიე), კოვაჩი, ზებინა, ბალცარეტი, პარო, პიკოლო (59. კამორანეზი), მარკიზიო, დელ პიერო, სალაიეტა, ტრეზეგე.

**გოლი:** 1:0 კოვაჩი (52-საკ. კარში)

**ფროზინონე-კროტონე 1:1**

**გოლები:** 1:0 მარჯოტა (7), 1:1 კარიელო (45)

**ნაპოლი-ვერონა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბუკი (82-პენ)

**გაძევება:** კალაიო (41. ნაპოლი), ლუნკო (75. ვერონა)

**პესკარა-ჯენოა 2:1**

**გოლები:** 1:0 რიგონი (50-პენ), 1:1 ფორესტიერი (79), 2:1 რიგონი (87-პენ)

**ტრიესტინა-მოდენა 1:0**

**გოლი:** 1:0 ალეგრეტი (22)

**ვიჩენცა-ბრეშა 1:3**

**გოლები:** 1:0 შვოხი (26), 1:1 პოსანცინი (40), 1:2 პოსანცინი (47), 1:3 მანინი (63)

**ბარი-ალბინოლეფე 0:0**

**ბოლონია-ტრევიზო 0:0**

**ჩეზენა-ლეჩე 0:0**

**არეცო-რიმინი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნაპოლი | 19 | 9 | 8 | 2 | 20-11 | 35 |
| 2. პიაჩენცა | 19 | 10 | 4 | 5 | 24-19 | 34 |
| 3. რიმინი | 18 | 9 | 6 | 3 | 31-15 | 33 |
| 4. მანტოვა | 19 | 8 | 9 | 2 | 21-12 | 33 |
| 5. ბოლონია | 19 | 10 | 3 | 6 | 24-17 | 33 |
| 6. იუვენტუსი | 18 | 12 | 5 | 1 | 30-9 | 32 |
| 7. ჯენოა | 19 | 9 | 5 | 5 | 31-25 | 32 |
| 8. ბარი | 19 | 7 | 7 | 5 | 18-12 | 28 |
| 9. ალბინოლეფე | 19 | 5 | 13 | 1 | 18-14 | 28 |
| 10. ჩეზენა | 18 | 6 | 8 | 4 | 26-25 | 26 |
| 11. ფროზინონე | 19 | 7 | 5 | 7 | 22-23 | 26 |
| 12. ტრიესტინა | 18 | 7 | 6 | 5 | 14-15 | 26 |
| 13. ბრეშა | 19 | 6 | 7 | 6 | 20-21 | 25 |
| 14. ლეჩე | 19 | 6 | 3 | 10 | 24-30 | 21 |
| 15. ტრევიზო | 19 | 4 | 8 | 7 | 20-23 | 20 |
| 16. სპეცია | 19 | 4 | 8 | 7 | 20-25 | 20 |
| 17. მოდენა | 19 | 5 | 4 | 10 | 11-19 | 19 |
| 18. კროტონე | 18 | 3 | 8 | 7 | 16-25 | 17 |
| 19. ვიჩენცა | 19 | 3 | 6 | 10 | 17-23 | 15 |
| 20. ვერონა | 19 | 2 | 5 | 12 | 6-20 | 11 |
| 21. პესკარა | 19 | 1 | 7 | 11 | 14-34 | 9 |
| 22. არეცო | 18 | 2 | 7 | 9 | 9-19 | 7 |

**ბომბარდირები:** 11 - ბელუჩი (ბოლონია); 9 - ადაილტონი (ჩეზენა); 8 - ჟედა (რიმინი); 7 - კალაიო (ნაპოლი), ლოდი (ფროზინონე), მარჯოტა (ფროზინონე), პაპა ვაიგო (ჩეზენა), პოსანცინი (ბრეშა).

## სერია C1/A

### XVIII ტური

პრო სესტო-გროსეტო 0:1; ვენეცია-ივრეა 1:0; ნოვარა-ლუკეზე 1:1; ჩიტადელა-მასეზე 1:0; სანჯოვანეზე-მონცა 1:0; პავია-პადოვა 3:2; პრო პატრია-პისტოიეზე 0:0; პიზა-პიციგეტონე 4:0; კრემონეზე-სასუოლო 1:0.

## სერია C1/B

### XVIII ტური

ტერამო-ანკონა 1:1; გალიპოლი-აველინო 2:2; კავეზე-ფოჯა 1:0; ტერნანა-ჯულიანოვა 1:0; მანფრედონია-იუვე სტაბია 1:1; სან მარინო-ლანჩანო 1:0; სამბენედეტეზე-პერუჯა 1:1; მარტინა-სალერნიტანა 1:0; რავენა-ტარანტო 1:0.

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIII ტური

# ჩელსის ფანები ჟოზეს ამხნევებენ

**მაიკლ ქერიკმა** "მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა, მისმა გუნდმა კი მდევართან ექვსქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. "ტოტენჰემიდან" 18 მილიონ გირვანქად შეძენილმა ნახევარმცველმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. "ოლდ ტრეფორდზე" მისული სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი (76 073 კაცი) საყვარელი გუნდის ასპარეზობით კმაყოფილი დარჩა.

"იუნაიტედს" "ასტონ ვილის" მცველებმა გაუადვილეს საქმე. ბირმინგემელებმა მოუგებელი სერია 12 მატჩამდე აიყვანეს. სტუმრებმა დასაწყისში იმდენიმე შეცდომა დაუშვეს, რომ რამდენიმე მატჩს ეყოფოდა. თამაშის წინ **კრისტიანო რონალდოს** პრემიერლიგის დეკემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადასცეს. პორტუგალიელმა ტიტული სეზონის მე-13 გოლით აღნიშნა. მან 35-ე წუთზე შეაგდო, მაგრამ იმ დროისთვის, **პარკისა** და ქერიკის წყალობით, "ეშმაკებს" უკვე სოლიდური უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული.

მასპინძლებს ანგარიშის გახსნა მე-4 წუთზე შეეძლოთ. **ჰენრიკ ლარსონი** მეურვეს დაუსხლტა, **გარი ნევილის** გადაცემა მიიღო და თავით ძლიერად დაარტყა. **ტომას სორენსენმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. მე-11 წუთზე დანიელი მეკარე უძლური აღმოჩნდა. **გარი კაჰილმა** ბურთი საჯარიმოდან ვერ გაიტანა, მას ჟი სუნ პარკი დაეუფლა და დაბალ კუთხეში სეზონის პირველი გოლი შეაგდო. ორ წუთში კორეელმა ნახევარმცველმა საგოლე გადაცემა გააკეთა. მან ქერიკს დაუგორა ბურთი, ამ უკანასკნელმა კი შეუჩერებლად დასცხო.

ათ წუთში "ვილას" ერთი გოლის გაქვითვა შეეძლო. **გაბრიელ აგბონლაორი** ხელოვნურ თამაშგარეს გაექცა და მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩა. **ედვინ ვან დერ სარმა** პოზიცია ზუსტად შეარჩია და ახალგაზრდა თავდამსხმელის დარტყმა უკუაგდო. 34-ე წუთზე "იუნაიტედმა" მესამედ აიღო მეტოქის კარი. იერიში ისევ პარკმა წამოიწყო. მან **გევინ მაკანს** აართვა ბურთი და მაშინვე ქერიკი მოძებნა, ქერიკმა მეტოქის საჯარიმოში გრძელი გადაცემა გააკეთა, რომელსაც რონალდო გამოეხმაურა და თავით შეაგდო.

"იუნაიტედი" უპრობლემოდ აკონტროლებდა მოედნის ცენტრს. ტაიმის მიწურულს **პოლ სქოულზმა** ქერიკს კიდევ ერთი მომენტი შეუქმნა, მაგრამ მაიკლმა ბურთი ხარიხას გადააცილა. ერთ წუთში **უეინ რუნისაც** შეეძლო თავის გამოჩენა. მან რონალდოს პასი საჯარიმოს ხაზთან მიიღო, მაგრამ იჩქარა და დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

"ასტონ ვილამ" საპასუხო გოლი 51-ე წუთზე გაიტანა. აგბონლაორმა **მილან ბაროშის** კარგი თამაშითა და ზუსტი პასით ისარგებლა. რუნიმ კიდევ ერთი მომენტი გაანიავა. ცოტა ხანში **სერ ალექს ფერგიუსონმა** მინდორზე მესამე თავდამსხმელი შეიყვანა: პარკი **ლუის საამ** შეცვალა. ფრანგმა ფორვარდმა საზარდულის ტრავმის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა. მისმა შვებულებამ სულ რაღაც 12 დღეს გასტანა. ლუისმა ბურთთან პირველივე შეხება კინაღამ გოლად აქცია. კაჰილმა პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომა გამოისყიდა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა ლარსონსაც, მაგრამ იმ საღამოს თავის გამოჩენა არ ეწერა. 79-ე წუთზე ფერგიმ ის მეორე ვეტერანი თავდამსხმელით, **ოლე გუნარ სოლსკიაერით** შეცვალა...

"ჩელსი" "ვიგანთან" მატჩს არახელსაყრელი ფონით შეხვდა. **ჟოზე მოურინიოს** გუნდიდან აბარგება უწინასწარმეტყველეს. წინასამატჩო პროგრამაში მწვრთნელმა ფანებს გუნდის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. "სტემფორდ ბრიჯის" სავსე ტრიბუნები მას ოვაციებით შეეგება. "არისტოკრატებმა" მეტოქეს 4:0 ასიამოვნეს. **დიდიე დროგბამ** სეზონის 21-ე გოლი გაიტანა. ინგლისის ჩემპიონებმა კი სამმატჩიან მოუგებელ სერიას დაუსვეს წერტილი.

"ჩელსის" ანგარიშის გასახსნელად 13 წუთი დასჭირდა. **ჯონ ტერის** შემცვლელმა კაპიტანმა **ფრენკ ლემპარდმა** სეზონის მე-13 გოლი ჯარიმით შეაგდო. მას კიდევ ერთი საჯარიმოს გატანა შეეძლო. ფრენკმა ბურთი დაბალ კუთხეში გაგზავნა, მაგრამ **კრის კერკლანდმა** ის კუთხურზე მოიგერია.

**მიკაელ ესიენი** კვლავ დაცვის ცენტრში თამაშობდა. განელი ნახევარმცველი ამ პოზიციაზეც შეუდარებელი იყო. მასა და **რიკარდო კარვალიოს** "ვიგანის" ყველაზე მრისხანე თავდამსხმელის **ემილ ჰესკის** ნეიტრალიზება არ გასჭირვებიათ. **არიენ რობენმა** მარცხენა ფლანგი აიკლო. "ჩელსის" მეკარე **ენრიკე ილარიო**, ფაქტობრივად, მაყურებელი გახლდათ, რადგან მცველები მას სამუშაოს არ უტოვებდნენ.

განსაკუთრებულად აქტიურობდნენ ფანები. პერიოდულად, ისინი ჟოზეს სახელს სკანდირებდნენ და მისთვის მიძღვნილ სიმღერებს მღეროდნენ. 62-ე წუთზე ანგარიში გაორმაგდა: ვიგანელმა მცველმა **ჰესტადმა** მეკარისთვის გაგორებული ბურთი რობენს ჩააბარა, ჰოლანდიელმა კერკლანდს გვერდი აუარა და შეაგდო. მესამე გოლის მთავარი გმირებიც რობენი და კერკლანდი იყვნენ. 69-ე წუთზე "ჩელსის" გარემარბმა მარცხენა ფლანგზე რეიდი მოაწყო და საჯარიმოში დაბალი ბურთი ჩააწოდა. ბურთი "ვიგანის" მეკარეს შეეხო და კარში შეგორდა. სტუმართა საცოდაობას 90-ე წუთზე დროგბამ დაუსვა წერტილი. მან **ობი მიკელის** პასით ისარგებლა და თავით შეაგდო.

"ლივერპულმა" აუტსაიდერ "უოტფორდს" დიდი ანგარიშით მოუგო. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ **კრეიგ ბელამი** დაასახელეს. მან ერთი გოლი შეაგდო და **პიტერ კრაუჩის** ორი გოლის თანაავტორი გახდა. უოტფორდელებს შაბათის მატჩამდე უსაფრთხო ზონისაგან ისედაც 10 ქულა აშორებდათ. მორიგი დამარცხების შემდეგ ისინი გავარდნის უმთავრესი კანდიდატები გახდნენ. იმედგაცრუებულმა ქომაგებმა თავიანთი გუნდი სტვენით გააცილეს.

**რაფა ბენიტესმა** "არსენალთან" შერცხვენილ (3:6) შემადგენლობაში შვიდი ფეხბურთელი შეცვალა. ძირითადს დაუბრუნდნენ **ხოსე რეინა, ჯეიმი კარაგერი, ჩაბი ალონსო, დირკ კუიტი** და **პიტერ კრაუჩი**. იმათგან, რომლებიც "არსენალის" სარეზერვო გუნდმა მიწასთან გაასწორა, მხოლოდ **სემი ჰიიპიამ, ფაბიო აურელიომ, სტივ ჯერარდმა** და **კრეიგ ბელამიმ** ითამაშეს. მერსაიდელები გაცილებით თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათ ნამდვილი ტესტი მომდევნო ტურში "ჩელსისთან" საშინაო მატჩში ელით.

"ლივერპულმა" ანგარიში მე-12 წუთზე გახსნა, მაგრამ **დანიელ აგერს** გოლი თამაშგარის გამო არ ჩაუთვალეს. 34-ე წუთზე ბელამიმ მეტოქე წესების დაცვით დაამწუხრა. "უოტფორდის" მეკარე **ბენ ფოსტერმა** მის საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი მოიგერია, მაგრამ მას **სტივ ფინენი** დაეუფლა და კარიდან ექვს იარდში უმეთვალყურეოდ დატოვებულ ბელამის მიაწოდა. კრეიგმა კი სეზონის მერვე გოლი შეაგდო.

39-ე წუთზე მასპინძლებმა რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს და უმალ დაისაჯნენ. რეინამ ბურთი თამაშში შეიყვანა. კუიტმა ის თავით ბელამის გადააწოდა. ფოსტერმა უელსელის იერიში გაჭირვებით მოიგერია, ბურთი კრაუჩს მიუგორდა და მანაც ცარიელ კარში გაიტანა.



მოურინიო ჯერ არაფერს ამბობს

უოტფორდელებმა მეორე ნახევარი აქტიურად დაიწყეს. მთავარმა მწვრთნელმა **ადრიან ბუთროიდმა** ცვლილებები განახორციელა, მაგრამ 48-ე წუთზე მესამე გოლი მიიღეს და ბრძოლის ყოველგვარი სურვილი დაეკარგათ. კონტრიერიში ჯერარდმა წამოიწყო. მან ფლანგზე ბელამი მონახა. კრეიგი რეაქტიული სისწრაფით გაექცა მცველებს და საჯარიმოში კრაუჩის მისამართით ჩააწოდა. პიტერმა საჩუქარი შეირგო და დუბლი შეასრულა. თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე ბენიტესმა ბელამი **რობი ფაულერით** შეცვალა...

გაიმარჯვა "არსენალმაც", რომელმაც "ბლექბერნთან" თითქმის მთელ მატჩი კაცნაკლულმა ჩაატარა. მე-13 წუთზე არბიტრმა **ჟილბერტო სილვა** გააძევა. ბრაზილიელმა **რობი სევიჯის** წინააღმდეგ იუხეშა, მაგრამ არა ისე სასტიკად, როგორც მასპინძელთა ნახევარმცველმა გააფორმა. **არსენ ვენგერმა** გუნდი უმალ გადააწყო და მართალია, პირველი წრის მსგავსი ანგარიშით (6:2) არა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მომავალ უქმეებზე "მეთოფეები" "მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობენ. მოსიე ვენგერს ჟილბერტო იქ უფრო დააკლდება.

ანგარიში 37-ე წუთზე, **კოლო ტურემ** გახსნა. გოლი ტიერის ანრის კუთხურს მოჰყვა, მაგრამ ის არაფერი იყო იმ გოლთან შედარებით, რომელიც ფრანგმა ვარსკვლავმა 71-ე წუთზე შეაგდო. ეს ბურთი "ბლექბერნის" მიერ უნიჭოდ შესრულებულ საჯარიმოს მოჰყვა. ანრი ბურთს საკუთარ ნახევარზე დაეუფლა და მეტოქის კარისაკენ დაიძრა. ოთხი მცველის წინააღმდეგობის მიუხედავად, მან დაუბრკოლებლად ჩაირბინა მარცხენა ფლანგი და **სესკ ფაბრეგასი** მოძებნა. ფაბრეგასმა ბურთი ისე ანრის გაუგორა, მან კი **ბრედ ფრიდელს** მარჯვენა მაღალ კუთხეში გაუტანა...

დანარჩენი მატჩებიდან აღსანიშნავია "ვესტ ჰემი"-"ფულჰემის" ფეიერული დერბი, 3:3. "ჩაქუჩებმა" ორი ქულის დაკარგვაში მსაჯი **გრემ პოლი** დაადანაშაულეს, რომელმაც თავდამსხმელი **ბობი ზამორა** გააძევა. იქამდე ზამორამ ინგლისურ ლიგაში მე-100 გოლი შეაგდო, რომელიც ამავე დროს მისი პირველი გოლი გახლდათ ბოლო 19 მატჩში. "მიდლსბრომ" სტუმრად გავარდნის ერთი კანდიდატი "ჩარლტონი" დაამარცხა, ხოლო "ბოლტონი"-"მანჩესტერ სიტისა" და "შეფილდი"-"პორტსმუთის" მატჩები ფრედ დასრულდა.

### მომდევნო ტური

**20 იანვარი. ასტონ ვილა-უოტფორდი, ფულჰემი-ტოტენჰემი, ლივერპული-ჩელსი, მანჩესტერ სიტი-ბლექბერნი, მიდლსბრო-ბოლტონი, ნიუკასლი-ვესტ ჰემი, პორტსმუთი-ჩარლტონი, რიდინგი-შეფილდი. 21 იანვარი. ვიგანი-ევერტონი, არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი.**

### მანჩესტერი იუნ.-ასტონ ვილა 3:1

**იუნაიტედი:** ვან დენ სარი, ფილ ნევილი, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდო, ქერიკი (80. ოში), სქოულზი, პარკი (65. საა), რუნი, ლარსონი (80. სოლსკიაერი).

**ვილა:** სორენსენი, მელბერგი, რიჯველი, კაჰილი, ბუმა (46. სამუელი), ჰიუზი (46. დევისი), მაკანი, ოსბორნი, ბერი, აგბონლაორი, ბაროში.

**გოლები:** 1:0 პარკი (11), 2:0 ქერიკი (13), 3:0 რონალდო (35), 3:1 აგბონლაორი (52).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 27(17)-7(5); **ჯარიმა:** 8-15; **კუთხური:** 8-4.

**მაყურებელი:** 76 073

### ჩელსი-ვიგანი 4:0

**ჩელსი:** ილარიო, ფერეირა (86. ჯერემი), კარვალიო, ესიენი, ბრიჯი, ბალაკი, მაკელელე, ლემპარდი, დროგბა, კალუ (82. მიკელი), რობენი (82. საპარი).

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ჰოლი, ანსუორთი, ბაინესი, კოტერილი (66. ტეილორი), სკოკო, ჰესტადი (73. ლანდზაატი), კილბეინი, ჰესკი (77. იოჰანსონი), მაკალოხი.

**გოლები:** 1:0 ლემპარდი (13), 2:0 რობენი (63), 3:0 კერკლანდი (70-საკ.კარში), 4:0 დროგბა (90).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 12(6)-2(1); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 7-3.

**მაყურებელი:** 40 846

### უოტფორდი-ლივერპული 0:3

**უოტფორდი:** ფოსტერი, მარიაპა, დემერიტი, მაკეი, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი, ბანგურა (46. ჰენდერსონი), მაკნემი (46. ჰოსკინსი), იანგი, ბუაზა.

**ლივერპული:** რეინა, აგერი, ჰიიპია, კარაგერი, ფინენი, ალონსო, ჯერარდი, აურელიო, კრაუჩი (69. პენანტი), ბელამი (84. ფაულერი), კუიტი (77. რიისე).

**გოლები:** 1:0 ბელამი (34), 2:0 კრაუჩი (40), 3:0 კრაუჩი (48).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 8(4)-22(13); **ჯარიმა:** 9-10; **კუთხური:** 3-12.

**მაყურებელი:** 19 746

### ბლექბერნი-არსენალი 0:2

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ოოიერი (59. ნონდა), ანშო, ხიზანიშვილი, ნილი, ემერტონი, სევიჯი, მოკოენა (46. ქერიმოღლუ), პედერსენი, დერბიშირი, მაკარტნი.

**არსენალი:** ლემანი, ჰოიტი, კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები, ფაბრეგასი (90. ჯურუ), ჟილბერტო, როსიცკი, ანრი (80. ადებაიორი), ვან პერსი (68. ფლამინი).

**გოლები:** 1:0 კოლო ტურე (37), 2:0 ანრი (71).

**გაძევება:** ჟილბერტო (13. არსენალი).

**გაფრთხილება:** 4-0; **დარტყმა:** 13(7)-6(4); **ჯარიმა:** 15-5; **კუთხური:** 8-2.

**მაყურებელი:** 21 852

### ბოლტონი-მანჩესტერ სიტი 0:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი, ბენ ჰაიმი, მეიტე, გარდნერი, სპიდი, კამპო, ტალი (66. თეიმურიანი), ანელკა, დევისი (63. იანაკოპულოსი), დიუფი (80. ვას ტე).

**სიტი:** ვივერი, რიჩარდსი, დანი, ონუოა, სინკლერი, დაბო, ბარტონი, ირლანდი, დესტენი, კორადი (71. სამარასი), ვასელი (90. მილერი).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 8(4)-7(0); **ჯარიმა:** 14-13; **კუთხური:** 5-2.

**მაყურებელი:** 22 334

### ჩარლტონი-მიდლსბრო 1:3

**ჩარლტონი:** კარსონი, ელ ქარქური, დიავარა, ჰრეიდარსონი, ტეტჩერი, რომედალი (83. ტომასი), ჰოლანდი, რიდი, ემბროუზი (83. ჰიუზი), მარკუს ბენტი (74. სემი), ჰასელბენკი.

**მიდლსბრო:** შვარცერი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კატერმოული, ბოატენგი (74. მორისონი), არკა, დაუნინგი, ვიდუკა (90. იუელი), იაკუბუ (83. კრისტი).

**გოლები:** 1:0 ჰასელბენკი (27), 1:1 კატერმოული (45), 1:2 არკა (63), 1:3 იაკუბუ (68).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 16(9)-12(9); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 5-3.

**მაყურებელი:** 26 384

### ვესტ ჰემი-ფულჰემი 3:3

**ვესტ ჰემი:** ქეროლი, დეილი, კოლინზი (11. სპექტორი), გებიდონი (81. ნიუტონი), მაკარტნი, ბენაიუნი, რეო-კოკერი, კვოში, ბოა მორტე, კოული, ტევესი (13. ზამორა).

**ფულჰემი:** ლაშტუვკა, როსენორი, კრისტანვალი, ბოკანეგრა, კუოდრო, რუთლიჯი, ვოლცი, ბრაუნი, რაძინსკი, მაკბრაიდი, ჰელგუსონი (67. მონტელა).

**გოლები:** 0:1 რაძინსკი (16), 1:1 ზამორა (28), 2:1 ბენაიუნი (46), 2:2 მაკბრაიდი (59), 3:2 მაკბრაიდი (64), 3:3 კრისტანვაოი (90).

**გაძევება:** ზამორა (76. ვესტ ჰემი).

**გაფრთხილება:** 3-6; **დარტყმა:** 10(7)-9(6); **ჯარიმა:** 20-21; **კუთხური:** 8-5.

**მაყურებელი:** 34 977

### შეფილდ იუნ.-პორტსმუთი 1:1

**შეფილდი:** ჯერარდი, კოზლუკი, ლუკეტი, დევისი, გირი, გილესპი, ჟაგიელკა, მონტგომერი, სტივ ქუინი (85. ტონგე), ჰალსი, სტიდი (77. ნეიდი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი (54. კრანჩარი), კემპბელი, ტრაორე, ონილი, დევისი (74. მვარუვარი), პედრო მენდესი, ტეილორი, კოული, კანუ (88. ჰიუზი).

**გოლები:** 1:0 ქუინი (22), 1:1 ონილი (81).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 6(3)-13(6); **ჯარიმა:** 14-19; **კუთხური:** 2-10.

**მაყურებელი:** 30 269

### ევერტონი-რედინგი 1:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფილ ნევილი, იობო, ლესკოტი, ნეისმითი, ვან დერ მეიდე (71. ბიტი), კარსლი, კაჰილი, ოსმანი, მაკფადენი (46. ანიჩებე), ენდრიუ ჯონსონი.

**რედინგი:** ჰანემანი, დე ლა კრუსი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ლიტლი, სიდველი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი (38. ლონგი), ლიტა.

**გოლები:** 0:1 ლესკოტი (28-საკ.კარში), 1:1 ენდრიუ ჯონსონი (81).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(7)-7(3); **ჯარიმა:** 12-17; **კუთხური:** 8-5.

**მაყურებელი:** 36 560

### ტოტენჰემი-ნიუკასლი 2:3

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დავენპორტი (88. გალი), დოუსონი, ჰადლსტოუნი, იანპიო ლი, ლენონი, მალბრანკი (75. კინი), ტაინიო (79. ზოკორა), ბერბატოვი, დეფო.

**ნიუკასლი:** გივენი, ჰანტიგნტონი, რემიჯი, ბატი, დაიერი, მილნერი, პატისონი, სიბირსკი, სოლანო, ს. ტეილორი, მარტინსი.

**გოლები:** 1:0 დეფო (14), 1:1 ჰანტიგტონი (16), 2:1 ბერბატოვი (54), 2:2 მარტინსი (72), 2:3 ბატი (76)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 25(17)-12(7); **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 8-9

**მაყურებელი:** 35 942

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 23 | 18 | 3 | 2 | 52-16 | 57 |
| 2. ჩელსი | 23 | 15 | 6 | 2 | 41-17 | 51 |
| 3. ლივერპული | 23 | 13 | 4 | 6 | 35-16 | 43 |
| 4. არსენალი | 23 | 12 | 6 | 5 | 43-19 | 42 |
| 5. ბოლტონი | 23 | 12 | 4 | 7 | 27-21 | 40 |
| 6. პორტსმუტი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-23 | 37 |
| 7. ევერტონი | 23 | 8 | 8 | 7 | 29-23 | 32 |
| 8. ტოტენჰემი | 23 | 9 | 5 | 9 | 28-31 | 32 |
| 9. რიდინგი | 23 | 9 | 4 | 10 | 31-31 | 31 |
| 10. მანჩ. სიტი | 23 | 8 | 6 | 9 | 19-25 | 30 |
| 11. ნიუკასლი | 23 | 8 | 5 | 10 | 26-29 | 29 |
| 12. ბლექბერნი | 22 | 8 | 4 | 10 | 24-31 | 28 |
| 13. ფულჰემი | 23 | 6 | 10 | 7 | 25-35 | 28 |
| 14. მიდლსბრო | 23 | 7 | 6 | 10 | 24-28 | 27 |
| 15. ასტონ ვილა | 23 | 5 | 11 | 7 | 24-28 | 26 |
| 16. შეფილდი | 23 | 6 | 6 | 11 | 18-30 | 24 |
| 17. ვიგანი | 22 | 6 | 4 | 12 | 23-36 | 22 |
| 18. ვესტ ჰემი | 23 | 5 | 4 | 14 | 15-36 | 19 |
| 19. ჩარლტონი | 23 | 4 | 4 | 15 | 18-43 | 16 |
| 20. უოტფორდი | 21 | 1 | 9 | 11 | 12-29 | 12 |

**ბომბარდირები:** 14 - დროგბა (ჩელსი); 13 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 10 - აიეგბენი (მიდლსბრო), ვან პერსი (არსენალი), დოილი (რიდინგი); 8 - ჯონსონი (ევერტონი), ანრი (არსენალი), მარტინსი (ნიუკასლი), ბერი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი), დ. ბენტი (ჩარლტონი), კანუ (პორტსმუტი), მაკარტი (ბლექბერნი), საა (მანჩესტერ იუნ), რუნი (მანჩესტერ იუნ); 7 - ანელკა (ბოლტონი), მაკბრაიდი (ფულჰემი), ჟილბერტო (არსენალი), კუიტი (ლივერპული).

### ჩემპიონატი

XXVIII ტური

**ვესტ ბრომვიჩი-ლუტონი 3:2**

გოლები: 1:0 კუმასი (45), 1:1 კინი (60), 1:2 ფინი (70), 2:2 ფილიპსი (88), 3:2 ფილიპსი (90)

**ბარნსლი-პრესტონი 0:1**

გოლი: 0:1 ჩილვერსი (55)

**კარდიფი-საუთენდი 0:1**

გოლი: 0:1 ბრედბერი (23)

**კოლჩესტერი-ლესტერი 1:1**

გოლები: 0:1 ჰუმი (19), 1:1 იველუმო (48-პენ)

**ქოვენთრი-კრ.პალასი 2:4**

გოლები: 0:1 ფლეტჩერი (19), 0:2 კუკი (27), 0:3 კორტი (28), 0:4 მაკანუფი (39), 1:4 მაკენზი (45), 2:4 კაილი (57)

**დერბი-უენსდი 1:0**

გოლი: 1:0 ჯონსი (90)

**ჰალი-ქუინზ პარკი 2:1**

გოლები: 0:1 ბლეკსტოკი (45), 1:1 ელიოტი (85), 2:1 ელიოტი (90)

**ნორვიჩი-პლიმუტი 1:3**

გოლები: 1:0 საფრი (45), 1:1 ჰეილსი (59), 1:2 ბუზაკი (63), 1:3 ბუზაკი (75)

**საუთჰემპტონი-ბარნლი 0:0**

**სტოკი-ვულვზი 1:1**

გოლები: 0:1 კოლინზი (63), 1:1 ჰილი (85)

**სანდერლენდი-იფსვიჩი 1:0**

გოლი: 1:0 კონოლი (13)

**ბირმინგემი-ლიდსი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბირმინგემი | 27 | 16 | 5 | 6 | 46-26 | 53 |
| 2. დერბი | 28 | 16 | 5 | 7 | 37-28 | 53 |
| 3. პრესტონი | 28 | 14 | 8 | 6 | 41-28 | 50 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 13 | 7 | 8 | 51-33 | 46 |
| 5. საუთჰემპტონი | 28 | 12 | 10 | 6 | 44-32 | 46 |
| 6. კოლჩესტერი | 28 | 13 | 5 | 10 | 46-31 | 44 |
| 7. სტოკი | 27 | 12 | 8 | 7 | 36-22 | 44 |
| 8. კარდიფი | 28 | 11 | 10 | 7 | 36-29 | 43 |
| 9. სანდერლენდი | 28 | 13 | 4 | 11 | 37-32 | 43 |
| 10. ვულვზი | 28 | 12 | 7 | 9 | 29-30 | 43 |
| 11. უენსდი | 28 | 11 | 7 | 10 | 39-38 | 40 |
| 12. პლიმუტი | 28 | 9 | 12 | 7 | 36-35 | 39 |
| 13. ბარნლი | 27 | 10 | 8 | 9 | 32-28 | 38 |
| 14. კრ. პალასი | 28 | 10 | 7 | 11 | 35-34 | 37 |
| 15. იფსვიჩი | 28 | 10 | 5 | 13 | 37-38 | 35 |
| 16. ქოვენთრი | 28 | 10 | 4 | 14 | 27-35 | 34 |
| 17. ნორვიჩი | 28 | 9 | 7 | 12 | 35-45 | 34 |
| 18. ლესტერი | 28 | 8 | 9 | 11 | 27-35 | 33 |
| 19. ლუტონი | 28 | 8 | 7 | 13 | 37-48 | 31 |
| 20. ქუინზ პარკი | 28 | 8 | 6 | 14 | 35-43 | 30 |
| 21. ჰალი | 28 | 8 | 6 | 14 | 29-39 | 30 |
| 22. ბარნსლი | 28 | 7 | 5 | 16 | 29-48 | 26 |
| 23. ლიდსი | 27 | 7 | 3 | 17 | 27-49 | 24 |
| 24. საუთენდი | 28 | 5 | 9 | 14 | 23-45 | 24 |

**ბომბარდირები:** 14 - რასიაკი (საუთჰემპტონი), ირნშოუ (ნორვიჩი); 12 - კარეტონი (კოლჩესტერი), ჩოპრა (კარდიფი); 11 - მაკშიფრი (ბირმინგემი); 10 - იველუმო (კოლჩესტერი), გრეი (ბარნლი), კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 9 - ვაინი (ლუტონი), ლი (იფსვიჩი).

### I ლიგა

XXVIII ტური

**ბლეკპული-პორტ ვეილი 2:1; ბრედფორდი-სუონსი 2:2; ბრენტფორდი-ლეიტონი 2:2; ბრაიტონი-მილუოლი 0:1; ბრისტოლი-ტრანმერი 3:2; ქრიუ-ბორნმუთი 2:0; ჯილინგემი-დონკასტერი 0:2; ჰადერსფილდი-ჩელტენემი 2:0; ნორთჰემპტონი-კარლაილი 3:2; ნოტინგემი-იეოვილი 1:0; როტერჰემი-ჩესტერფილდი 0:1; სკანთორფიოლდჰემი 1:1.**

### II ლიგა

XXVIII ტური

**აკრინგტონი-ნოტსი 1:2; ბარნეტი-მაკლსფილდი 1:0; ჩესტერი-უიკომბი 0:1; დარლინგტონი-პიტერბრო 3:1; ჰარტლპული-მილტონი 1:0; ჰერეფორდი-მენსფილდი 1:3; ლინკოლნი-შრიუსბერი 1:1; როჩდეილი-როვერსი 0:1; სტოკპორტი-ბოსტონი 2:0; სუინდონი-რექსჰემი 2:1; ტორკი-ბერი 2:2; უოლსოლი-გრიმსბი დღეს.**

### კონფერენსი

XXIV ტური

**ალდერშოტი-ქროული 0:2; კემბრიჯი-სტეფორდი 0:1.**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVIII ტური

# ბალეარული სასწაული

## სევილიამ კიდევ უფრო დაწინაურების შანსი დაკარგა



"მონჟუიკზე" ულამაზესი სანახაობა გაიმართა. 31 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა დიდი სიამოვნება მიიღო. **ფრანკ რიიკაარდის** ბიჭები გამანადგურებელი ანგარიშით მარცხს **ვიქტორ ვალდესის** დამაჯერებელი თამაშისა და მასპინძელი ფორვარდების შეცდომების წყალობით გადაურჩნენ. ანგარიში **ლუის გარსიამ** გახსნა, შემდეგ **ხავიერ სავიოლამ** გაათანაბრა. **რაულ ტამუდომ** და **რუფეტემ** კი "ესპანიოლს" დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანეს. "ბარსელონას" ზედიზედ სამი ტურია არ მოუგია. ქვეყნის ჩემპიონებმა ბოლო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გამარჯვება იზეიმეს. საზოგადოების ერთი ნაწილი რიიკაარდის გუნდის კრიზისზე ალაპარაკდა...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შაბათს ბოლო წლების საუკეთესო კატალონიური დერბი ვიხილეთ. სტუმრები "მონჟუიკზე" წინა შეხვედრებში დაკარგული ქულების ასანაზღაურებლად მივიდნენ. ისინი, ალბათ, იმედოვნებდნენ, რომ "სევილია" წააგებდა, რაც "ბარსას" ლიდერთან ჩამორჩენის ამოქაჩვის შესაძლებლობას მისცემდა. ანდალუსიელები მართლაც დამარცხდნენ, მაგრამ ამით **რონალდინიომ** და კომპანიამ ვერანაირად ვერ ისარგებლეს. **ერნესტო ბალბერდემ** ჩინებული ტაქტიკა შეიმუშავა. მან მოვლენები სწორად შეაფასა და სტუმართა საუკეთესო ფეხბურთელს პერსონალური მეურვეები მიუჩინა. დიახ, რონალდინიოს თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ორი კაცი დასდევდა.

მასპინძელთა დაცვის გამართული ასპარეზობის წყალობით თავდამსხმელებს წინ დიდი ძალებით წასვლის შანსი გაუჩნდათ. **ივან დე ლა პენია** "ესპანიოლის" ხერხემალი გახლდათ. ფაქტობრივად, ყველა იერიში მის მიერ გახლდათ ორგანიზებული. "კანტაბრიელი დირიჟორი", ასე უწოდა "დიარიო მარკამ" ვეტერან ესპანელ ნახევარმცველს. სწორედ ივანი გახლდათ ის ფეხბურთელი, რომელმაც პირველ სახიფათო შეტევას ჩაუყარა საფუძველი. რუფეტემ მისი გენიალური პასი ვერ გამოიყენა. "ესპანიოლმა" დანაკლისი მალე აინაზღაურა. შესაძლოა, ბანალურად გეჩვენოთ, მაგრამ ის შეტევაც დე ლა პენიამ წამოიწყო. თავხოტორას ტამუდო წამოეხმარა, შედეგად ლუის გარსია ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა და ვალდესს შანსი არ დაუტოვა.

რამდენიმე წუთში გულშემატკივრებმა, ფაქტობრივად, ანალოგიური ყაიდის შეტევა იხილეს. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი პირებიც უცვლელნი იყვნენ. ლუის გარსიას მეორე ცდაზე აღარ გაუმართლა. "ბარსელონა" შოკში ჩავარდა. სტუმრებმა **კარლოს კამენი** მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს. **ეიდურ გუდიონსენის** თავური დარტყმა კამერუნელმა გოლკიპერმა იოლად მოიგერია.

სიტუაცია მეორე ტაიმში უმნიშვნელოდ შეიცვალა. "ბარსა" ოდნავ გამოცოცხლდა, მაგრამ უპირატესობას მაინც "ესპანიოლი" ფლობდა. ტამუდომ საოცარი მომენტი ვერ გამოიყენა. "დიარიო ასის" კორესპონდენტის შეფასებით, რიიკაარდის ბიჭებს ასე ცუდად ბოლო ორი წლის განმავლობაში არ უთამაშიათ. კოლეგას ვეთანხმებით, ესპანური გრანდი საკუთარ თავს მართლაც არ ჰგავდა. ამის გათვალისწინებით, სავიოლას გოლი სრულიად მოულოდნელი გახლდათ. არგენტინელმა ინდივიდუალური გარღვევის წყალობით შეაგდო. სტუმართა სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ზუსტად ხუთ წუთში ტამუდომ **სერხიო სანჩესის** პასი თავურ გოლად აქცია. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი რუფეტემ ლუის გარსიას ასისტენტობით ისარგებლა. "ბარსელონისთვის" კატალონიური დერბი ორმაგად სავალალო აღმოჩნდა. მწუხარების მეორე მიზეზი **ანდრეს ინიესტას** ტრავმაა. მას მარცხენა ტერფის მყესები დაეჭიმა და სავარაუდოდ, ორი კვირით დაისვენებს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისული ფრანკ რიიკაარდი ძალიან შეშფოთებული ჩანდა: *"ვგონებ, დადგა დრო, როცა განგაში უნდა გამოვაცხადოთ. აშკარაა, უფრო მეტი და ეფექტური მუშაობა გვმართებს. მე არ ვამბობ, რომ ვინმემ თავი დაზოგა. გამარჯვება აბსოლუტურად ყველას უნდოდა, მაგრამ კარგად თითქმის ვერავინ ითამაშა. სიტუაცია არ არის იოლი, თუმცა, ამავდროულად, მსურს, საზოგადოებას სიმშვიდისკენ მოვუწოდო. დაუშვებელია, რომ წნეხში მოგვაქციონ. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა პრობლემები უმტკივნეულოდ და მცირე დროში მოვაგვაროთ."*

ერნესტო ბალბერდე, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულ განწყობაზე გახლდათ: *"ისტორიული წარმატებაა. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. ჩვენმა გულშემატკივრებმა გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულეს. დღეს ყველა გახარებული და ბედნიერია, მაგრამ თუ მომავალშიც შთამბეჭდავად არ ვიასპარეზებთ და ქულებს დავკარგავთ, ყველაფერს აზრი დაეკარგება. იმედია, მომდევნო დაპირისპირებებიც წარმატებული იქნება."*

"სევილიამ" "ბარსელონის" წაფორხილებით ვერ ისარგებლა. "სანჩეს პისხუანზე" ნამდვილი სენსაცია დაფიქსირდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პრობლემებით დახუნძლული "მალიორკა" პრიმერა დივიზიონის ლიდერებს გასვლაზე მოუგებდა. ასე იყო თუ ისე, **ხუანდე რამოსმა** და მისმა ბიჭებმა 2006 წლის 5 თებერვლის შემდეგ შინ პირველი მარცხი იგემეს. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, **გრეგორიო მანსანოს** გუნდმა ფანტასტიკურად იასპარეზა და მეტოქეს ყოველმხრივ აჯობა. მართალია, 21-ე წუთზე **კანუტემ** 11-მეტრიანით მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ შემდეგ კუნძულელები გააქტიურდნენ და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ორ ეპიზოდში სევილიელები **ანდრეს პალოპმა** გარდაუვალი გოლისგან იხსნა.

მეორე ტაიმში მეკარეც უძლური აღმოჩნდა. 47-ე წუთზე **ნუნიესმა დანიელ ალვეშის** მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა. მოგვიანებით, ბალეარელებმა კიდევ ერთი მწვავე შეტევა მიიყვანეს ლოგიკურ დასასრულამდე. **მაქსი ლოპესმა** ცარიელი კარი დალაშქრა. სენიორ რამოსმა თამაშის გადარჩენის მიზნით მოედანზე **კერჟაკოვი** შეუშვა, მაგრამ რუსმა ვერაფერი შეძლო და სადებიუტო პაექრობა მარცხით აღნიშნა.

"ვალენსია" აღარ ხუმრობს. **კიკე სანჩეს ფლორესის** ბიჭებმა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს. შედეგად მათ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების ჩინებული შანსი შეიძინეს. "ლევანტემ" მასპინძლებს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა. შესვენების შემდეგ კი **ლოპეს კაროს** გუნდი გატყდა და სამი ბურთი გაუშვა. ანგარიში **უგო ვიანამ** გახსნა, მან შორეული დარტყმით შეაგდო. ზუსტად ოთხ წუთში, **ფერნანდო მორიენტესმა სილვას** კარგი პასი მიიღო და შანსი ხელიდან არ გაუშვა. "ვალენსია" ორბურთიანმა უპირატესობამ არ დაამშვიდა. პირიქით, "ღამურები" კიდევ უფრო გააქტიურდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. 79-ე წუთზე **რობერტო ფაბიან აიალამ** თავური დარტყმით ანგარიშს სოლიდური სახე მისცა.

სენიორ ფლორესმა მისი გუნდის გამარჯვებას სამართლიანობის ზეიმი უწოდა: *"ჩვენს კუთვნილ ადგილს ვიბრუნებთ. "ვალენსიის" ისტორია და ტრადიციები გვავალდებულებს, რომ მუდამ მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლოთ. ბედნიერი ვარ, რადგან ზედიზედ მეხუთე ორთაბრძოლა მოვიგეთ. ვფიქრობ, სრულიად სამართლიანი შედეგი დაფიქსირდა. მჯერა, პროგრესი აქ არ შეწყდება და მომავალშიც დამაჯერებლად ვითამაშებთ."* რაც შეეხება ხუან რამონ ლოპეს კაროს, მან მხოლოდ ბრძოლის წაგება აღიარა, ომი კი არ დასრულებულაო.

"ბალაიდოსზე" **ფერნანდო ტორესის** ბენეფისი შედგა. "ელ ნინიომ" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. "ვისენტე კალდერონზე" "ხიმნასტიკთან" მიღწეული უფერული ფრის შემდეგ "ატლეტიკოს" გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა. დედაქალაქელებმა თამაში უაღრესად აგრესიულად დაიწყეს. ტორესს "როხიბლანკოს" დასაწინაურებლად მხოლოდ 12 წუთი დასჭირდა. მის ეფექტურ თავურს მეკარემ ვერაფერი დაუპირისპირა. კიდევ რვა წუთი და ანგარიში ორამდე გაიზარდა. თავი ისევ ტორესმა გამოიჩინა. ასისტენტობა მას **სერხიო აგუერომ** გაუწია. შესვენების შემდეგ თანაგუნდელებმა როლები გაცვალეს, ახალგაზრდა არგენტინელმა "ელ ნინიოს" გადაცემა აქცია გოლად. მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. **ნენეს** გოლი ეფექტური კი გამოდგა, მაგრამ "სელტას" ამით არაფერი ეშველა.

"ვილიარეალს" ფანტასტიკური დღე ჰქონდა. "ყვითლებმა" მეასე პრიმერადივიზიონური გამარჯვება იზეიმეს. ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ **მანუელ პელეგრინის** ბიჭებმა წარუმატებელი ხუთი ტურის შემდეგ როგორც იქნა მოიგეს. "ბილბაოს" დამარცხებაში **დიეგო ფორლანის** გოლმა გადამწყვეტი როლი ითამაშა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ურუგვაელი **ვიერას** გარეშე სტუმრები სამ ქულას ვერ ეღირსებოდნენ. "ვილიარეალის" გოლკიპერმა მსაჯის მიერ დამატებულ დროში **სანტი იესტეს** პენალტი აუღო.

სადებიუტო პრიმერადივიზიონური გამარჯვებისა და ესპანეთის სამეფო თასზე "რეალთან" დაზავების შემდეგ **ლუის ფერნანდესი** ამბიციურ გეგმებზე ალაპარაკდა, თუმცა "ოსასუნასთან" მატჩმა გამოააშკარავა, რომ "ბეტისს" უამრავი პრობლემა აქვს. პამპლონელთა მიერ გატანილი გოლების აღწერა დიდ დროსა და ადგილს წაიღებს. ისედაც ნათელია, რომ ისინი უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. გულშემატკივრებმა სათაყვანებელი გუნდის მიერ 2007 წელს მოპოვებული პირველი გამარჯვებით უზომოდ გაიხარეს. ინჩასებმა "ოსასუნის" ავტობუსი მაშხალებითა და ოვაციებით გააცილეს.

### მომდევნო ტური

20 იანვარი. **ატლეტიკო-ოსასუნა, ვილიარეალი-სევილია.** 21 იანვარი. **ბარსელონა-ხიმნასტიკი, ბეტისი-რასინგი, დეპორტივო-ესპანიოლი, სოსიედადი-ვალენსია, სარაგოსა-რეკრეატივო, ხეტაფე-სელტა, ლევანტე-ბილბაო, მალიორკა-რეალი.**

### ვალენსია-ლევანტე 3:0

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, აიალა, კურო ტორესი, ანგულო, ალბელდა (80. მარჩენა), ბარახა (30. უგო ვიანა), სილვა, მორიენტესი (58. ხოაკინი), ვილია.

**ლევანტე:** მოლინა, ლესკარგა, ალვარო (53. სესარი), ალექსინი, რუბიალესი (61. რობერი), ბერსონი, დიეგო კამაჩო, ეტიენი, რიხა, კურტუა, ნინიო (67. რეჯი).

**გოლები:** 1:0 უგო ვიანა (52), 2:0 მორიენტესი (56), 3:0 აიალა (80)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 15(7)-11(5); **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 18-23; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 52 000

### ესპანიოლი-ბარსელონა 3:1

**ესპანიოლი:** კამენი, ველასკო (61. სერხიო სანჩესი), ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, მოისეს ურტადო, დე ლა პენია (78. ჯონათასი), რუფეტე, რიერა, ლუის გარსია, ტამუდო (67. პანდიანი).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი, ჩავი, ინიესტა (85. ოლეგერი), ჟიული (46. სავიოლა), რონალდინიო, გუდიონსენი (64. მოტა).

**გოლები:** 1:0 ლუის გარსია (31), 1:1 სავიოლა (60), 2:1 ტამუდო (65), 3:1 რუფეტე (90+1)

**გაფრთხილება:** 8-2; **დარტყმა:** 17(10)-12(5); **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 30-20; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 31 450

### ბილბაო-ვილიარეალი 0:1

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, სარიეგი, ამორებიეტა, კასასი, მურილიო, ირაოლა, ხავი მარტინესი, გაბილონდო (61. იესტე), ეჩებერია (62. ადურისი), ურსაისი.

**ვილიარეალი:** ვიერა, ხოსემი, ფუენტესი, სიგანი, ხოსე ენრიკე, კანი, სენა, ხოსიკო (62. სომოსა), მარკოსი (63. ბრუნო სორიანო), მატიას ფერნანდესი (90. ტაკინარდი), ფორლანი.

**გოლები:** 0:1 ფორლანი (69)

*93-ე წუთზე ხოსემიმ (ვილიარეალი) ვერ გამოიყენა პენალტი (ძელი)*

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 12(4)-11(4); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 16-24; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 32 000

### რასინგი-სოსიედადი 1:0

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, რუბენი, გარაი, კრისტიან ალვარესი (62. ბალბოა), სკალონი, კოლსა, მუნიტისი, ოსკარ სერანო (90+2. ვიტოლო), ჟიგიჩი, მომო (62. ორიოლი).

**სოსიედადი:** ბრავო, ლოპეს რეკარტე, ხერარდო, ხუანიტო, მიკელ გონსალესი, გარიტანო, არანბური, ჩაბი პრიეტო, ხესული (82. ნოვო), კოვაჩევიჩი, გარი ურანგა (72. აგირეჩე).

**გოლი:** 1:0 გარაი (90-პენ)

**გაძევება:** ხერარდო (90. სოსიედადი)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 16(2)-11(3); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 20-15; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 19 000

### სევილია-მალიორკა 1:2

**სევილია:** პალოპი, დანი ალვესი, ხავი ნავარო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი (85. პუერტა), რენატო, პოულსენი, ადრიანო, ხესუს ნავასი (65. კერჟაკოვი), კანუტე, ჩევანტონი (46. მარტი).

**მალიორკა:** მოია, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ვარელა (90+4. ტუნი), ბასინასი, ხორდი, იბაგასა (82. არანგო), იონას გუტიერესი, მაქსი ლოპესი (89. ვიქტორი).

**გოლები:** 1:0 კანუტე (21-პენ), 1:1 ნუნიესი (48), 1:2 მაქსი ლოპესი (61)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(2)-12(6); **კუთხური:** 2-9; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 19-24; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 48 000

### ოსასუნა-ბეტისი 5:1

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანიო, კრუჩაგა, ხოსეტო, კორალესი, რაულ გარსია, პუნიალი, ხუანფრანი (71. ვალდო), დავიდ ლოპესი (76. ხუანლუ), მილოშევიჩი, სოლდადო (65. ვებო).

**ბეტისი:** კონტრერასი, ხუანიტო, რივასი (59. ფერნანდო), ნანო (33. ფერნანდო ვეგა), მიგელ ანხელი, ფოგელი, არსუ, ასუნსაო, კაპი, სობისი, ედუ (70. რობერტი).

**გოლები:** 1:0 სოლდადო (16), 2:0 პუნიალი (29), 2:1 არსუ (44), 3:1 დავიდ ლოპესი (57), 4:1 სოლდადო (58), 5:1 ვებო (72)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 18(11)-14(5); **კუთხური:** 5-6; **თამაშგარე:** 3-5; **ჯარიმა:** 15-12; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 29 000

### ხიმნასტიკი-ხეტაფე 1:3

**ხიმნასტიკი:** ბისარი, რუსი, მატელიანი, ლერა, მინგო, კამპანიო, აბელ ბუადესი, რუბენ კასტრო, მორალესი (71. მერინო), ხუან დიასი (46. ხილი), ირურსუნი (54. პორტილიო).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი, ტენა, კონტრა (67. კორტესი), ლიხტი, სელესტინი, მარიო კოტელო, კასკერო, ვივარ დორადო (66. ნაჩო), მანუ დელ მორალი, გუისა (77. პაუნოვიჩი).

**გოლები:** 0:1 ვივარ დორადო (12), 0:2 გუისა (42), 1:2 ლერა (61), 1:3 კასკერო (75)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(5)-16(7); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 24-16; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 13 000

### რეკრეატივო-დეპორტივო 1:1

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალიეხო, მერინო, ბეტო, პოლი, კასორლა, არსო, ხესუს ვასკესი, ვიკეირა (83. ბარბერი), აიტორი (69. ხუანმა), ხავი გერერო, უჩე (68. სინამა პონგოლე).

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, ანდრადე, არბელოა, კაპდევილა, დე გუსმანი, დუშერი, არისმენდი (90+2. ვალერონი), რიკი, ესტოიანოფი (58. ვერდუ), კრისტიანი (69. ტაბორდა).

**გოლები:** 1:0 უჩე (10), 1:1 არისმენდი (19)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 11(2)-14(4); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 20-18; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 17 000

### სელტა-ატლეტიკო 1:3

**სელტა:** პინტო, ტამაში, ლეკი, პლასენტე, უბინია, კანობიო, ნენე, გაირე (72. პერერა), ჯონათანი, ბაიანო, ხორხე (46. გუსტავო ლოპესი).

**ატლეტიკო:** პიჩუ, სეიტარიდისი, პერეა, ანტონიო ლოპესი, ზე კასტრო, ლუქსენი, მანიშე, ხურადო, გალეტი (90. ხაკობო), ფერნანდო ტორესი (58. მისტა), აგუერო (72. კოშტინია).

**გოლები:** 0:1 ფერნანდო ტორესი (12), 0:2 ფერნანდო ტორესი (20), 0:3 აგუერო (52), 1:3 ნენე (69)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 20(5)-12(8); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 2-6; **ჯარიმა:** 7-22; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 34 000

### რეალი-სარაგოსა 1:0

**რეალი:** კასილიასი, ტორესი, ივან ელგერა, კანავარო, რაულ ბრავო, გახო, დიარა, იგუაინი, რეიესი (68. დე ლა რედი), ვან ნისტელროი, რაული (15. რობინიო).

**სარაგოსა:** სესარი, პიკე, სერხიო, გაბი მილიტო, ხუანფრანი, საპატერი, სელადესი (54. მოვილია), დ'ალესანდრო (67. ოსკარი), ევერტონი (54. სერხიო გარსია), აიმარი, დიეგო მილიტო.

**გოლი:** 1:0 ვან ნისტელროი (40)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 19(6)-6(2); **კუთხური:** 11-2; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 26-20; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 79 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 18 | 12 | 1 | 5 | 37-19 | 37 |
| 2. ბარსელონა | 17 | 10 | 5 | 2 | 36-16 | 35 |
| 3. რეალი | 18 | 11 | 2 | 5 | 27-16 | 35 |
| 4. ვალენსია | 18 | 10 | 3 | 5 | 27-15 | 33 |
| 5. ატლეტიკო | 18 | 9 | 5 | 4 | 24-13 | 32 |
| 6. სარაგოსა | 18 | 9 | 3 | 6 | 30-20 | 30 |
| 7. რეკრეატივო | 18 | 9 | 2 | 7 | 28-25 | 29 |
| 8. ოსასუნა | 18 | 8 | 2 | 8 | 27-23 | 26 |
| 9. ხეტაფე | 18 | 7 | 5 | 6 | 15-13 | 26 |
| 10. ესპანიოლი | 18 | 6 | 7 | 5 | 18-18 | 25 |
| 11. ვილიარეალი | 18 | 7 | 4 | 7 | 18-24 | 25 |
| 12. რასინგი | 18 | 6 | 6 | 6 | 17-22 | 24 |
| 13. სელტა | 18 | 5 | 6 | 7 | 21-25 | 21 |
| 14. დეპორტივო | 18 | 5 | 6 | 7 | 14-24 | 21 |
| 15. მალიორკა | 18 | 5 | 5 | 8 | 16-26 | 20 |
| 16. ბილბაო | 18 | 4 | 6 | 8 | 21-28 | 18 |
| 17. ლევანტე | 18 | 4 | 6 | 8 | 16-26 | 18 |
| 18. ბეტისი | 17 | 4 | 4 | 9 | 17-24 | 16 |
| 19. სოსიედადი | 18 | 2 | 7 | 9 | 12-24 | 13 |
| 20. ხიმნასტიკი | 18 | 2 | 3 | 13 | 16-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 14 -კანუტე (სევილია); 12 - დიეგო მილიტო (სარაგოსა), რონალდინიო (ბარსელონა); 10 - ვან ნისტელროი (რეალი); 8 - ვილია (ვალენსია), ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 7 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანო (სევილია); 6 - მორიენტესი (ვალენსია), უჩე (რეკრეატივო), ფორლანი (ვილიარეალი).

### II დივიზიონი

XX ტური

**ალავესი-ლორკა 3:1**

**გოლები:** 1:0 ასტუდილიო (9), 2:0 ნავარო (59), 3:0 კასარი (64), 3:1 როდრიგესი (78)

**ალბასეტე-ვალიადოლიდი 0:2**

**გოლები:** 0:1 ლორენტე (67), 0:2 მარიო (70)

**კასტელონი-ელჩე 1:2**

**გოლები:** 1:0 ტაბარესი (7), 1:1 ნინიო (50), 1:2 კაჩორო (57)

**სპორტინგი-ეხიდო 0:1**

**გოლი:** 0:1 ტოედტლი (72)

**ლას პალმასი-სიუდადი 0:1**

**გოლი:** 0:1 ლუკე (67)

**კადისი-მალაგა 1:0**

**გოლი:** 1:0 ლობოსი (90)

**ერკულესი-პონფერადინა 3:0**

**გოლები:** 1:0 სენდოა (10), 2:0 ფარინოსი (45), 3:0 მონტენეგრო (57)

**მურსია-ვესინდარიო 4:3**

**გოლები:** 1:0 რამონი 917), 1:1 მორალესი (45-პენ), 2:1 გალიარდო (47), 3:1 ანტონიტო (48), 3:2 აჩაბალი (60), 3:3 ეკპოკი (76), 4:3 ალონსო (90)

**სალამანკა-ტენერიფე 0:0**

**ალმერია-რეალი B 1:0**

**გოლი:** 1:0 მენა (90)

**ნუმანსია-ხერესი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბოლო (42)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 20 | 12 | 5 | 3 | 32-15 | 41 |
| 2. მურსია | 20 | 10 | 7 | 3 | 32-23 | 37 |
| 3. ალმერია | 20 | 10 | 4 | 6 | 31-21 | 34 |
| 4. სალამანკა | 20 | 9 | 5 | 6 | 31-22 | 32 |
| 5. ერკულესი | 20 | 9 | 4 | 7 | 25-18 | 31 |
| 6. სპორტინგი | 20 | 10 | 1 | 9 | 26-21 | 31 |
| 7. სიუდადი | 20 | 9 | 3 | 8 | 24-21 | 30 |
| 8. ეხიდო | 20 | 8 | 6 | 6 | 23-20 | 30 |
| 9. ნუმანსია | 20 | 8 | 6 | 6 | 23-20 | 30 |
| 10. ხერესი | 20 | 8 | 5 | 7 | 23-18 | 29 |
| 11. კადისი | 20 | 7 | 8 | 5 | 23-21 | 29 |
| 12. ალავესი | 20 | 7 | 6 | 7 | 20-26 | 27 |
| 13. მალაგა | 20 | 7 | 5 | 8 | 25-25 | 26 |
| 14. ალბასეტე | 20 | 7 | 5 | 8 | 23-25 | 26 |
| 15. კასტელონი | 20 | 7 | 4 | 9 | 20-23 | 25 |
| 16. ტენერიფე | 20 | 7 | 4 | 9 | 17-23 | 25 |
| 17. რეალი B | 20 | 7 | 4 | 9 | 24-33 | 25 |
| 18. ლას პალმასი | 20 | 5 | 7 | 8 | 23-27 | 22 |
| 19. ელჩე | 20 | 5 | 7 | 8 | 22-27 | 22 |
| 20. პონფერადინა | 20 | 5 | 6 | 9 | 17-23 | 21 |
| 21. ლორკა | 20 | 4 | 6 | 10 | 16-28 | 18 |
| 22. ვესინდარიო | 20 | 4 | 2 | 14 | 20-40 | 14 |

## საფრანგეთი

XX ტური

**პსჟ–ვალანსი 1:2**

**პსჟ:** ლანდრო, ბ. მენდი, როზენალი, იეპესი, არმანი, შანტემი, ე. სისე (73. ფრო), ელებუიკი (46. დიანე), გალიარდო, კალუ (83. კ. როდრიგესი), პაულეტა.

**ვალანსი:** პენეტო, ფლაშე, უადუ, შელე (85. საესი), რიპერი (69. ხარუბი), მატერი, პააუვე, დუმენგი, პადადი (61. რუდე), დუფრესნი, სავიდანი.

**გოლები:** 0:1 სავიდანი (61), 0:2 რუდე (87), 1:2 პაულეტა (90+2)

**გაძევება:** პააუვე (51. ვალანსი)

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 27 866

**ლანსი–ლილი 1:1**

**ლანსი:** იტანჯე, დემონი, ჰილტონი, ად. კულიბალი, რამოსი, სე. კეიტა, ნ. კოვაჩევიჩი, კარიერი (75. მონე-პიკე), ტომერტი (66. იუსი), ბუკარი (75. დ. კუზენი), არუნა.

**ლილი:** სილვა, შალმე, ტავლარიდისი (66. შმიტცი), პრესტანი, ტაფორო, კაბეიე, მაკუნი, ბოდმერი, ბასტოსი, ა. კეიტა (87. იულა), ოდემვინგი (75. დებუში).

**გოლები:** 0:1 ბასტოსი (70), 1:1 იუსი (84)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 39 460

**ოსერი–სოშო 1:0**

**ოსერი:** სორენი, სანია, გრიშტინგი, მინო, ჟორესი, პედრეტი, ფ. ტომასი, ბე. შეირუ, აკალე (89. ლეჟონი), კალენბერგი (63. ის. ბა), იელენი.

**სოშო:** რიშერი, პიშო, აფოლაბი, ნ'დავი, ტოშიჩი, პიტო, სენე, კ. ზიანი, ბირსა (38. ჟ. ლერუა), ა. სანტოსი (75. ლე ტალეკი), კერსია (75. ერდინგი).

**გოლი:** 1:0 იელენი (86)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 5 000

**ბორდო–ლორიანი 1:1**

**ბორდო:** რამე, ჟემალი, ენაკარპირე, სიდი, ჟურიეტი, ფერნანდო, ვენდელი (73. დალმა), ფრანსია (46. ალონსო), მიკუ, დარშევილი (78. პერეა), შამახი.

**ლორიანი:** რიუ, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი, ნამუი (78. მარლე), აბრიელი, ევოლო (85. მულეკი), ლე პენი, საიფი (65. ბუტრუში), გინიაკი.

**გოლები:** 0:1 საიფი (36), 1:1 შამახი (86)

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 19 809

**ლე მანი–ტრუა 2:0**

**ლე მანი:** პელე, ბასა, კამარა, ფიშერი, ტომასი, მაცუი, რომარიკი, სესენიონი (87. სედრანი), ლუკო (57. კუტადორი), ის. ბანგურა, სამასა (77. ფანშონი).

**ტრუა:** ლე კრომი, ფეიე, ფერეირა, პესლეი, სანსი, ამზენი, ბარბოსა (63. ბანგურა), დანიკი, ლაშორი (82. ჟაზირი), მატუიდი, გილიოტი (73. ბა).

**გოლები:** 1:0 მაცუი (7), 2:0 მაცუი (87)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 8 525

**ნანტი–ნიცა 1:0**

**ნანტი:** ბარტეზი, სინიორინო, პიერი, სეტო, სავინო (38. ნორბერი), საედუ, ფაე, პეიე, და როშა (76. ოლიეში), როსი (59. ბუხარი), პიერონი.

**ნიცა:** ლორისი, ვეინო, აბარდონადო, კანტე, აპამი, ეშუაფნი (80. ფანი), როოლი, ედერსონი, ვაირუა (59. ბალმონი), კონე (83. მუსილუ), ლანლანდი.

**გოლი:** 1:0 პიერონი (90+2)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 29 000

**სედანი–ნანსი 2:2**

**სედანი:** რენო, დუკურტიუ, ანენი, ბადიანი (46. ტიჰო), ლაშორი (61. ამალფიტანო), აბდუ, მარენი (76. ბუტაბუ), ბელაჯი, მორის-ბელეი, პუჟოლი, ჟობი.

**ნანსი:** ბრასილიანო, შრეტიენი, დიახატე (46. ბ. გავანონი), პუიგრენიე, სოგე (64. ბიანკალანი), ბერენგერი, დუშემენი (46. ანდრე ლუისი), ი. დია, ჰაჯი, კურბელო, კიმი.

**გოლები:** 1:0 მარენი (20), 2:0 ჟობი (30), 2:1 შრეტიენი (45), 2:2 პუიგრენიე (74)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 10 493

**ტულუზა–ლიონი 2:0**

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, დიოზი, დაო, შერფა, ფაბინიო, სირიეი, ბატლი (87. ტაედერი), მანსარე (89. კონსტანტი), ემანა, ელმანდერი.

**ლიონი:** ვერკუტრი, კლერკი, კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ტიაგო, ტულალანი (69. ბენ აფრა), ჟუნინიო, ფ. მალუდა, გოვუ, ფრედი.

**გოლები:** 1:0 ემანა (60), 2:0 ელმანდერი (81)

**გაფრთხილება:** 2-0

**მაყურებელი:** 35 400

**სტ.ეტიენი–მონაკო 0:1**

**სტ.ეტიენი:** ჟანო, ონონი, ზ. კამარა, დიატა, ილუნგა, დერნისი (67. პაინცი), საბლე, ფეინდუნო, გარენი (88. პერკისი), ილანი, გომისი.

**მონაკო:** რომა, დოს სანტოსი, მონსორო, ბოლივარი, კუფრე, ლეკო, პერესი, პლასილი, კოლერი, გრაქსი (51. მერიემი), მენეზი (86. დი ვაიო).

**გოლი:** 0:1 კოლერი (65)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 32 518

**რენი–მარსელი 0:2**

**რენი:** პუპლენი, მელხიოტი, ედმანი, მენსა (89. სოვი), მონტერუბიო (73. მარვო), ბრ. შეირუ, ბურილიონი, მ'ბია, დიდო, უტაკა (57. მორეირა), ბრიანი.

**მარსელი:** კარასო, ბეიე, როდრიგესი (53. სიველი), ტაივო, კანა, ნასრი, მ'ბამი (57. პაჟისი), რიბერი (78. ოლემბე), მაულიდა, ჯ. სისე.

**გოლები:** 0:1 სისე (58), 0:2 მაულიდა (90)

**გაძევება:** მ'ბია (42. რენი)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 27 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 20 | 16 | 2 | 2 | 39-13 | 50 |
| 2. ლანსი | 20 | 10 | 6 | 4 | 29-21 | 36 |
| 6. მარსელი | 20 | 10 | 3 | 7 | 27-19 | 33 |
| 3. სოშო | 20 | 9 | 6 | 5 | 23-21 | 33 |
| 4. ლილი | 20 | 8 | 8 | 4 | 28-20 | 32 |
| 5. სტ. ეტიენი | 20 | 9 | 4 | 7 | 31-24 | 31 |
| 7. ნანსი | 20 | 8 | 6 | 6 | 19-17 | 30 |
| 8. ბორდო | 20 | 9 | 3 | 8 | 22-23 | 30 |
| 9. ლე მანი | 20 | 6 | 9 | 5 | 23-22 | 27 |
| 10. ტულუზა | 19 | 8 | 3 | 8 | 22-25 | 27 |
| 11. ოსერი | 20 | 6 | 8 | 6 | 21-24 | 26 |
| 12. რენი | 20 | 6 | 7 | 7 | 16-18 | 25 |
| 13. ლორიანი | 20 | 6 | 7 | 7 | 20-23 | 25 |
| 14. ვალანსი | 20 | 7 | 3 | 10 | 18-29 | 24 |
| 15. მონაკო | 20 | 6 | 5 | 9 | 24-21 | 23 |
| 16. ნანტი | 20 | 4 | 8 | 8 | 17-23 | 20 |
| 17. პსჟ | 19 | 4 | 7 | 8 | 19-26 | 19 |
| 18. ტრუა | 20 | 3 | 8 | 9 | 20-30 | 17 |
| 19. ნიცა | 20 | 3 | 7 | 10 | 15-22 | 16 |
| 20. სედანი | 20 | 2 | 8 | 10 | 24-36 | 14 |

**ბომბარდირები:** 8 - ის.ბანგურა (ლე მანი), დინდანე (ლანსი), პაულეტა (პსჟ), სავიდანი (ვალანსი), პაჟისი (მარსელი), ბოდმერი (ლილი).

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ამიენი–აიაჩო | 1:1 |
| ბასტია–ლიბურნი | 3:2 |
| შატორუ–კრეტეი | 1:0 |
| დიჟონი–ისტრი | 1:0 |
| გინგამი–გრენობლი | 2:2 |
| მეცი–რეიმსი | 2:2 |
| ნიორი–გენიონი | 1:1 |
| ტური–პავრი | 0:2 |
| მონპელიე–სტრასბური | 0:0 |
| ბრესტი–კაენი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეცი | 21 | 14 | 6 | 1 | 32-11 | 48 |
| 2. კა ენი | 20 | 12 | 7 | 1 | 36-16 | 43 |
| 3. სტრასბური | 21 | 10 | 8 | 3 | 26-17 | 38 |
| 4. პავრი | 21 | 9 | 9 | 3 | 31-17 | 36 |
| 5. დიჟონი | 21 | 10 | 6 | 5 | 26-23 | 36 |
| 6. ბრენობლი | 21 | 8 | 9 | 4 | 33-24 | 33 |
| 7. შატორუ | 21 | 9 | 5 | 7 | 25-23 | 32 |
| 8. რეიმსი | 21 | 8 | 7 | 6 | 26-22 | 31 |
| 9. ამიენი | 21 | 9 | 4 | 8 | 26-26 | 31 |
| 10. ბასტია | 21 | 7 | 7 | 7 | 28-26 | 28 |
| 11. აიაჩო | 21 | 7 | 7 | 7 | 21-22 | 28 |
| 12. გენიონი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-29 | 28 |
| 13. ლიბურნი | 21 | 6 | 5 | 10 | 27-31 | 23 |
| 14. კრეტეი | 21 | 5 | 7 | 9 | 17-26 | 22 |
| 15. მონპელიე | 21 | 5 | 5 | 11 | 21-28 | 20 |
| 16. გინგამი | 21 | 3 | 9 | 9 | 20-25 | 18 |
| 17. ბრესტი | 20 | 3 | 9 | 8 | 20-26 | 18 |
| 18. ისტრი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-32 | 18 |
| 19. ნიორი | 21 | 3 | 8 | 10 | 18-30 | 17 |
| 20. ტური | 21 | 3 | 4 | 14 | 16-34 | 13 |

## ჰოლანდია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ვილემი–ბრედა | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 20 | 17 | 2 | 1 | 53-8 | 53 |
| 2. აიაქსი | 20 | 13 | 3 | 4 | 47-21 | 42 |
| 3. ალკმაარი | 20 | 12 | 5 | 3 | 54-21 | 41 |
| 4. ფეიენოორდი | 20 | 12 | 3 | 5 | 41-36 | 39 |
| 5. ტვენტე | 20 | 11 | 5 | 4 | 43-23 | 38 |
| 6. ჰერენვეენი | 20 | 10 | 3 | 7 | 34-25 | 33 |
| 7. გრონინგენი | 20 | 9 | 3 | 8 | 30-36 | 30 |
| 8. ბრედა | 20 | 8 | 5 | 7 | 24-29 | 29 |
| 9. ვიტესი | 20 | 8 | 2 | 10 | 36-34 | 26 |
| 10. უტრეხტი | 20 | 7 | 5 | 8 | 26-30 | 26 |
| 11. ნიმეგენი | 20 | 7 | 5 | 8 | 21-25 | 26 |
| 12. როდა | 20 | 7 | 5 | 8 | 23-28 | 26 |
| 13. სპარტა | 20 | 7 | 1 | 12 | 24-39 | 22 |
| 14. ჰერაკლესი | 20 | 4 | 5 | 11 | 17-37 | 17 |
| 15. ექსელსიორი | 20 | 4 | 4 | 12 | 27-41 | 16 |
| 16. ვილემი | 20 | 5 | 1 | 14 | 20-48 | 16 |
| 17. დენ ჰააგი | 20 | 3 | 4 | 13 | 22-37 | 13 |
| 18. ვაალვიკი | 20 | 2 | 7 | 11 | 16-40 | 13 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

დენ ბოში-აპელდოორნი 2:0; დორდრეპტი-ტოპ ოსი 4:1; ემენი-ეინდჰოვენი A 3:2; ომნივორლდი-მაასტრიხტი 3:1; ცვოლე-ვეენდამი 1:3; ფორტუნა-ჰაარლემი 2:0; ჰელმონდი-ვენლო 1:1; როსენდალი-გრააფსხაპი 1:3; ტელსტარი-იგლზი 2:2; კამბური-ვოლენდამი 0:1.

## ბელგიის თასი

1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი–დენდერი | 5:2 |
| ბრიუგე–ვესტერლო | 1:0 |
| ლიერსი–ანტვერპენი | 1:4 |
| რუზელარე–გენტი | 2:3 |
| სტანდარდი–პამე | 5:0 |
| გენკი–მუსკრონი | 1:0 |
| კორტრიიკი–სტ. ტრუიდენი | 4:2 |
| მეხელენი–ვარეგემი | 1:0 |

## უელსი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ეირბასი–ბანგორი | 4:1 |
| პავერფორდვესტი–ქეიმბრანი | 2:0 |
| სეფნ დრუიდსი–კაერსვსი | 2:2 |
| კაერნარფონი–კონაჰი | 0:2 |
| ლანელი–უელშპული | 2:3 |
| ნიუთაუნი–პორტ ტელბოტი | 1:2 |
| რილი–აბერისტვიტი | 3:0 |
| ტნს–კარმარტენი | გადაიდო |

## კვიპროსი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ნეა სალამისი–ოლიმპიაკოსი | 5:1 |
| აპოელ–პარალიმნი | 3:2 |
| აელ–აპოლონი | 1:1 |
| არისი–ეთნიკოსი | 4:2 |
| აეკ–აეპ | 2:1 |
| დიგენისი–ანორთოსისი | 0:2 |
| აგია ნაპა–ომონია | 2:1 |

## საბერძნეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ერგოტელისი–ქსანტი | 3:1 |
| ეგალეო–აპოლონი | 2:0 |
| ატრომიტოსი–ლარისა | 2:2 |
| კერკირა–არისი | 1:1 |
| აეკ–ოფი | 3:1 |
| ირაკლისი–პაოკ | 1:0 |
| იონიკოსი–პანათინაიკოსი | 0:4 |
| ოლიმპიაკოსი–პანიონიოსი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოს | 17 | 14 | 1 | 2 | 33-8 | 43 |
| 2. აეკ | 17 | 11 | 4 | 2 | 34-11 | 37 |
| 3. პანათინაიკოს | 17 | 12 | 1 | 4 | 29-15 | 37 |
| 4. პაოკ | 17 | 7 | 4 | 6 | 17-14 | 25 |
| 5. ოფი | 17 | 6 | 5 | 6 | 20-20 | 23 |
| 6. ქსანტი | 16 | 5 | 5 | 6 | 11-10 | 20 |
| 7. არისი | 17 | 3 | 11 | 3 | 15-16 | 20 |
| 8. ატრომიტოს | 17 | 4 | 8 | 5 | 21-23 | 20 |
| 9. კერკირა | 17 | 5 | 5 | 7 | 14-17 | 20 |
| 10. ეგალეო | 16 | 5 | 4 | 7 | 15-19 | 19 |
| 11. პანიონიოსი | 17 | 4 | 7 | 6 | 12-20 | 19 |
| 12. აპოლონი | 16 | 4 | 6 | 6 | 13-18 | 18 |
| 13. ირაკლისი | 16 | 5 | 3 | 8 | 14-20 | 18 |
| 14. ლარისა | 17 | 4 | 6 | 7 | 15-25 | 18 |
| 15. ერგოტელის | 16 | 4 | 4 | 8 | 14-18 | 16 |
| 16. იონიკოსი | 16 | 2 | 2 | 12 | 8-31 | 6 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## პორტუგალია

XV ტური

| | |
|---|---|
| ბოავიშტა–მარიტიმუ | 1:1 |
| ნასიონალი–ბრაგა | 0:0 |
| ბელენენსეში–სპორტინგი | 0:0 |
| ფერეირა–ბეირა მარი | 1:0 |
| ლეირია–ამადორა | 0:0 |
| სეტუბალი–ნავალი | 0:3 |
| ავეში–პორტუ | 0:2 |
| აკადემიკა–ბენფიკა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 15 | 13 | 1 | 1 | 34-8 | 40 |
| 2. სპორტინგი | 15 | 10 | 3 | 2 | 22-9 | 33 |
| 3. ბენფიკა | 14 | 9 | 2 | 3 | 30-13 | 29 |
| 4. ბრაგა | 15 | 7 | 4 | 4 | 21-19 | 25 |
| 5. ნავალი | 15 | 6 | 5 | 4 | 15-12 | 23 |
| 6. მარიტიმუ | 15 | 7 | 2 | 6 | 17-18 | 23 |
| 7. ლეირია | 15 | 6 | 4 | 5 | 13-15 | 22 |
| 8. ნასიონალი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-16 | 21 |
| 9. ბელენენსეში | 15 | 6 | 3 | 6 | 15-14 | 21 |
| 10. ფერეირა | 15 | 5 | 6 | 4 | 15-19 | 21 |
| 11. ბოავიშტა | 15 | 4 | 5 | 6 | 18-20 | 17 |
| 12. ამადორა | 15 | 4 | 4 | 7 | 9-17 | 16 |
| 13. აკადემიკა | 14 | 3 | 4 | 7 | 18-22 | 13 |
| 14. სეტუბალი | 15 | 2 | 3 | 10 | 8-25 | 9 |
| 15. ავეში | 15 | 2 | 2 | 10 | 10-23 | 8 |
| 16. ბეირა მარი | 15 | 1 | 5 | 9 | 15-31 | 8 |

### II დივიზიონი

XV ტური

მოსკავიდე-ფეირენსე 1:3; ოლანენსე-გიმარაეში 1:0; პენაფიელი-ეშტორილი 0:0; ვარზიმი-ტროფენსე 1:1; ვიზელა-რიუ ავე 1:1; ჟილ ვისენტე-სანტა კლარა 2:1; შავეში-ლეიქსოეში 0:1; გონდომარი-პორტიმონენსე 2:0.

## შოტლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი–ინვერნესი | 1:1 |
| ფალკირკი–დანფერმლაინი | 1:0 |
| რეინჯერსი–დანდი იუნ | 5:0 |
| ჰარტსი–სელტიკი | 1:2 |
| სტ.მირენი–მოზერველი | გადაიდო |
| კილმარნოკი–ჰიბერნიანი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 24 | 18 | 5 | 1 | 45-18 | 59 |
| 2. რეინჯერსი | 24 | 12 | 6 | 6 | 40-22 | 42 |
| 3. აბერდინი | 24 | 11 | 6 | 7 | 31-22 | 39 |
| 4. ჰარტსი | 24 | 10 | 7 | 7 | 33-24 | 37 |
| 5. ჰიბერნიანი | 23 | 9 | 6 | 8 | 42-28 | 33 |
| 6. ფალკირკი | 24 | 10 | 3 | 11 | 33-30 | 33 |
| 7. კილმარნოკი | 23 | 8 | 6 | 9 | 31-38 | 30 |
| 8. ინვერნესი | 24 | 6 | 10 | 8 | 26-33 | 28 |
| 9. დანდი იუნ | 24 | 7 | 6 | 11 | 28-47 | 27 |
| 10. მოზერველი | 23 | 7 | 4 | 12 | 29-39 | 25 |
| 11. სტ. მირენი | 23 | 5 | 8 | 10 | 21-32 | 23 |
| 12. დანფერმლა | 24 | 3 | 5 | 16 | 13-39 | 14 |

### I დივიზიონი

XXII ტური

ეირდრი-დანდი გადაიდო; ლივინგსტონი-სტ.ჯონსტონი 3:2; პარტიკი-გრეტნა 2:2; ქუინი-კლაიდი გადაიდო; როსი-ჰამილტონი გადაიდო.

### II დივიზიონი

XXI ტური

კოუდენბითი-პიტერჰედი 0:3; ფორფარი-ეირი 1:1; მორტონი-ალოა 2:1; სტირლინგი-რეითი 0:1; სტრანრარი-ბრეჩინი 0:2.

### III დივიზიონი

XXI ტური

დამბარტონი-არბროა შეწყდა; ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი 0:2; მონროუზი-ალბიონი 2:3; ქუინზ პარკი-ბირუიკი 0:2; სტენჰაუზმური-ელჯინი 3:2.

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| დორტმუნდი–ოფენბახი | 2:0 |
| ჰანოვერი–მაინცი | 1:1 |
| ეინდჰოვენი–კიოლნი | 0:2 |
| უტრეხტი–შალკე | 1:1 |
| ჩინეთი–არმინია | 1:1 |




ესპანიოლის ფეხბურთელები საკუთარ თვითმფრინავთან პოზირებენ

ესპანიოლი. ახალი ამბები

# ხავიერ სავიოლა მეზობელ გუნდში?

## კატალონიელები საკუთარი თვითმფრინავით იფრენენ...

კატალონიური დერბის დაწყებამდე ზუსტად ერთი დღით ადრე, "ესპანიოლის" ხელმძღვანელობამ მოულოდნელი განცხადება გააკეთა. ეს მოულოდნელობა იმაში მდგომარეობს, რომ კატალონიელებს თანაქალაქელთაგან **ხავიერ სავიოლას** გადაბირება სურთ. "ბაჭიამ" "ალავესთან" სათასო შეხვედრა ფანტასტიკურად ჩაატარა. გეცოდინებათ, რომ "ბარსამ" სწორედ მისი გოლების წყალობით გაიმარჯვა. **ერნესტო ბალბერდე** მიიჩნევს, რომ ხავიერს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი ხშირად არ ეძლევა: *"სავიოლა დიდი ფორვარდია. დასამალი არ არის, რომ "ბარსელონაში" არსებული ჯოჯოხეთური კონკურენციის გამო იჩაგრება. ბედნიერი ვიქნები, თუ მას ჩვენ დაგვითმობენ. კარგი იქნება, თუ ტრანსფერს იანვარშივე გავჩარხავთ. არგენტინელი "კამპ ნოუზე" საკუთარი უნარების გამომჟღავნებას ვერ ახერხებს. ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან მას გაცილებით მეტი შეუძლია. "ალავესთან" მატჩმა ბევრი რამ დაგვანახა. "ბაჭია" მართლაც, სუპერ ფორვარდია. ჩვენ მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვაძლევთ."*

ცნობილია, რომ **ფრანკ რიიკაარდს** სავიოლას "ბარსელონაში" დატოვება არ სურდა, თუმცა **ჩიკი ბეგირისტაინმა** მას სხვა კლუბი ვერ გამოუნახა და ჰოლანდიელ სპეციალისტს კომპრომისზე წასვლა მოუხდა. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა "ესპანიოლის" წინადადებას დიდი ინტერესით შეხვდა. თავად სავიოლა კი სკეპტიკურადაა განწყობილი: *"დაფასებისთვის ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ, თუმცა გულწრფელად ვიტყვი, რომ "ბარსადან" აბარგება არ მსურს. ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობას გავუშინაურდე."*

როგორც ჩანს, "ესპანიოლს" ფული გაუჩნდა. გუშინ კატალონიურმა კლუბმა საკუთარი თვითმფრინავის პრეზენტაცია მოაწყო. მფრინავი ხომალდი 110 კაცს იტევს. ის ჰოლანდიური ავიაკომპანიისგან 11 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეიძინეს. "ესპანიოლის" თვითმფრინავი საათში 900 კილომეტრს ანვითარებს და 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე ფრენა შეუძლია. აღმასრულებელი დირექტორი **სებასტიან ხავიერი** ფიქრობს, რომ ფეხბურთელები ამიერიდან ნაკლებად დაიღლებიან: *"აქამდე ყოველთვის ვჩქარობდით. სამოქალაქო რეისები ჩვენს გამო არ გადაიდებოდა. 10 წუთითაც არავინ დაყოვნდებოდა. არადა, ვარჯიშებითა და თამაშებით გათანგულ ბიჭებს გაფრენამდე ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ ჰქონდათ ხოლმე. ახლა კი გაფრენის დროს ჩვენი შეხედულებისამებრ დავნიშნავთ ხოლმე. ჩვენი ხომალდი მოკლე და შორ დისტანციებზე ფრენის საშუალებას მოგვცემს. ამიტომ პრიმერა დივიზიონისა და სამეფო თასის ყველა დარჩენილ გასვლით შეხვედრაზე ჩვენი საკუთარი თვითმფრინავით წავალთ."*

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვორონინს გერმანიაში აღარ უნდა

"ლევერკუზენის" უკრაინელი თავდამსხმელი **ანდრეი ვორონინი** საკუთარი ყოფით უკმაყოფილოა და არა მხოლოდ კლუბის, არამედ ქვეყნის გამოცვლაზეც ფიქრობს. 27 წლის ფორვარდს "ფარმაცევტებთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს და არა მარტო "ლევერკუზენს", არამედ ბუნდესლიგასაც გამოეთხოვება. *"უკვე 12 წელია, გერმანიაში ვთამაშობ, ეს კი ძალიან დიდი დროა. ახალგაზრდა აღარ ვარ და მინდა, რომ სხვა ქვეყანაშიც მოვასწრო თამაში. არა მგონია, რომ "ლევერკუზენთან" კონტრაქტი გავაგრძელო,"* - ამბობს ვორონინი "კიოლნერ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ვორონინი "ბაიერნამდე" მიონხენგლადბახის "ბორუსიის", "მაინცისა" და "კიოლნის" ღირსებას იცავდა. მისი გადაბირება ყველაზე მეტად უკრაინულ გრანდებს, კიევის "დინამოსა" და დონეცკის "შახტარს" სურთ. ცნობილია, რომ ვორონინით გლაზგოს "სელტიკი" და სხვა ევროპული კლუბებიც არიან დაინტერესებული. გერმანიის პირველობის მიმდინარე სეზონში მან "ლევერკუზენის" სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და უმეტეს შემთხვევებში მხოლოდ შეცვლაზე უწევდა თამაში (**ბარბარესის** ან **კისლინგის** ნაცვლად). ამიტომაცაა, რომ მხოლოდ 5 გოლს მოუყარა თავი.



ანდრეი ვორონინი



ბერტი ფოგტსი

მოსალოდნელი დანიშვნა

# ფოგტსი ნიგერიის ნაკრებში?

**ბერტი ფოგტსი** ნიგერიის საფეხბურთო კავშირთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. გერმანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, რომელსაც აქტიური სპორტული კარიერის დროს ბუნდესგუნდში 96 თამაში აქვს ჩატარებული, "ბერლინერ ცაიტუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ დიდი შანსია, "ნიგერიის" ნაკრების დამრიგებელი გახდეს. *"ნიგერიას ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, მოლაპარაკებები ამიტომაც წამოვიწყე,"* - აცხადებს ფოგტსი. ნიგერიის ნაკრებს ამჟამად **აუგუსტინ ეგუავონი** წვრთნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# დაუმის ტაქტიკა

## რას და როგორ უხსნის დიდი სტრატეგი თავის ფეხბურთელებს




კრისტოფ დაუმი საკუთარ ტაქტიკას განმარტავს

**ჯოვანი ტრაპატონის სიტყვებია, გუნდის წარმატებაში ან წარუმატებლობაში, მწვრთნელის ფაქტორი, არც მეტს და არც ნაკლებს, სულ რაღაც 12 პროცენტს უდრისო. არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ დიდ მაესტროს, რომელსაც თითქმის ყველა ტიტული აქვს მოგებული. იგებს გუნდი, აგებს მწვრთნელი - ესეც ცნობილი გამოთქმაა. ფაქტია, გამარჯვების დროს მეტწილად სწორედ გუნდსა და ფეხბურთელებზე საუბრობენ ხოლმე, წაგება კი, უმეტეს შემთხვევებში მწვრთნელს ბრალდება. და როცა წაგებები ერთმანეთს გადაებმება, ჯოხი მწვრთნელზე გადატყდება ხოლმე - იმიტომ, რომ მთელი გუნდის გაშვება წარმოუდგენელი და შეუძლებელია.**

როცა **კრისტოფ დაუმი** მეორე ბუნდესლიგელი "კიოლნის" თავკაცად დაინიშნა, ქალაქში დიდი ზეიმი მოეწყო. გულშემატკივრები ქუჩებში გამოვიდნენ და დაუმის გვარს სკანდირებდნენ. კრისტოფი კიოლნში მესიად შერაცხეს, გადამრჩენელად, რომელსაც "თხები" ელიტაში უნდა დაებრუნებინა. თუმცა, რას ჰქვია "უნდა" - გერმანიაში ყველა დარწმუნებული იყო, რომ დაუმი ამას მოახერხებდა. მაგრამ რას იზამს მწვრთნელი, თუკი მას არ ჰყავს კარგი ფეხბურთელები? ან, უარეს შემთხვევაში, თუკი ფეხბურთელებს არ ესმით მისი არცერთი სიტყვა და არცერთი ტერმინი?

პირველ ვარჯიშს, რომელიც "კიოლნმა" დაუმის ხელმძღვანელობით გამართა, 12 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწვრთნელის დანიშვნით გამოწვეული ეიფორია იმდენად დიდი გახლდათ, რომ დაუმი კინალამ ჭკუიდან შეიშალა და ამიტომაც იყო, დანიშვნიდან 3 კვირის შემდეგ მოთქმა რომ დაიწყო, არც მესია ვარ და არც სასწაულმოქმედი, მუშა გახლავართ და სამწვრთნელო კარიერაში რასაც მივაღწიე, სწორედ მუშაობის შედეგი იყოო.

"მესიის" ხელმძღვანელობით "თხებმა" მეორე ბუნდესლიგაში სამი თამაში ჩაატარეს. მოლოდინი არ გამართლდა: "კიოლნმა" ორი მატჩი წააგო (1:3 დუისბურგთან, 0:2 ოფენბახში), ერთი კი ფრედ დაასრულა (2:2 კაიზერსლაუტერნთან). პირველი ორი მატჩის წაგების შემდეგ, დაუმი აყვირდა, ამ გუნდში თვითმკვლელებს ვხედავ და მათ აუცილებლად პრობლემებს შევუქმნი, ველარ გაიხარებენო. ასეა, კარგ მწვრთნელს კარგი, ამყოლი გუნდი სჭირდება. საბოლოოდ, "თხებმა" პირველი წრე მე-10 ადგილზე დაასრულეს და იმ ზონას, საიდანაც სეზონის დასრულების შემდეგ გუნდები პირველ ბუნდესლიგაში გადავლენ, 12 ქულით ჩამორჩებიან. მაგრამ დაუმი არ ნებდება და მაინც ამბობს, რომ ელიტაში დასაბრუნებლად იბრძოლებს.

დავუბრუნდეთ მთავარს: "ბილდის" კორესპონდენტებმა 53 წლის სპეციალისტისგან ნებართვა აიღეს, დასწრებოდნენ სხდომას, რომლის დროსაც კრისტოფი თავის შეგირდებს ტაქტიკურ სქემას უხსნიდა და რჩევა-დარიგებებს აძლევდა. თავისთავად საინტერესოა, როგორ უხსნის გამოცდილი მწვრთნელი ფეხბურთელებს იმას, რამაც გუნდს წარმატება უნდა მოუტანოს. როცა ბოლომდე წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ მწვრთნელის ფაქტორი ნულის ტოლია, თუკი ფეხბურთელმა მოსმენა არ იცის და ვერაფერს იგებს.

*"ფეხბურთი არ არის სპორტის ისეთი სახეობა, რომელშიც მხოლოდ ძალა და ფიზიკური მომზადებაა საჭირო. მე, მწვრთნელმა, თითოეული მოთამაშის სულში უნდა ჩავიხედო, რათა მივხვდე, რა უნდათ მათ სინამდვილეში. ბიჭებს ტაქტიკური მონახაზი იმდენად უნდა ჰქონდეთ გათავისებული, რომ სიზმარშიც უნდა ხედავდნენ მას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს აზრი ეკარგება,"* - ამბობს კრისტოფი.

1. დაუმი დაფაზე სამი ფერით ხატავს - მწვანით, ლურჯითა და წითლით. საბრძოლო სტრატეგია სამ ნაწილადაა გაყოფილი: გახსნილი თამაში, რომელსაც მწვანე ფერი ემსახურება; ჩაკეტილი თამაში, რომლისთვისაც წითელია არჩეული და ე.წ. გადართვა, რომელიც წინა ორის შუალედურია და რომლისთვისაც დაუმი ლურჯ ფერს იყენებს. ამ შემთხვევაში კრისტოფი თავის ბიჭებს 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემას უხსნის, თუმცა ეს მაინც სათადარიგო ვარიანტია, რადგან დაუმს ყველაზე მეტად 4-2-3-1 უყვარს (სხვათა შორის, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი ნაკრების მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერს**). მაგრამ ამ შემთხვევაში 4-1-4-1-ზე ვრჩებით. ფეხბურთელები X-ით ალინიშნებიან, ფოტოზე მეკარე ზემოთაა. დაუმის სტრატეგიის უმთავრესი კომპონენტი ის არის, რომ ფეხბურთელები ერთმანეთთან ყოველთვის ახლოს უნდა იდგნენ, ერთი მოთამაშე, თავის "მეწყვილეს" 5 მეტრზე მეტი დისტანციით არ უნდა მოშორდეს.

**2.** ოთხი მცველი ერთ ხაზზე - კრისტოფის აზრით, ეს საუკეთესო ვარიანტია, რომლითაც ყველაზე მეტად, მეტოქე გუნდის ფორვარდების თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება იოლდება. დაცვის ხაზის წინ შავი ფერით მართკუთხედია მოხაზული - ეს ის ზონაა, რომელშიც დაცვა მოქმედებს. მართკუთხედის წინ წითელი ხაზებია, რაც იმას ნიშნავს, რომ როცა "კიოლნი" ბურთს დაკარგავს, მცველები ამ კონკრეტულ ადგილამდე უნდა ავიდნენ, რათა მეტოქეს სივრცეები მაქსიმალურად შეუზღუდონ და შეტევის განვითარებისა და აზროვნებისთვის ბევრი დრო არ მისცენ.

**3.** გადავედით ნახევარდაცვაზე, უფრო სწორად, ფლანგის ნახევარმცველებზე. ადგილებზე, რომლებიც ფოტოზე ციფრი 3-თაა მონიშნული, დაუმს წრეები აქვს მოხაზული - ეს ის ზონაა, სადაც ფლანგის ნახევარმცველები მოქმედებენ. შეტევის დროს გარემარბები ფლანგებზე მყარად მკვიდრდებიან (მონახაზი მწვანე ფერით), თავდაცვის დროს კი მოედნის ცენტრში უნდა შეიწიონ (მონახაზი წითელი ფერით). ამ დროს გარემარბების ფლანგებზე ყოფნის საჭიროება არ არსებობს, რადგან თავდაცვის დროს ამ ზონას ფლანგის მცველები გააკონტროლებენ.

**4.** ეს "კიოლნის" ერთადერთი თავდამსხმელია. როცა გუნდი ბურთს ფლობს, ანუ უტევს, ფორვარდი ძალიან სწრაფად გადაადგილდება ცენტრფორვარდის პოზიციისკენ, ანუ, მეტოქის საჯარიმოს ცენტრში. ხოლო, როცა ბურთი მეტოქეს აქვს, თავდამსხმელი უკან ჩამოდის და ნახევარმცველებს ეხმარება.

**5.** მწვანე, დიაგონალური ხაზები იმის განმსაზღვრელია, თუ რამხელა მანძილი უნდა იყოს დაცვასა და თავდასხმას შორის. მინდვრის ათივე მოთამაშე მოედნის ამ ნაწილში უნდა მოქმედებდეს. თავდაცვის დროს "კიოლნის" კარსა და იმ ადგილს შორის, სადაც ბურთია, რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი უნდა იმყოფებოდეს.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვერდერს კარუ უნდა

## მუსიკოსებმა ლიონთან მოლაპარაკებები დაიწყეს

ბრემენის "ვერდერს" თავდამსხმელი სჭირდება და თანაც, ახლავე! "კიკერი" გვამცნობს, რომ "მუსიკოსთა" გენერალურ მენეჯერ **კლაუს ალოფსს** მაღალი კლასის ფორვარდის გადაბირება უნდა. გერმანული გამოცემა იმასაც იტყობინება, რომ "ვერდერი" "ლიონის" ნორვეგიელი გოლეადორით, **ჯონ კარუთია** დაინტერესებული. *"კარუ ძალიან საინტერესო თავდამსხმელია. დიახ, ჩვენ მისი შეძენა გვინდა და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად. ჩემი სურვილია, რომ კარუმ უკვე მეორე წრეში მოირგოს "ვერდერის" მაისურა. ჯონის არენდით აყვანაზე არ ვფიქრობთ და არც ის გვინდა, რომ მას კონტრაქტი მომავალი სეზონისთვის გავუფორმოთ. თუ ტრანსფერი შედგება, მაშინ ნორვეგიელი ახლავე უნდა გადმოვიდეს!"* - ამბობს ალოფსი.



ჯონ კარუ, შეიძლება, გერმანიაში აღმოჩნდეს

მიმომხილველები 1.95 მეტრი სიმაღლის ფორვარდის გვარს ტურინის "იუვენტუსთან" მიმართებაშიც ახსენებენ. როგორც იცით, "ლიონს" **დავიდ ტრეზეგეს** გადაბირება უნდა და არ წყდება სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ ფრანგები "იუვეს" ტრეზეგეს ნაცვლად, ფულთან ერთად კარუსაც სთავაზობენ. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ "ლიონს" 27 წლის აყლაყუდა ნორვეგიელი აღარ სჭირდება. ბრემენელებს კი ტრანსფერის განხორციელება იმის გამო ეჩქარებათ, რომ **მოჰამედ ზიდანის** "მაინცში" განათხოვრება სურთ, მაგრამ სანამ ახალ თავდამსხმელს არ შეიძენენ, ზიდანის გასხვისება დიდ რისკად ითვლება. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ "ვერდერს" მომავალი სეზონისთვის მხოლოდ ერთი თავდამსხმელი ჰყავს დაბევებული: **აარონ ჰანტი**. **ივან კლასნიჩს** სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და ჯერაც არაა გადაწყვეტილი, დარჩება თუ არა ბრემენში. დიდი შანსია, რომ ზაფხულში გუნდი **მიროსლავ კლოზემაც** დატოვოს, **უგო ალმეიდა** კი, როგორც იცით, "მუსიკოსებს" იჯარით ჰყავთ აყვანილი.

ინიციატივა

# ბლატერის ახალი იდეა

## ზეპი: ფრის შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ორი დღის შემდეგ უნდა გადათამაშდეს!

**ზეპ ბლატერს** არ მიაჩნია მართებულად ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ბედი, ფრის შემთხვევაში, თერთმეტმეტრიანების სერიით წყდება ხოლმე. ფიფას პრეზიდენტს ასეთი იდეა აქვს: თუკი ძირითადი და დამატებითი დრო მუნდიალის გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, ფინალი ორი დღის შემდეგ უნდა გადათამაშდეს.

*"ერთის მხრივ, ამ იდეაზე თვითონაც მეცინება, თუმცა მეორეს მხრივ, ასეთი სისტემის მომხრე ვარ. ფეხბურთი გუნდური სპორტია, პენალტების სერია კი მოთამაშეების ინდივიდუალურ ოსტატობასა და ფსიქიკურ მზადყოფნაზეა დამოკიდებული,"* - აცხადებს ბლატერი, რომელიც ფიფას 1998 წლიდან ხელმძღვანელობს და იქვე ამატებს, ეს წესი მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე უნდა მოქმედებდესო.

დღემდე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი სულ 17-ჯერ გაიმართა (1950 წელს დასკვნითი მატჩი არ ჩატარებულა, რადგან ფინალური რაუნდი 4-გუნდიან ჯგუფში გათამაშდა) და აქედან, გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია მხოლოდ ორჯერ გახდა საჭირო: 1994 წელს ლოს ანჯელესში (ბრაზილია-იტალია 3:2) და გასულ წელს ბერლინში (იტალია-საფრანგეთი 5:3).



ჰასან სალიჰამიჯიჩი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სალიჰამიჯიჩს იუვე ეპატიჟება

ბოსნიელ ნახევარმცველ **ჰასან სალიჰამიჯიჩს** "ბაიერნთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები "ბრაცოს" ახალ ხელშეკრულებას არ გაუფორმებენ. მიზეზი ის გახლავთ, რომ სალიჰამიჯიჩი სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ითხოვს, "ბაიერნის" თავკაცი **ფელიქს მაგათი** კი მას ამ გარანტიას ვერ აძლევს. "ბილდი" იტყობინება, რომ 30 წლის ბოსნიელ ნახევარმცველს "იუვენტუსი" ეპატიჟება. სალიჰამიჯიჩი უნივესრალური ფეხბურთელია და არაერთ პოზიციაზე შეუძლია ასპარეზობა: მარჯვენა მცველად, მარჯვენა ნახევარმცველად, მარცხენა მცველად, მარცხენა ნახევარმცველად და საყრდენ ნახევარმცველად. *"დაინტერესება მართლაც არის, ოღონდ ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით. ურთიერთობა ჯერ "ბაიერნთან" უნდა გავარკვიო,"* - ამბობს "ბრაცო".



ზეპ ბლატერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი

ლეგიონერები

# ცქიტიშვილმა სამი წუთი ითამაშა


ნიკოლოზ ცქიტიშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ ესპანეთის ჩემპიონატში **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** დებიუტი შედგა: საშინაო მატჩში მწვრთნელმა ახალწვეული მოედანზე 3 წუთით შეუშვა. ამ დროში ნიკამ თითო ორი და სამქულიანის აცილებისა და დაჯარიმების მეტი ვერაფერი მოასწრო. ცქიტიშვილის "კახა სან ფერნანდომ" "ფუენდაბრადა" 77:68 დაამარცხა.

თავისი მატჩი უქულოდ დაასრულა **ვიქტორ სანიკიძემაც**, რომლის "ესტუდიანტესმა" "მენორკას" 73:67 აჯობა.

ესპანეთის ჩემპიონატი. 17 ტურის შემდეგ. 1. რეალი-15 მოგება, 2. ტაუ-15, 3. ჟირონა-13, 4. უნიკახა-10, 5. კახა-10, 6. ხუვენტუდი-9, 7. გრან კანარია-9, 8. ბარსელონა-9, 9. ვალენსია-9, 10. ფუენლაბრადა-8, 11. მერსია-7, 12. გრანადა-7, 13. **ესტუდიანტესი-7**, 14. ბილბაო-6, 15. ალიკანტე-6, 16. ბრუესა-5, 17. ვალიადოლიდი-3, 18. მენორკა-3.

ამერიკელი ექიმების მტკიცებით, **ზაზა ფაჩულიას** კოჭის ტრავმა სერიოზული არ არის და ქართველი დღეს, "ბოსტონთან" მატჩისთვის მწყობრში იქნება. ტრავმის გამო, ზაზამ პარასკევს "დეტროიტთან" ვერ ითამაშა.

გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში პირველი მატჩი წააგო - 74:77 "ველგთან". თუმცა, ბალტიისპირეთიდან სასიხარულო ამბავიც გვაქვს - **გიორგი გაფრინდაშვილი** ლატვიის ასკ-ში გადასვლისთანავე გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. ამ კლუბში სეზონის დასაწყისში მეორე ქართველი გამთამაშებლის, **გიორგი მამაცაშვილის** დებიუტს ველოდით, მაგრამ დეკემბერში იგი საქართველოში დაბრუნდა. ერთი გიორგის ნაცვლად ასკ-ს მწვრთნელმა ვალდის ვალტერსმა მეორე მიიწვია და დეკემბრის შემდეგ გაფრინდაშვილმა 8 მატჩი ჩაატარა. საშუალო სტატისტიკა ნამდვილად არ დაეწუნება: 29 წუთი, 7.9 ქულა, 2.5 მოხსნა, 4.0 პასი, 11 ჩაჭრა, 4.8 შეცდომა, 3.0 ფოლი.


გიორგი გაფრინდაშვილი

გიორგიმ რვიდან 5 შეხვედრა ლატვიის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ჩაატარა, 3 - მეორეში. პირველი ნაწილის შემდეგ საუკეთესო 6 კლუბი ბალტიის თასის მონაწილე ორს შეუერთდა და რვაგუნდიანი ჯგუფი შეიქმნა. მეორე ეტაპზე გაფრინდაშვილის ასკ-მ ერთი მატჩის მოგება შეძლო - "ბუმერანგსს" სტუმრად 85:81 აჯობა. ხოლო ბოლო ტურში, შაბათს შინ საჩემპიონოდ შემზადებულ "ვენტსპილსთან" დამარცხდა - 75:84. ამ შეხვედრაში გიორგის მონაგარს ცხრილიდან გაეცნობით, ახლა კი ლატვიის ჩემპიონატის სატურნირო მდგომარეობას გადავხედოთ.

2 ტურის შემდეგ: 1. ვენტსპილსი-2 მოგება, 2. ბარონსი-2, 3. რიგა-1, 4. ლიესია-1, 5. ასკ-1, 6. ვალმეირა-0, 7. ბუმერანგსი-0, 8. ფალკო-0.

ვაჟა სიმონიშვილი

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 9.01 | ინდიანა-ატლანტა 91:72 | 23 | 7 | 0 | 0 | 9 |
| | | 10.01 | ატლანტა-ნიუ ორლეანი 77:96 | 10 | 0 | 1 | 1 | 1 |
| | | 12.01 | ატლანტა-დეტროიტი 99:93 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | ევროთასი | 9.01 | ესტუდიანტესი-აელი 70:60 | 21 | 3 | 2 | 0 | 8 |
| | ესპანეთი (ჩ.) | 14.01 | ესტუდიანტესი-მენორკა 73:67 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 14.01 | კახა-ფუენლაბრადა 77:68 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვატო ნაცვლიშვილი | ევროთასი | 9.01 | ვირტუსი-დიჟონი 95:77 | 24 | 7 | 1 | 2 | 16 |
| | საფრანგეთი (ჩ.) | 13.01 | ნანსი-დიჟონი 85:73 | 15 | 3 | 1 | 0 | 8 |
| ვლადიმერ ბოისა | ულების თასი | 9.01 | ლუკოილი-მონტეპასკი 76:81 | 13 | 0 | 1 | 0 | 2 |
| | იტალია (ჩ.) | 14.01 | მონტეპასკი-პრემიატა 90:73 | 14 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ტაირონ ელისი | ევროლიგა | 11.01 | ნაპოლი-ბარსელონა 66:64 | 30 | 4 | 5 | 1 | 10 |
| | იტალია (ჩ.) | 7.01 | ნაპოლი-არმანი ჯინსი 84:58 | 21 | 0 | 3 | 0 | 2 |
| მანუ მარკოიშვილი | ევროლიგა | 10.01 | ოლიმპია-უნიკახა 87:59 | 19 | 4 | 1 | 0 | 5 |
| | ადრიატიკა | 13.01 | შიროკი-ოლიმპია 98:97 | 20 | 1 | 1 | 0 | 4 |
| გიორგი ცინცაძე | ბალტიის თასი | 9.01 | როკი-ვალმეირა 110:80 | 31 | 4 | 5 | 2 | 19 |
| | ესტონეთი (ჩ.) | 12.01 | ველგი-როკი 77:74 | 28 | 5 | 2 | 0 | 14 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ლატვია (ჩ.) | 10.01 | ბუმერანგსი-ასკ 81:85 | 25 | 2 | 4 | 0 | 4 |
| | ლატვია (ჩ.) | 13.01 | ასკ-ვენტსპილსი 75:87 | 27 | 1 | 4 | 1 | 7 |

## დღიური

# სამეფო სასტუმრო სამქუჩიან სოფელში



პარასკევ დილით, შინიდან გამოსულმა ახალ ჩანთაში ზოგი ის ნივთი ჩავდე, რაც ჩვეულებრივ ვარჯიშებზე არ დამაქვს. საქმე ისაა, რომ დარბაზიდან პირდაპირ აეროპორტში უნდა გავმგზავრებულიყავით - მეორე დღეს ადრიატიკის თასზე ბოსნიაში "შიროკი ბრეგს" ვეთამაშებოდით.

ლიუბლიანის აეროპორტიდან ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში ჩავფრინდით, სადაც ავტობუსზე გადავჯექით და შიროკამდე ორი საათი დაგვჭირდა. იმავე დღეს "შიროკი ბრეგის" დარბაზში მსუბუქად ვირბინეთ, მეტოქის კალათს "ხელი შევაჩვიეთ" და სასტუმრო "როიალში" დასასვენებლად გავნაწილდით. სახელი მეფურია, მაგრამ მას იქაური პირობები ნამდვილად არ შეესაბამება, თუმცალა აბრაზე ოთხი ვარსკვლავი კი ჩამოუმწკრივებიათ.

შიროკიში ორმა რამემ გამაკვირვა: ქალაქის... არა, ამას ქალაქს ვერ დავარქმევ - სოფელია, თანაც ძალიან პატარა, სულ სამი ქუჩა თუ იქნება. და საოცარია, ასეთ ადგილას ევროსტანდარტების შესაბამისი დარბაზი როგორ წამოჭიმეს. ან როგორ ახერხებენ სპონსორების პოვნასა და ძლიერი გუნდის შენარჩუნებას.

"შიროკი ბრეგმა" თავისი ძალა შაბათს "ოლიმპიასთან" თამაშშიც დაამტკიცა - თითქმის მოგებული მატჩი შემოგვიტრიალა: საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე 10 ქულის სხვაობით დავწინაურდით და შეხვედრა ჩვენთვის სასურველ რიტმში მიგვყავდა. მაგრამ დარჩენილ დროში მასპინძლებმა სამი უპასუხო სამქულიანი ჩაგვიგდეს და საქმე იქამდე მივიდა, რომ უკანასკნელ წამზე ტეემუ რანიკოს რომ არ ჩაეგდო, ძირითად დროშივე წავაგებდით.

ოვერტაიმშიც შეგვეძლო მოგება: სირენამდე 7 წამით ადრე რანიკომ ორი საჯარიმო ჩააგდო და 97:96 დავწინაურდით, მაგრამ ყოფილმა ოლიმპიელმა მაკლინტონმა დაუმსახურებელი ჯარიმის ტყორცნის უფლება მიიღო - 97:98. დარჩენილი სამი წამი მატჩის მდივანმა ერთამდე შეგვიმცირა (შემდეგ განმარტა: მეგონა, მაკლინტონმა მეორე ჯარიმა ააცილა და ტაბლო ინსტიქტურად ჩავრთეო) და რანიკოს ცენტრიდან მოუწია ბურთის არაზუსტად სროლა. მოკლედ, ადრიატიკის თასზე მორიგი მოსაგები მატჩი დაეთმეთ და ფინალურ ოთხეულში მოხვედრის შანსი კიდევ უფრო შემცირდა.

"შიროკის" წინააღმდეგ ძალიან ცუდად ვითამაშე. შეტევაში პასი არ მიმიღია, ხოლო დაცვაში ფოლები ერთმანეთს მივაყოლე და რიგ ეპიზოდებში მწვრთნელი ვალდებული იყო, გამოვეცვალე.

ჩემი ფინელი თანაგუნდელის გვარი რამდენჯერმე ვახსენე და აქვე ერთ ახალ ამბავს გაგანდობთ. ტეემუ რანიკო ისრაელის "მაკაბიში" მიდის. მას "ოლიმპია" ხვალ უნდა დაეტოვებინა, რადგან პირობების შეუსრულებლობის (სამი თვის ხელფასი ჰქონდა ასაღები) გამო, კონტრაქტის გაწყვეტის უფლება ჰქონდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ დავალიანება ერთ დღეში (!) დაფარა და რანიკოს წასვლაც გადაიდო.

ჩემი ფინანსური მდგომარეობის შესახებაც გაგიჩნდებოდათ კითხვა. გიპასუხებთ - სიტუაცია ისევ ცუდადაა, უფროსობამ ერთი ორ ლიდერს (მათ შორის კაპიტანს) სახელფასო დავალიანება სრულად გაუსტუმრა, გააჩუმა და უკაპიტნოდ გაფიცვა ნამდვილად არ გამოდის. აი, ასეთი სიტუაციაა ევროლიგაზე მოასპარეზე ზოგიერთ კლუბში...

მატჩის მეორე დილას სასტუმრო "როიალიდან" ფეხი არ გამიდგავს, ან სად უნდა წავსულიყავი - სამქუჩიან სოფელში სანახავ-გასართობი არაფერია. ფიქრისთვის საკმარისი დრო დამრჩა. გონებაში ბოსნიის პეიზაჟები, ხალხის მდგომარეობა გადავათვალიერე და დასკვნა გამოვიყვანე: ბოსნია ეკონომიკურად სლოვენიას ჩამორჩება, ხოლო ბუნებით - საქართველოს. ამ ქვეყანამ (რომელშიც მეშვიდედ მომიწია ჩასვლა) სლოვენიისგან განსხვავებით, მძიმე ომი გადაიტანა. იყო დაპირისპირება ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის და წელში ჯერ ბოლომდე ვერ გამართულა. მთები აქაც არის, მაგრამ რაჭისა და სვანეთის ბუნებასთან ახლოსაც ვერ მოვა.

ამასობაში ბარგის ჩალაგების დროც დადგა, ლიუბლიანაში იმავე მარშრუტით ვბრუნდებით, რომლითაც ჩამოვედით.

მანუჩარ მარკოიშვილი

## ჭადრაკი

# იმერეთის ღია ერთი თურქით

ქუთაისის საჭადრაკო კლუბ „მაიაში" დასრულდა იმერეთის პირველობა ქალთა და ვაჟთა შორის, რომელიც ტრადიციულად ყოველ წელიწადს, ახალი წლის დღეებში იმართება. ტურნირში ქუთაისის, თბილისის, სამტრედიის, წყალტუბოს და ბაღდათის მოჭადრაკეებმა იასპარეზეს, აგრეთვე - სტამბოლელმა **სალლამ უმითმა**, რომელიც ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. მონაწილეთა ასაკი შეზღუდული არ იყო, იყვნენ ბავშვებიც, ხოლო უხუცესი მონაწილე 66 წლის **რაულ კაპანაძე** გახლდათ.

ვაჟებში, სადაც 28 მოჭადრაკემ იასპარეზა, 8 ქულით პირველი ადგილი 14-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონმა ქუთაისელმა **დავით ბენიძემ** დაიკავა. მეორეზე 7.5 ქულით 12 და 14-წლამდელთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სამტრედიელი **მერი არაბიძე** გავიდა. სხვათა შორის, ის ერთადერთი გოგონა იყო, რომელმაც ვაჟებში მიიღო მონაწილეობა. მერიმ ასე გაგვიმარტა: *ვაჟთა შორის იმის გამო ვიასპარეზე, რომ აქ გაცილებით ძლიერი მოჭადრაკეები არიან და მათთან პაექრობაში მიღებული გამოცდილება მომავალ შეჯიბრებებშიც დამეხმარება."* მესამე ადგილზე 6 ქულით სამტრედიელი **სიმონ ხაჟალია** გავიდა.

ქალთა შორის 14 მოჭადრაკე შეგროვდა. პირველზე 5.5 ქულით ქუთაისელი **ლელა უგულავა** გავიდა. მეორეზე და მესამეზე შესაბამისად 5 და 4.5 ქულით მისი თანაქალაქელები - **ფატი რიჟამაძე** და **ანა გალდავაძე**. გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები იმავე დღეს გაემგზავრნენ თბილისში, სადაც უკვე დაიწყო საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან


მამუკა კაკაურიძის ფოტო

## ჩოგბურთი

# ნახევარფინალი ქართულ-იამაიკურად

საქართველოს მეორე ჩოგანმა, **ლადო ჩიხლაძემ** გერმანიის ქალაქ ნუსლოხის საერთაშორისო ტურნირში წყვილთა თანრიგში ერთეულებზე უკეთ იასპარეზა. ერთეულებში მსოფლიოს 545-ე ჩოგანმა ქართველმა, საკვალიფიკაციო ტურნირი გაიარა, მაგრამ ძირითად ბადეში პირველივე წრეში წააგო. წყვილებში ლადო იამაიკელ **დასტინ ბრაუნთან** ერთად თამაშობდა. პირველ წრეში წყვილი ისვენებდა - მათ გერმანელი მეტოქეები არ გამოუცხადნენ. მეორე წრეში ჩიხლაძემ და ბრაუნმა გერმანელი **გერო კრეჩმერის** და ავსტრალიელი **კლინტონ თომსონის** დუეტი დაამარცხეს - 7:6, 3:6, 7:5. ქართველი და იამაიკელი ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ იქ მათ ტურნირის ფავორიტ წყვილთან პოლონელ **ტომაშ ბედნარეკსა** და გერმანელ **ფრანკ მოზერთან** წააგეს - 6:3, 0:6, 3:6.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი

# ყველაფერი გარკვეულია

## რუმინეთი და ლატვია ფლეი ოფში გავიდნენ



რუმინელებმა კონსტანცაში ოთხით ნაკლები გოლი გაგვიტანეს

გუშინ, რუმინულ ქალაქ კონსტანცაში ევრო 2008-ის მესამე შესარჩევი ჯგუფის მეოთხე ტურის მატჩში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა მეოთხე მარცხი განიცადა - 24:30. ქართველებმა რუმინელებთან სტუმრად უფრო ნაკლები სხვაობით წააგეს, ვიდრე - შინ, თუმცა ამასაც თავისი მიზეზი გააჩნია - რუმინელებმა ოდნავ გადაახალისეს ის შემადგენლობა, რომლითაც თბილისში 34:24 იმარჯვეს.

კონსტანცაში "ტრიკოლორის" რიგებში საუკეთესო **მარიუს სადოვიაკი** იყო 7 გოლით. ჩვენი გუნდიდან კი ყველაზე მეტი, ხუთი გოლი **გიორგი ქობელაშვილმა** გაიტანა, ოთხი - გაქართველებული ბელარუსის - **სერგეი კირილოვის** ანგარიშზეა. კონსტანცაში რუმინელები პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ და ნახევარი 16:11 მოიგეს, მეორეში კი თანაბრი ბრძოლა გაჩაღდა. მატჩს რუმინული "ტვ სპორტი" პირდაპირ ეთერში აჩვენებდა.

გუშინვე ლატვიის ნაკრებმა შინ 29:23 დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები. გამარჯვებულთაგან თავი ვალკოვსკასმა გამოიჩინა შვიდი გოლით. მესამე შესარჩევ ჯგუფში კიდევ ორი ტური დარჩა გასამართი, თუმცა ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია - ფლეი ოფში რუმინეთისა და ლატვიის ნაკრებები გავიდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**14 იანვარი. კონსტანცა**

**რუმინეთი–საქართველო 30:24**

რუმინეთი: სტანესკუ, პოპესკუ; სადოვიაკი (7), იურკა (5), ნოვანცი (4), კოზმა (3), იაკობი (2), სტავროსიტუ (2), ტომა (1), ნიკოლაე (1), ტიმოფტე (1), მაზილუ (1), ჩუბოტარიუ

**14 იანვარი. რიგა**

**ლატვია–ბულგარეთი 29:23**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 132:96 | 8 |
| ლატვია | 4 | 4 | 0 | 0 | 130:96 | 8 |
| ბულგარეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 95:128 | 0 |
| საქართველო | 4 | 0 | 0 | 4 | 97:134 | 0 |

17 იანვარი: ლატვია - რუმინეთი; 19 იანვარი: საქართველო-ბულგარეთი, 21 იანვარი: რუმინეთი-ლატვია, ბულგარეთი-საქართველო

ინტერვიუ არჩილ გარიშვილთან

# ფიზიკოსი მეოთხე ბუნდესლიგიდან

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს კარგი მეკარეები არასდროს აკლდა. სამწუხაროდ, ახლანდელ მეკარეებს რამდენიმე წელია, ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი არ ჰქონიათ, რადგან ეს გუნდი, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

ეროვნული გუნდი აღდგა, რომელიც ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ახლახან ჩაერთო ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში. ამჟამად ნაკრების 14-კაციან განაცხადში ორი მეკარეა - თურქული ანკარასფორის გამოცდილი მეკარე შოთა თევზაძე და მისი ახალგაზრდა დუბლიორი გაგა სამყურაშვილი.

თევზაძე რომ ამ ეტაპისთვის უკონკურენტოა, ეს ალბათ სადავო არაა, ხოლო მეორე ნომრობაზე სხვა მეკარეებსაც აქვთ პრეტენზია. მათ შორისაა გერმანიაში მოთამაშე არჩილ გარიშვილი, ქართული ხელბურთის გულშემატკივრებს ალბათ ეხსომებათ ეს 25 წლის ნიჭიერი მეკარე, რომელიც ასკ-სა და "თბილისში" თამაშობდა. დანარჩენზე კი თავად არჩილ გარიშვილი გვესაუბრება.



არჩილ გარიშვილი

- საქართველოს ჩემპიონატში 1998 წლიდან ვთამაშობდი ასკ-ის შემადგენლობაში, რომელიც 1999 წელს დაიშალა და ჩამოყალიბდა "თბილისი", რომელსაც წვრთნიდნენ მამუკა მჟავანაძე და ამბერკი ტაბიძე. სანამ საქართველოში ვიყავი, "თბილისის" კარს ვიცავდი. 2004 წლამდე ვთამაშობდი საქართველოს ჩემპიონატში და კარგად მახსოვს ბოლო სეზონი, რომელშიც "თბილისი" ბოლო ტურებამდე იბრძოდა ჩემპიონობისთვის, მაგრამ სტუ-"შევარდენმა" გვაჯობა. იმედი მქონდა, რომ ამის შემდეგ ჩემპიონატის დონე ამაღლდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. როგორც ვიცი, შარშანდელ და წლევანდელ ჩემპიონატებში 4-5 გუნდი ძლივს მონაწილეობს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ხელბურთი ღრმა კრიზისშია.

**- გერმანიაში როგორ აღმოჩნდი?**

- პროფესიით ფიზიკოსი ვარ. 2004 წელს ბერლინში ჩამოვედი სწავლის გასაგრძელებლად და ერთი წელი დავრჩი. ამ ხნის განმავლობაში, ვთამაშობდი მეოთხე ბუნდესლიგის კლუბ "პოტსდამში", რომელსაც ინტერნეტით დავუკავშირდი. შემდეგ გადავედი "შერბერგში", რომელიც მეოთხე ბუნდესლიგიდან შარშან გავარდა. ამჟამად ტვ-"ვეიდენის" ღირსებას ვიცავ, რომელიც პატარა ქალაქ ვურსელენის გუნდია - აახენთან და კიოლნთან ახლოს მდებარეობს.

**- საქართველოს ჩემპიონატში საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდი. გერმანიის მეოთხე ლიგაში თამაში რამდენად გაკმაყოფილებს?**

- აქაური ბუნდესლიგა რომ მთელ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, ეს ალბათ ყველამ იცის. რაც შეეხება მეოთხე ბუნდესლიგას, გერმანიაში ათამდე ასეთი ლიგაა. ჩვენს "მითელრაინ ობერლიგაში" 14 გუნდია, ყველა თანაბარი ძალისაა, კონკურენციაც საკმაოდ დიდია და პირობებიც შესანიშნავი - საქართველოს ჩემპიონატთან შედარებაც არ შეიძლება. ყოველ შაბათ-კვირას თამაშები გვაქვს.

**- და მაინც, უკეთეს კლუბში გადასვლის ვარიანტი არ გაქვს?**

- ამ ზაფხულს ბელგიის მეორე ლიგის კლუბ "ლიეჟთან" ერთად რამდენიმე კვირით შეკრებაზე ვიმყოფებოდი. ბელგიელებს ძალიან მოვეწონე და კონტრაქტის გაფორმებაც შემომთავაზეს. თუმცა, ორი მიზეზის გამო ვუთხარი უარი. გერმანიის მეოთხე ლიგა ბელგიის მეორეს ჯობია, თანაც, ბელგიაში ხშირად სიარული გამიჭირდებოდა და სწავლაში შემეშლებოდა ხელი.

სხვათაშორის, აქ იმდენად დიდი კონკურენციაა და კლუბის ხელმძღვანელობა ისე სერიოზულად ეკიდება საქმეს, რომ როგორც გუნდის ახალწვეულს, ჯერ სარეზერვო კლუბში მათამაშებენ. მოედანზე მინიმუმ, 50 წუთი ვარ. თუმცა, ეს რა თქმა უნდა, არ მაკმაყოფილებს, და მწვრთნელებიც მპირდებიან, რომ მომავალი სეზონიდან "ვეიდენის" ძირითადი მეკარე ვიქნები. თუ ასე იქნება, ამას რა აჯობებს, თუ არადა, ან იგივე ლიგის სხვა გუნდს მოვნახავ, ანდა მესამე ბუნდესლიგაში ვცდი ბედს.

**- საქართველოს ნაკრებში რომ გამოგიძახონ თუ ჩამოხვალ?**

- ეს ყველა ქართველი მეკარის და მათ შორის, ჩემი ოცნებაცაა. სამწუხაროდ, აქამდე ნაკრების კანდიდატიც კი არ ვყოფილვარ და ამაზე ჩემთან ყოფილი თანაგუნდელებისა და მამუკა მჟავანაძის მეტს არავის ულაპარაკია. თუკი საქართველოს ნაკრებს დავჭირდები, არც დავფიქრდები, დიდი სიამოვნებით ჩამოვალ.

**- ჩვენი ნაკრების წლევანდელ გამოსვლაზე რას იტყვი?**

- სამწუხაროდ, ლატვიასთან შეხვედრების ხილვის საშუალება არ მომცემია. ნაკრებისა და ქართული ხელბურთის სიახლეებს ინტერნეტისა და მეგობრების საშუალებით ვიგებ. მიუხედავად ყველაფრისა, ლატვიასთან შინ და გარეთ წაგება ალოგიკურად მიმაჩნია, რადგან შემადგენლობაც კარგი გვყავს და ლატვიაც არასდროს ყოფილა ევროგრანდი. დარჩენილ ორ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს წარმატებებს ვუსურვებ.

**- გერმანული ცხოვრების სტილს როგორ შეეწყვე, სამშობლო არ გენატრება?**

- შინ წელიწადში ორჯერ თუ ჩამოვდივარ ხოლმე. ასეთ აწყობილ ქვეყანაში ცხოვრება კარგი კია, მაგრამ საქართველო მართლაც ძალიან მენატრება, განსაკუთრებით ქართული სამზარეულო. თუმცა, აქ ქართველები ბევრნი ვართ და ამ მხრით, მთლად ცუდადაც არ გვაქვს საქმე. ყველაზე ახლოს ორ ქართველ ფიზიკოსთან და ჩემს კურსელ მეგობართან ვარ, რომელთან ერთადაც მაქვს ბინა ნაქირავები. ასპირანტურაში ვსწავლობ, კონტრაქტი 2009 წლამდე მაქვს და ამ ხნის განმავლობაში გერმანიაში ვიქნები.

**კობა ხატისაშვილი**

## წიგნის თარო




# ჭადრაკი და სხვა...

80 წელს გადაცილებული ადამიანი თავისი ეპოქის ცოცხალი მატიანეა, მის მიერ განვლილი გზა კი, მით უფრო საინტერესოა, თუ იგი შემოქმედია. მკვლევარსა და სტატისტიკოსს, ვეტერან ჟურნალისტს გიორგი მახარაძეს უფრო საჭადრაკო და საფეხბურთო თემებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებით იცნობს მკითხველი. ათეული წლებია, იგი თანამშრომლობს ქართულ და უცხოურ პრესაში. ჭადრაკს რამდენიმე წიგნი მიუძღვნა. ამ დღეებში დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო მისი კიდევ ერთი ნაშრომი: "ჭადრაკი და... ცოტა სხვაც". ჯერ ჭადრაკზე. წიგნში შესული პრესაში ადრე გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა "ალექსანდრ ალიოხინის ანტისემიტური სტატიები და სხვა ომისდროინდელი გადაცდომები", "ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები", "პირისპირ კაისას რაინდებთან", მოთხრობილია აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონებსა და პრეტენდენტებზე, ქართული ჭადრაკის პერიოდებზე, რეგიონულ ჭადრაკზე და ა.შ. ის "ცოტა სხვა" კი მეტწილად ფეხბურთს ეხება. როგორც მკვლევარსა და სტატისტიკოსს, გ. მახარაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ქართულ პრესაში დაშვებული მთელი რიგი უზუსტობები და მოკრძალებით მიანიშნებს ავტორებს იმ შეცდომებზე, რომლებიც ზოგიერთ საჭადრაკო და საფეხბურთო პუბლიკაციებშია დაშვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ლეგიონერები

# სხვაობა 12 ქულა დარჩა



პო-ლაროშელი

საფრანგეთის ჩემპიონატში მორიგი ტური მხოლოდ მეორე დივიზიონში გაიმართა. მე-16 ტური ლიდერს ვერ შეცვლიდა - **ილია ზედგინიძის** "ოშმა", რომელიც ისედაც 12 ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარს, მორიგი, მე-15 გამარჯვება მოიპოვა.

გასკონელებმა სტუმრად ითამაშეს აუტსაიდერ "კოლომიესთან" და უპრობლემოდ გაიმარჯვეს 31:15. ზედგინიძემ ტრავმა ახლახან მოირჩინა და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

სრულიად მოულოდნელად ერთ-ერთ აუტსაიდერ "მონ დე მარსანთან" დამარცხდა **გია ლაბაძისა და გიორგი კუთარაშვილის** "ტულონი" - 13:26. კუთარაშვილი თამაშში 70-ე წუთიდან ჩაერთო, ლაბაძემ წინა ტურში, "გრენობლთან მხარი იტკინა და გუნდს მხოლოდ მომდევნო ტურში დაუბრუნდება. არ უთამაშია ზელანდიელ **ტანა უმაგასაც.**

**ლევან ღვაბერიძის** "გრენობლმა" საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით, 19:18 დაამარცხა "ლიმოჟი". ალპელების შემადგენლობაში ქართველი ისევ არ გამოჩენილა.

**მერაბ კვირიკაშვილის** "პო" შინ დამარცხდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ "ლა როშელთან" 6:12. მეკო სათადარიგოთა შორის იყო, მეორე დივიზიონში მისი დებიუტი შემდეგი ტურისთვის გადაიდო.

**ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიემ" ძნელი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად "ბორდოსთან' 14:13 და ლიდერთან 12-ქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა. მაჩხანელი ტამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ გაიმარჯვა "ტარბთან" შეხვედრაში **დავით აშვეთიასა და მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგმა" 27:13. პარიზელთა რიგებში აშვეთიამ 71-ე წუთამდე ითამაშა, მაგრაქველიძე განაცხადში არ ყოფილა.

საფრანგეთი. II დივიზიონი. XVI ტური. **გრენობლი-ლიმოჟი 19:18, მეტრო რასინგი-ტარბი 27:13, ბორდო-ბეზიე 13:14, პო:ლა როშელი 6:12, კოლომიე-ოში 15:31, მონ დე მარსანი-ტულონი 26:13, ოიონაქსი-ლიონი 10:10, გაიაკი-დაქსი 20:32.**

**1.ოში-63 ქულა / 2.ბეზიე-51,** 3.ლა როშელი-48, 4.დაქსი-46, **5.ტულონი-46 /** 6.ლიონი-42, 7.ოიონაქსი-42, **8.მეტრო რასინგი-35,** 9.გაიაკი-35,**10.გრენობლი-33,** 11.ტარბი-32, 12.ბორდო-29, 13.მონ დე მარსანი-27 / 14.პო-26, 15.ლიმოჟი-25, 16.კოლომიე-19

**ბესიკ ჯანგავაძე**

ევროთასები

# აქვსენტის შანსი აქვს

**ჰაინეკენის თასის გათამაშებაში მონაწილე "ქართული" გუნდებიდან პლეიოფში გასვლის შანსს მხოლოდ აქვსენტი გიორგაძის "კასტრი" ინარჩუნებს.**

ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. A ჯგუფში მოასპარეზე "კასტრმა" სტუმრად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ტრევიზოს "ბენეტონთან" - 40:21. **აქვსენტი გიორგაძე** სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. ჩვენებურის გუნდი ახლა ჯგუფში მეორე ადგილზეა და ბოლო ტურში ლიდერს, ინგლისურ "ვოსფსს" მასპინძლობს. პლეიოფში გასასვლელად "კასტრმა" აუცილებლად უნდა მოიგოს, თანაც, მეოთხედფინალში 6 ჯგუფის ორი საუკეთესო მეორეადგილოსანიც გადის. "ვოსფსმა" "კასტრის" კონკურენტი, კიდევ ერთი ფრანგული კლუბი, "პერპინიანი" დაამარცხა შინ 22:14.

A ჯგუფი. ვოსფსი-19 ქულა / **კასტრი-15** / პერპინიანი-13, ბენეტონი-0.

D ჯგუფში ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო **ირაკლი გიორგაძისა** და **დავით ხინჩაგიშვილს** "ბურგუენმა". საკუთარ მოედანზე ქართველ მორაგბეთა ამ გუნდმა ვერაფერი გააწყო ლიდერთან, ირლანდიურ "მანსტერთან" - 27:30. გიორგაძე განაცხადში არ იყო, ხინჩაგიშვილი თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო. ინგლისურმა "ლესტერმა" შინ 34:0 დაამარცხა "კარდიფი".

D ჯგუფი. მანსტერი-23 ქულა / ლესტერი-19 / კარდიფი-5, ბურგუენი-0.

B ჯგუფი. **ლენსტერი (ირლ)-ედინბურგი(შოტ) 49:10, აჟენი (საფ)-გლოსტერი(ინგ)** 26:18; ლენსტერი-20 ქულა / აჟენი-13 / გლოსტერი-11, ედინბურგი-5. C ჯგუფი. **კალვიზანო (იტ) - სეილ შარქსი (ინგ) 11:29, სუონსი (უელ) - სტად ფრანსე (საფ) 22:22;** სტად ფრანსე-17ქულა / სუონსი-16 / სეილ შარკსი-15, კალვიზანო-0; E ჯგუფი. **ალსტერი (ირლ)-ჰლანეჰლი (უელ) 11:35, ლონდონ აირიში (ინგ)-ტულუზი (საფ) 24:26;** ჰლანეჰლი-23 ქულა / ტულუზი-13 / ალსტერი-10, ლონდონ აირიში-8; F ჯგუფი. **ბიარიცი (საფ)-ოვერმაკი (იტ) 45:3, ბორდერზი (შოტ)-ნორსჰემპტონი (ინგ)-19:29;** ბიარიცი-25ქულა / ნორსჰემპტონი-20 / ბორდერზი-5, ოვერმაკი-0.

**ჩელენჯ კაპის** ფლეი ოფში თამაშის უფლება ჯგუფური ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** "კლერმონმა" მოიპოვა. შანსს ჯერ კიდევ **ავთანდილ კოპალიანის** "მონტობანი".

ბოლოსწინა ტურში C ჯგუფში მოასპარეზე "მონტობანმა" შინ იტალიური "პადოვა" მიიღო და 19:7 დაამარცხა. **ავთანდილ კოპალიანი** ძირითად შემადგენლობაში იყო და ის 68-ე წუთზე რუმინელმა **ბოგდან ბალანმა** შეცვალა. ამავე ჯგუფის ლიდერი, კიდევ ერთი ფრანგული კლუბი "ბრივი" სტუმრად დამარცხდა ინგლისში "ნიუკასლთან" 17:24 ბოლო ტურში "მონტობანი" სტუმრად ითამაშებს "ბრივის" წინააღმდეგ. კოპალიანის გუნდს აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, თანაც პრემიალური ქულით. **ბრივი - 20 ქულა / ნიუკასლი - 16 / მონტობანი - 13, პადოვა - 0.**

D ჯგუფში სრულიად უიმედო მდგომარეობაშია **მამუკა გორგოძის** "მონპელიე". მეხუთე ტურში ჩვენებურის ეს გუნდი შინ დამარცხდა ინგლისურ "ჰარლიქვინზთან" 27:37 და მყარად უჭირავს მეოთხე ადგილი. **ბასი - 21 ქულა / ჰარლიქუინზი - 16 / ქონოთი - 8, მონპელიე - 5.**

E ჯგუფში, როგორც უკვე ვთქვით დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის "კლერმონი" ლიდერობს. ვულკანებმა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს. ამჯერად მათ სტუმრად ინგლისში "ვურსსტერი" დაამარცხეს 22:35. ზირაქაშვილი განაცხადში არ იყო, შველიძე კი თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო. **კლერმონი - 23 ქულა / ვურსტერი - 15 / ვიადანა - 10, ალბი - 0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

## სუმო



ჰომაშომ კოკაის უვატენაგე ჩაუტარა

იანვრის ბაშო

# ბრძოლა დადებითი ბალანსისთვის

იანვრის ბაშომ ეკვატორი გადალახა და **კოკაის** დადებითი ბალანსისთვის გააფთრებული ბრძოლა მოუწევს. დარჩენილი 7 ორთაბრძოლიდან ქართველმა ხუთი უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ დაქვეითება მოუწევს. უქმეებზე კოკაიმ ჯერ მეოთხე მაეგაშირა **ჰომაშოსთან** წააგო, შემდეგ კი აჯობა პირველ მაეგაშირა **დეჯიმას**, ვეტერან ყოფილ ოძეკის, რომელმაც ერთადერთმა შეძლო ამ ბაშოზე **ასაშორიუს** წაქცევა. კოკაის ბალანსია - 3-5.

ბაშოზე **ტამაკასუგას** ალოგიკური ერთპიროვნული ლიდერობა დასრულდა, გუშინ მან წააგო და ახლა დიდ ჩემპიონ ასაშორიუსა და **ტამანოშიმასთან** ერთად 7-7 მოგებით ლიდერობს. ოძეკთაგან უკეთ **ჩიოტაიკაი** ჭიდაობს, რომელსაც ექვსი გამარჯვება დაუგროვდა. დღეს კოკაის მეტოქე კორეელი, მეშვიდე მაეგაშირა **კასუგაოა**. კასუგაოს კოკაი სამჯერ შეხვედრია, ჯერჯერობით ქართველი 2:1-ს იგებს.

შაბათს მესამე დივიზიონ მაკუშიტაში **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ოშიტაოშით **ჩიოტენცანი** დაამარცხა. გუშინ ამავე დივიზიონში **ტოჩინოშინმაც (ლევან გორგაძე)** მოიგო, მან იორიტაოშით **ეტორიუ** დამარაცხა. გაგამარუს ბალანსი 2-2-ია, ტოჩინიშინის - 3-1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**იანვრის სუპერტურნირი**

(ჰაცუ ბაშო)

7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

VII დღე: კოკაი - ჰომაშო 0:1 (უვატენაგე), ასაშორიუ - ამა 1:0, ტოჩიაძუმა - მიაბიამა 1:0, კაიო - კოტომიცუკი 1:0, კიოკუტენჰო - ჩიოტაიკაი 1:0, ტოკიტენკუ - ჰაკუჰო 1:0, კოტოოშუ - დეჯიმა 1:0, კისენოსატო - როჰო 1:0, კოტოშოგიკუ - ამინიშიკი 1:0, ტაკამისაკარი - ტოჩინონადა 1:0, ასასეკირიუ - ტაკეკაძე 1:0, ტამაკასუგა - ტოსანოუმი 1:0.

VIII დღე: კოკაი - დეჯიმა 1:0 (იორიკირი), ასაშორიუ - კისენოსატო 1:0, ჰაკუჰო - კაიო 1:0, ჩიოტაიკაი - კოტოშოგიკუ 1:0, ამა - კოტოოშუ 1:0, ამინიშიკი - ტოჩიაძუმა 1:0, მიაბიამა - როჰო 1:0, ტოკიტენკუ - კოტომიცუკი 1:0, კიოკუტენჰო - ჰომაშო 1:0, ტაკამისაკარი - კაკურიუ 1:0, კაკიძოე - ტოჩინონადა 1:0, ტაკეკაძე - ტამაკასუგა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 7-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ტამაკასუგა (მაეგაშირა 11), ტამანოშიმა (მ 14); 6-2: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ტაკამისაკარი (მ 5), ტოიონოშიმა (მ 9); 5-3: კაიო (ოძეკი), ჰაკუჰო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), კოტოშოგიკუ (მ 1), ამა (მ 4), ტოკიცუუმი (მ 12), კასუგანიშიკი (მ 13), უშიომარუ (მ 15), ოცუკასა (მ 16); ... 3-5: კოკაი (მ 5).

IX დღე, მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი - კასუგაო, ასაშორიუ - მიაბიამა, ჩიოტაიკაი - კაიო, ჰაკუჰო - ტოჩიაძუმა, კოტოოშუ - ტაკამისაკარი, კოტომიცუკი - დეჯიმა, კოტოშოგიკუ - კისენოსატო, ტოკიტენკუ - როჰო, ამინიშიკი - ჰომაშო, კიოკუტენჰო - ასასეკირიუ, ამა - ტოჩინონადა, ფუტენო - კაკურიუ, ტამაკასუგა - ტოიონოშიმა.

## ოქროს ათეული

# ბედინაძის წელიწადი

ბათუმის კომპლექსური სასპორტო სკოლის ცენტრალურ დარბაზში მოეწყო საზეიმო ცერემონიალი - დააჯილდოვეს ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენი და საუკეთესო მწვრთნელები.

სპორტსმენები: დავით ბედინაძე (ანტიკური ჭიდაობა); სალომე მელია (ჭადრაკი); ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოსნობა); არჩილ თურმანიძე ( ანტიკური ჭიდაობა); თამარ კაკაშვილი (ბატუტზე ხტომა); ზურაბ ჭყონია (ბატუტზე ხტომა); ელენე ტიტოვა (მხატვრული ტანვარჯიში); ზაზა აბულაძე (ძალოსნობა); ირაკლი ზამბახიძე (ფარიკაობა); ირინა ლეონიძე (ძიუდო).

მწვრთნელები: ჯემალ კილაძე, მარადი არსენაძე (თავისუფალი ჭიდაობა), დიმიტრი ქინქლაძე, ილია ტულუში, გელა ჯანელიძე (ანტიკური ჭიდაობა), აბესალომ ბასილია (ძალოსნობა), ზაურ სულაშვილი (მხატვრული ტანვარჯიში), გურამ ლორთქიფანიძე, პაატა ჭელიძე და გიორგი ცნობილაძე (ფარიკაობა), თამაზ ფუტკარაძე (მშვილდოსნობა), კახა სუპატაშვილი (ჭადრაკი), სოლომონ ფეიქრიშვილი, ნათია აბუსერიძე (ძიუდო).

**ოთარ მურვანიძე**



დავით ბედინაძე

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# ნაქცეულის გამარჯვება

**ბოდე მილერი** ტრადიციას არ ღალატობს - თითქმის ერთწლიანი ჩავარდნის შემდეგ, ის ჩვეულ ფორმაში შევიდა, ძველებურად ხუმრობს და არც რისკს ერიდება. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რისკიანი მილერი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს იკავებს. ამჯერად მან დაშვების რბოლა მოიგო შვეიცარიის სამთო კურორტ ვენგენში. რბოლის ფინიშზე ის დაეცა და თოვლზე გაგორებულმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, ნარბოლევს კი განაცხადა, S-მოსახვევს რომ გავდიოდი, მაშინვე ვიცოდი, რომ ფინიშზე დავეცემოდიო.



ბოდე მილერი

ვენგენის ლაუბერჰორნის ტრასა უგრძესი და ერთ-ერთი ურთულესია იმ ტრასებს შორის, რომლებზეც მსოფლიო თასის ეტაპები ტარდება. მისი სიგრძე 4480 მეტრია, გამარჯვებულს კი ფინიშამდე მისაღწევად 2 წუთი და 28.89 წამი დასჭირდა. მან 0.65 წამით აჯობა უახლოეს მდევარს, შვეიცარიელ **დიდიე კუშეს**, 1.47 წამით კი - მესამეზე გასულ იტალიელ **პეტერ ფილს**.

*"ძალიან ძნელი ტრასაა. წინდაწინ ვიცოდი, რომ S-მოსახვევს ისე გავივლიდი, როგორც მსურდა, მაშინ ფინიშთან აუცილებლად დავეცემოდი. სიმართლე გითხრათ, ამისათვის მზად ვიყავი. როცა ორწუთნახევარი საშინელი სისწრაფით მიქრი და არ იცი, სად დაეშვები, როცა ბოლო ნახტომს შეასრულებ... მერწმუნეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ ნახტომის შემდეგ ფეხზე ვერ დავდგებოდი"*, - ყვებოდა ნარბოლევს მილერი, ვინც კარიერაში დაშვების მეოთხე რბოლა მოიგო და პირველი ევროპულ ტრასაზე.

მილერს ახლა კარიერაში მსოფლიოს თასზე 25 მოგება დაუგროვდა. ორიც და ის ამერიკულ რეკორდს გაიმეორებს, რომელიც **ფილ მარეს** (ამან სპორტული კარიერა 1984 წელს დაასრულა) ეკუთვნის, ვისაც რბოლები სლალომში, გიგანტურ სლალომსა და კომბინაციაში (დაშვება და სლალომის ორი ცდა) აქვს მოგებული.

ლაუბერჰორნის ტრასა ერთ-ერთი ყველაზე რთული და მომთხოვნია მსოფლიოში. მის სირთულეს განსაზღვრავს ბოლო, S-მოსახვევი, რომელიც ფინიშის წინ მდებარეობს. მის გამოსასვლელში მოთხილამურეებს შორეული ნახტომის შესრულება უწევთ, რის შემდეგაც, პრაქტიკულად, ფინიშის ხაზთან ეშვებიან.

მილერმა ეს მოსახვევი რისკით, თითქმის იდეალურად გაიარა, მაგრამ მის ბოლოს ფეხებში ძალა გამოელია და როცა თოვლზე უნდა დაშვებულიყო, წონასწორობის შენარჩუნება ველარ შეძლო. ამერიკელს თხილამურები "გაექცა", ის მარცხენა გვერდზე "წამოწვა" და ასე გადაკვეთა ფინიში.

მოკლედ, მილერმა ამ სეზონში დაშვების მეორე რბოლა მოიგო. პირველი გამარჯვება მან აშშ-ში, შტატ კოლორადოში მდებარე ბივერ კრიკის ფერდობზე მოიპოვა. სულ კი მას სეზონში ყველაზე მეტი, ოთხი ეტაპი აქვს მოგებული, მაგრამ ტექნიკურ დისციპლინებში არასტაბილური გამოსვლების გამო, აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილი უკავია.

*"მან თუ სტარტზე მართლაც იცოდა, რომ ფინიშზე წაიქცეოდა, მაგრამ მაინც არ შეცვალა ტაქტიკა, მაშინ ჩემზე უფრო გიჟი ყოფილა. არ მგონია, ეს კარგი ტაქტიკა იყოს. მას გაუმართლა, რომ რბოლა ტრავმის გარეშე დაასრულა და ვუსურვებ, რომ სეზონის ბოლომდე ასეთი იღბლიანი ყოფილიყოს"*, - მილერის სიტყვების საპასუხოდ განაცხადა კუშემ, ვინ მილერის გამოსვლამდე რბოლას აშკარა უპირატესობით ლიდერობდა.

კუშემ შეინარჩუნა ლიდერობა დაშვების კლასიფიკაციაში, აბსოლუტურში კი პირველობას კვლავ ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი** ინარჩუნებს, ვინც ვენგენში მერვე ადგილს დასჯერდა. კუშეს დაშვებაში 410 ქულა აქვს და 117 ქულას უგებს მეორეზე მყოფ ლიხტენშტაინელ **მარკო ბიუხელს**. მილერს 270 ქულით მეხუთე ადგილი უკავია.

ცნობისათვის, ვენგენის S-მოსახვევი ტრაგიკული ისტორიით გამოირჩევა. 1991 წელს ამ ტრასაზე, სწორედ ამ მოსახვევში დაცემის შედეგად მიღებულ ტრავმებს ავსტრიელი ახალბედა **გერნო რაინშტადლერის** სიცოცხლე შეეწირა. 1997 წელს ამავე მოსახვევში მძიმე ინციდენტი შეემთხვა ფრანგ **ადიარნ დიუვილარს**, ვინც თავის მძიმე ტრავმა მიიღო.

მილერის გარდა, ამავე მოსახვევში კიდევ რამდენიმე მოთხილამურე დაეცა. მათ შორის, სახელოვანი ავსტრიელი **ფრიც შტრობლიც**, ვინც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე (2002 წელს) დაშვებაში ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. სხვათა შორის, ვენგენში დაშვება შარშანაც ამერიკელმა - **დეირონ რალვსმა** მოიგო, ვინც გასული სეზონის შემდეგ სპორტიდან წავიდა.

■■■

დაშვების რბოლა ჰქონდათ ქალ მოთხილამურეებსაც, რომლებმაც ავსტრიის ალტენმარკტში (აქაური ზაუხენზეეს ტრასა ოლიმპიურ რბოლებს უმასპინძლებს, თუ ზალცბურგი 2014 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს) იასპარეზეს. ამ სეზონში, აქამდე რომ ყველაზე ჩქაროსნული დისციპლინის ერთი რბოლაც არ ჰქონდათ მოგებული, ავსტრიელები იმედოვნებდნენ, რომ სწორედ შინაურ ეტაპზე შეძლებდნენ ნავსის გატეხვას.

ასეც მოხდა, მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 31 წლის **რენატე გიოჩლმა** შეძლო შვეიცარიელი **დომინიკ ჟისენის** საუკეთესო შედეგის ჯობნა და კარიერაში მსოფლიო თასის 41-ე რბოლა მოიგო. საბოლოოდ, ჟისენი მეორე ადგილს დასჯერდა, მას კი ოდენ 0.07 წამით ჩამორჩა გიგანტურ სლალომში ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი **ჯულია მანკუზო**.

აღსანიშნავია, რომ გიოჩლის ჯობნის რეალური შანსი ჰქონდა ამერიკელ **ლინდსი კილდოუს**, ვინც პირველი სექტორის შემდეგ ავსტრიელს 0.50 წამს უგებდა, მაგრამ ზედმეტი რისკი მას ძვირად დაუჯდა, დაეცა და რბოლა დამცავ ბადეში გახვეულმა დაასრულა.

ვენგენი (შვეიცარია).
კაცები. დაშვება

**1. ბოდე მილერი (აშშ) 2:28.89; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:29.54; 3. პეტერ ფილი (იტალია) 2:30.36; 4. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) 2:30.45; 5. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 2:30.50.**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 671; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 651; 3. ბოდე მილერი (აშშ) 640; 4. პეტერ ფილი (იტალია) 524; 5. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 480.**

ალტენმარკტ-ზაუხენზეე (ავსტრია).
ქალები. დაშვება

**1. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:19.32; 2. დომინიკ ჟისენი (შვეიცარია) 1:19.55; 3. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:19.62; 4. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) 1:20.03; 5. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 1:20.19.**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. მარლის შილდი (ავსტრია) 821; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 708; 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 562; 4. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 541; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 448.**

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. პრეზენტაცია

# ტოიოტამ სეზონი გახსნა

გერმანიის ქალაქ კიოლნის საგამოფენო კომპლექს "ექსპოს" ტერიტორიაზე, "ტოიოტამ" 2007 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდი - "ტოიოტა TF107" და გუნდის ძირითადი პილოტები წარადგინა.

ფორმულა 1-ში მოასპარეზე 11 გუნდიდან "ტოიოტა" ერთადერთია, რომელიც ახალ სეზონს შარშანდელი ძრავით, საბურავების მომწოდებელი ძველი პარტნიორითა და პილოტთა უცვლელი შემადგენლობით ხსნის. TF107-ით კვლავ იასპარეზებენ იტალიელი **იარნი ტრული** და გერმანელი **რალფ შუმახერი**. ტესტპილოტად ფრანგი **ფრანკ მონტანია** მიწვეული.

ერთი შეხედვით, "ტოიოტა TF107" წინამორბედს წააგავს, მაგრამ ეს სრულიად ახალი მოდელია. რალფ შუმახერმა უკვე მოასწრო ამ მოდელის ტრასაზე გაყვანა და რამდენიმე კილომეტრის გავლა. ეს ფრანგულ "პოლ პიკარზე" მოხდა.

ძლიერად ჩატარებულ 2005 წლის სეზონის შემდეგ, შარშან "ტოიოტამ ვერაფერი მოახერხა, მაგრამ ახლა პრეზიდენტ **ჯონ ჰაუიტს** სჯერა, რომ ტრული-შუმახერის დუეტი ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს კოლეგებს და ლიდერებში დაიმკვიდრებს ადგილს. იაპონურ-გერმანულ გუნდში სჯერათ, რომ წელს "ტოიოტა" ფორმულა 1-ში პირველ გამარჯვებას იზეიმებს.




ახალი ტოიოტა

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რალი-რეიდი

ლისაბონი-დაკარი 2007. VII ეტაპი. ზუერატი-ატარი. 542 კმ.
მსუბუქი მანქანები

1. დე ვილიერსი (ს. აფრ)/ფონ ციტცევიტცი (გერ, "ფოლკსვაგენი") - 4:00.46; 2. პეტერანსელი (საფ)/კოტრე (საფ, "მიცუბიში) - +2.46; 3. საინსი (ესპ)/პერენი (საფ, "ფოლკსვაგენი") - +4.50; 4. მასუოკა (იაპ)/მემონი (საფ, "მიცუბიში") - +10.18; 5. ალ ათიიაჰი (კატ)/გუენეკი (საფ, BMW) - +11.44; 6. ალფანი (საფ)/პიკარი (საფ, "მიცუბიში) - +13.09.

საერთო ჩათვლა: 1. დე ვილიერსი/ფონ ციტცევიტცი - 20:04.01; 2. საინსი/პერენი - +1.39; 3. პეტერანსელი/კოტრე - +24.38; 4. ალფანი/პიკარი - +33.53; 5. მასუოკა/მემონი - +1:11.30; 6. შლესერი (საფ)/დებრონი (საფ, "ფორდი") - +1:12.09.

მოტოციკლები

1. დესპრე (საფ, KTM) - 4:30.42; 2. ულევალსეტერი (ნორ, KTM) - +2.46; 3. კასტო (საფ, KTM) - +4.36; 4. სალა (იტა, KTM) - +8.47; 5. ესტევ პუჟოლი (ესპ, KTM) - +11.02; 6. კომა (ესპ, KTM) - +12.22.

საერთო ჩათვლა: 1. კომა - 22:38.34; 2. ესტევ პუჟოლი - +10.47; 3. კასტო - +36.53; 4. დესპრე - +44.56; 5. ბლეისი (აშშ, KTM) - +52.53; 6. სალა - +1:29.28.

### კალათბურთი

#### გრიფინი 5 მატჩით დაისაჯა

NBA-ის ერთ-ერთი ყველაზე არაკორექტული კალათბურთელი, "მინესოტის" ფორვარდი **ედი გრიფინი** ლიგის ხელმძღვანელობამ 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. კალათბურთელმა ნარკოტიკები გამოიყენა, რითაც ლიგასთან წინასწარ გაფორმებული ხელწერილის პირობა დაარღვია. გრიფინს 21 იანვრამდე არ შეეძლება მოედანზე გასვლა. ამ ხნის განმავლობაში, ის ხელფასსაც ვერ მიიღებს.

გრიფინი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 2001 წლიდან თამაშობს და საშუალოდ მატჩში 7.2 ქულასა და 5.2 მოხსნას აგროვებს, წელს ეს სტატისტიკა შესამჩნევად გაუარესდა - 1.4 ქულა და 1.9 მოხსნა.

2004 წელს, მინესოტელმა 11 დღე გაატარა ციხეში, ხოლო შემდეგ პირობითად 1.5 წელი მიიღო იმის გამო, თავისი მეგობარი გოგონა სასტიკად სცემა.

#### ჯარეტ ჯეკი ავარიაში მოყვა

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" მცველი **ჯარეტ ჯეკი** ტვინის შერყევით საავადმყოფოში მოათავსეს. კალათბურთელმა ტრავმა ავტოკატასტროფის შედეგად მიიღო.

როგორც კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც ჯეკი მორიგი ვარჯიშის შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

ჯეკმა, რომელიც ამ სეზონში საშუალოდ 12.3 ქულასა და 5.6 შედეგიან გადაცემას აგროვებს, უკვე გამოტოვა რეგულარული ჩემპიონატის ერთი მატჩი. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება ის მოედანს.

#### რაილიმ მეორე ოპერაცია გადაიტანა

"მაიამი ჰიტის" მთავარ მწვრთნელ **პატ რაილის** ნიუ იორკში ამ კვირის განმავლობაში მეორე ოპერაცია გაუკეთეს. პირველად, ექიმებმა ერთი საათის განმავლობაში მის ტრავმირებულ მუხლს "არემონტებდნენ", ამჯერად კი, რაილის ბარძაყზე დასჭირდა ქირურგიული ჩარევა.

მუხლში და ბარძაყში ტკივილები რაილის კარგა ხანია აწუხებდა, მაგრამ ოპერაციის გაკეთებას მხოლოდ ახლა დათანხმდა. ამისთვის მან უვადო შვებულება აიღო და ჯერ ცნობილი არ არის, როდის შეუდგება ლეგენდარული მწვრთნელი თავისი მოვალეობების შესრულებას.

#### მსაჯი ფანის შეურაცხყოფისთვის დასაჯეს

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის რეფერი **როდნი მოტი** გულშემატკივრის შეურაცხყოფისთვის 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

"პორტლენდისა" და "მაიამის" მატჩის დროს, მოტმა გულშემატკივრის მისამართით უხამსი ჟესტი გააკეთა და ამას თან, შეურაცხმყოფელი სიტყვებიც დაურთო. 49 წლის მოტი უკვე ცხრა წელია NBA-ში მუშაობს.

#### როუზი ფინიქსსაც დატოვებს

ამ კვირას, "ფინიქს სანსმა," შესაძლოა, თავის მცველის, **ჯალენ როუზის** კონტრაქტი გამოისყიდოს. ვეტერანი კალათბურთელი უკმაყოფილოა მისი როლით გუნდში და იმით, თუ რამდენი სათამაშო დრო ეძლევა მას.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში როუზის კონტრაქტი "ნიუ იორკმაც" გამოისყიდა, რისი წყალობითაც ჯალენი თავისუფალი აგენტი გახდა. ახლა ისტორია მეორდება, ოღონდ უკვე "ფინიქსში".

#### დეტროიტი პეტერსონს იბრუნებს?

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "დეტროიტ პისტონზი" ტორონტოელი ფორვარდის **მორის პეტერსონის** დაბრუნებას აპირებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით "ტორონტოს" გენერალური მენეჯერი **ბრაიან კოლანჯელო** ასეთ კომენტარს აკეთებს: *"ზოგიერთი გუნდი ჩვენი შემადგენლობის მოთამაშეების შესაძენად გვიკავშირდება. მაგრამ არც პეტერსონზე და არც სხვა ვინმეზე კონკრეტული მოლაპარაკებები არ გამართულა"*.

#### რანიკო მაკაბიში გადადის

ლიუბლიანის "ოლიმპიის" ფინელი ფორვარდი **ტეემუ რანიკო** უახლოეს დღეებში კლუბის გამოცვლას აპირებს.

ფინეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას თელ-ავივის "მაკაბის" ხელმძღვანელობასთან და სულ მალე ამ გუნდის წევრი გახდება. ეს ინფორმაცია "ოლიმპიის" ხელმძღვანელობამაც დაადასტურა.

### ჰოკეი

#### იაპონელი მეკარე NHL-ში

"ლოს ანჯელეს კინგზი" მაღალი დონის მეკარეების გარეშე დარჩა. "სან ხოსესთან" მატჩში თითის ტრავმა მიიღო **მეტიუ გარონმა**. წელს, 28 წლის მეკარემ 20 მატჩი ჩაატარა და ორჯერ შეასრულა შათაუტი. უფრო ადრე, "ლოს ანჯელესს" ძირითადი შემადგენლობის კიდევ ერთი გოლკიპერი - **დენ კლუტიე** გამოაკლდა.

გარონის ტრავმის გამო, "კინგზის" ხელმძღვანელობა იძულებული გახდა AHL-ის ლიგიდან იაპონელი მეკარე **იუტაკა ფუკუფუჯი** გამოეძახა. ამ უკანასკნელს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში არასოდეს უთამაშია. სავარაუდოდ, უახლოეს მატჩებში "ლოს ანჯელესის" კარს **ბარი ბრასტი** დაიცავს, ხოლო ფუკუფუჯი მისი შემცვლელი იქნება.

#### რეინჯერსმა დაწუნებული აიყვანა

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" კონტრაქტი გააფორმა "ატლანტის" ცენტრალურ თავდამსხმელ **ჯეისონ კროგთან**. ამ ცოტა ხნის წინ, ეს ფორვარდი "ატლანტამ" ტრანსფერზე დააყენა.

ამ სეზონში კროგმა 14 მატჩი ჩაატარა, ერთი შაიბა გაიტანა და სამი საგოლე პასი შეასრულა. AHL-ს ლიგაში თამაშისას, კროგი "ჩიკაგოს" შემადგენლობაში გაცილებით შედეგიანად ირჯებოდა - 25 მატჩში 19 შაიბა შეაგდო და 14 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

NHL-ში კროგი "აილენდერსის", "ანაჰაიმის" და "ატლანტის" ღირსებას იცავდა. მის ანგარიშზე 189 მატჩში 56 ქულა მოდის.

## ყველა ვარსკვლავის მატჩი 2007

# იაგრისა და ჰაშეკის გარეშე

24 იანვარს, დალასში "ყველა ვარსკვლავის მატჩი" გაიმართება. გასულ კვირას, ჰოკეიეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა და ამის მიხედვით, All Star-ის სასტარტო შემადგენლობები დააკომპლექტა. გუშინ კი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კონფერენციების ნაკრებთა სრული შემადგენლობები გამოცხადდა. სათადარიგო ჰოკეისტები NHL-ის ჰოკეის ოპერაციათა დეპარტამენტმა კლუბების გენერალურ მენეჯერებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩია.

საბოლოო შემადგენლობების გამოცხადების შემდეგ გაირკვა, რომ აღმოსავლეთი კონფერენციის ნაკრებში არ მოინახა ადგილი ჩეხი **იარომირ იაგრისთვის** ("ნიუ იორკ რეინჯერსი"). ამ ფაქტმა საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია, ვინაიდან სახელოვანი ჰოკეისტი საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს და 59 ქულით ბომბარდირთა დავაში ლიდერთა შორის იმყოფება.

სამაგიეროდ, ამ გუნდში სხვა ვეტერანი მოხვდა - "ნიუ ჯერსი დევილზის" გენიალური მეკარე **მარტინ ბროდო**. 34 წლის გოლკიპერი კვლავ ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იმყოფება. ის ლიგის ლიდერია მოგებების (27) და შათაუტების (7) რაოდენობით. ბროდო საშუალოდ მატჩში 2.07 შაიბას უშვებს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ დეტროიტელ **დომინიკ ჰაშეკს** ჩამორჩება. აქვე გეტყვით, რომ ჩეხი მეკარე დასავლეთი კონფერენციის ნაკრებში ვერ მოხვდა.

მარტინ ბროდო მეცხრედ ითამაშებს "ყველა ვარსკვლავის" მატჩში. ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ **გლენ ჰოლს** (13 მონაწილეობა), **ტერი სავჩუკსა** (11) და **პატრიკ რუას** (11) ჩამორჩება. სამაგიეროდ, "ეშმაკების" კარის დარაჯს ერთი რეკორდის გამეორება შეუძლია - თუ 24 იანვარს აღმოსავლეთი მოიგებს, ეს იქნება ბროდოს მეოთხე გამარჯვება "ოლ სტარზე". დღემდე ამ რეკორდის ერთპიროვნული მფლობელი გლენ ჰოლია.

ბოლო ორ სეზონში "ყველა ვარსკვლავის მატჩი" არ ჩატარდა (2005 წლის ლოკაუტისა და 2006 წლის ოლიმპიადის გამო) და ამიტომაც, აღმოსავლეთის გუნდში ძალიან ბევრი დებიუტანტია - 10 ჰოკეისტი პირველად ითამაშებს All Star-ზე.

აღმოსავლეთის ვარსკვლავების ნაკრებში ერთი ისეთი ჰოკეისტია, რომელიც "ყველა ვარსკვლავის მატჩის" საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ეს გახლავთ **დენი ჰიტლი**, რომელმაც 2003 წლის შეხვედრაში 4 გოლი (რეკორდის გამეორება) გაიტანა და MVP-ის ტიტული მოიპოვა.

მსგავსი მიღწევით დასავლეთის გუნდში მხოლოდ ფინელი **ტეემუ სელიანე** ინონებს თავს. 1998 წლის მატჩში, ის All Star-ის ისტორიაში პირველი ევროპელი გახდა, ვინც ჰეთ-თრიკის შესრულება შეძლო. სწორედ ამის გამო გახდა ფინელი ფორვარდი MVP. სელიანე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მე-14 სეზონს ატარებს და უკვე მეათედ გამოიძახეს "ოლ სტარის" უიქ ენდზე. ამ მხრივ, დასავლეთში ყველაზე გამოცდილი ჯო საკიკია, რომელიც ვარსკვლავთა შეკრებაზე მე-12-ედ იღებს მონაწილეობას.



იარომირ იაგრი

### აღმოსავლეთი

**მეკარეები**

| | მ | გ-შ | მონ |
|---|---|---|---|
| რაინ მილერი* (ბაფ) | 22 | 2.62 | 1 |
| მარტინ ბროდო (ნ-ჯერ) | 26 | 2.07 | 9 |
| კრისტობალ უეტი (მონ) | 17 | 2.46 | 1 |

**მცველები**

| | გ | პ | მონ |
|---|---|---|---|
| ბრაიან კემპბელი* (ბაფ) | 5 | 21 | 1 |
| შელდონ სურეი* (მონ) | 14 | 23 | 2 |
| ჯეი ბოუმისტერი (ფლო) | 6 | 16 | 1 |
| ზდენო ხარა (ბოს) | 8 | 18 | 2 |
| ტომაშ კაბერლე (ტორ) | 8 | 29 | 2 |
| ბრაიან რაფალსკი (ნ-ჯერ) | 2 | 27 | 2 |

**თავდამსხმელები**

| | გ | პ | მონ |
|---|---|---|---|
| სიდნი კროსბი* (პიტ) | 21 | 44 | 1 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი* (ვაშ) | 28 | 33 | 1 |
| დანიელ ბრიერი* (ბაფ) | 16 | 35 | 1 |
| ჯეისონ ბლეიკი (აილ) | 23 | 18 | 1 |
| საიმონ განიე (ფილ) | 20 | 13 | 2 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 27 | 31 | 2 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 26 | 32 | 3 |
| ვენსან ლეკავალიე (ტ-ბეი) | 26 | 33 | 2 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 28 | 31 | 3 |
| ბრენდან შენეჰანი (რეინ) | 24 | 22 | 8 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 19 | 18 | 1 |
| ჯასტინ უილიამსი (კარ) | 21 | 20 | 1 |

მთავარი მწვრთნელი: ლინდი რაფი (ბაფალო)

### დასავლეთი

**მეკარეები**

| | მ | გ-შ | მონ |
|---|---|---|---|
| რობერტო ლუონგო* (ვან) | 24 | 2.5 | 2 |
| მიკა კიპრუსოფი (კალ) | 21 | 2.32 | 1 |
| მარტი ტურკო (დალ) | 21 | 2.34 | 3 |

**მცველები**

| | გ | პ | მონ |
|---|---|---|---|
| სკოტ ნიდერმაიერი* (ანა) | 8 | 34 | 4 |
| ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტ) | 9 | 26 | 9 |
| ფილიპ ბუშე (დალ) | 13 | 20 | 1 |
| დიონ ფანიოფი (კალ) | 9 | 16 | 1 |
| კიმო ტიმონენი (ნეშ) | 8 | 23 | 2 |
| ლუბომირ ვიშნოვსკი (ლ-ანჯ) | 13 | 23 | 1 |

**ფორვარდები**

| | გ | პ | მონ |
|---|---|---|---|
| ჯო ტორნტონი* (ს-ხოს) | 11 | 42 | 4 |
| ჯო საკიკი* (კოლორ) | 18 | 29 | 12 |
| ჯონათან ჩიჩუ* (ს-ხოს) | 14 | 15 | 1 |
| ბილ გერინი (სტ-ლუი) | 18 | 13 | 4 |
| მარტინ ჰავლატი (ჩიკ) | 13 | 13 | 1 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 20 | 26 | 2 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 13 | 17 | 2 |
| იანიკ პერო (ფინ) | 14 | 11 | 1 |
| ბრაიან როლსტონი (მინ) | 23 | 18 | 1 |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 28 | 29 | 10 |
| რაიან სმითი (ედმ) | 21 | 12 | 1 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 17 | 16 | 1 |

მთავარი მწვრთნელი: რენდი კარლაილი (ანაჰაიმი)

შენიშვნა: * - სასტარტოს წევრი; მ - მოგება; გ-შ - გაშვებული შაიბა (საშუალოდ მატჩში); მონ - მონაწილეობა რიცხვი All Star-ში; გ - გოლი; პ - პასი.

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 12 იანვარი

**ნეშვილი-კოლამბუსი 2:0**

1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 არნოტი-15 (დუმონი-25, შ. უებერი-16), 2:0 შ. უებერი-7.

**ედმონტონი-მინესოტა 2:4**

0:0, 2:2, 0:2

გოლები: 1:0 ჰორკოფი-7 (რ. სმითი-12, ჯ. სმითი-6), 1:1 გაბორიკი-7 (ბერნსი-7), 1:2 როლსტონი-23 (ტ. უაიტი-20), 2:2 სიკორა-17 (ნედვედი-8, სმიდი-4), 2:3 კარნი-2 (რადივოევიჩი-7, ვალცი-5), 2:4 გაბორიკი-8 (დემიტრა-19).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 2:1**

0:1, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 მელანბი-8 (კოვალჩუკი-23, ვიაჩ. კოზლოვი-29), 1:1 გომესი-7 (ჯონტა-17, რაფალსკი-27), 2:1 ბრილინი-10 (ზაიაცი-15, პარიზე-17).

### 13 იანვარი

**სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი 6:5**

2:2, 3:2, 1:1

გოლები: 0:1 კამალერი-17 (დ. არმსტრონგი-22, სოპელი-13), 1:1 რუჩინსკი-11 (ვიდემანი-11, უეიტი-23), 1:2 კოსტოპულოსი-5 (ივანანსი-3, კონროი-11), 2:2 მაკლემანი-4 (ჰინოტი-5, ჯეკმანი-8), 2:3 რ. ბლეიკი-9 (პუშკარიოვი-2, კოპიტარი-28), 3:3 ტკაჩუკი-14 (ვიდემანი-12, გერინი-14), 4:3 სტემპნიაკი-14 (ტკაჩუკი-18), 4:4 ნორსტრიომი-2 (კოპიტარი-29), 5:4 უეიტი-5 (გერინი-15), 6:4 ვიდემანი-4 (უეიტი-24, სტემპნიაკი-14), 6:5 რ. ბლეიკი-10 (კამალერი-22, ვიშნოვსკი-24).

**ოტავა-მონრეალი 8:3**

4:0, 4:2, 0:1

გოლები: 1:0 რედენი-4 (ალფრედსონი-28, კ. კელი-15), 2:0 ვერმეტი-15 (ივსი-14, მაკამონდი-10), 3:0 კომრი-9 (ჰიტლი-32, ალფრედსონი-29), 4:0 ალფრედსონი-15 (კ. კელი-16, ჰიტლი-33), 5:0 ჰიტლი-28 (ალფრედსონი-30, პრისინგი-18), 6:0 კ. კელი-9 (ალფრედსონი-31, ვოლჩენკოვი-12), 6:1 ჰიგინსი-14 (მ. ჯონსონი-11, კომისარეკი-6), 6:2 რივეტი-6 (კოვალიოვი-22, მარკოვი-28), 7:2 ივსი-10, 8:2 მეზაროში-5 (კ. კელი-17, კომრი-16), 8:3 სურეი-15 (ლატენდრესი-11, შტრაიტი-13).

**რეინჯერსი-ბოსტონი 3:1**

1:1, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ნიულანდერი-15 (მარსელ ჰოსა-3, მალიკი-11), 1:1 სავარი-16 (ბ. სტიუარტი-8, ხარა-19), 2:1 სტრაკა-24 (ნიულანდერი-37, იაგრი-42), 3:1 ორტმაიერი-1 (ბულიტი).

**ფილადელფია-პიტსბურგი 3:5**

1:2, 2:1, 0:2

გოლები: 1:0 პოტულნი-4 (ჯ. კარტერი-10, რ. ჯონსი-10), 1:1 გონჩარი-7 (ი. რუუტუ-5), 1:2 მალკინი-21 (ულეტი-12), 1:3 რეკი-11 (კროსბი-45, რაიან უიტნი-20), 2:3 განიე-21 (ფორსბერგი-18, ნუბლი-12), 3:3 ფორსბერგი-8 (ჟიტნიკი-13, პიტკანენი-22), 3:4 ჯ. სტაალი-13 (მალკინი-22, ულეტი-13), 3:5 მალკინი-22 (ულეტი-14, ჯ. სტაალი-4).

**ბაფალო-ტამპა ბეი 2:3**

0:1, 2:1, 0:1

გოლები: 0:1 ლეკავალიე-27 (სენტ ლუისი-32), 1:1 პომინვილი-20 (შპაჩეკი-13, ბრიერი-36), 2:1 კოტალიკი-13 (ბ. კემპბელი-22), 2:2 ბოილი-10, 2:3 ბ. რიჩარდსი-15 (რეინჯერი-16, ფედოტენკო-10).

**ტორონტო-ვანკუვერი 1:6**

1:1, 0:1, 0:4

გოლები: 0:1 ოლუნდი-9 (დ. სედინი-25, ჰ. სედინი-38), 1:1 ბატალია-7 (დევერო-6), 1:2 დ. სედინი-17 (ჰ. სედინი-39, ოლუნდი-15), 1:3 ლინდენი-7 (დ. სედინი-26, ნესლუნდი-19), 1:4 პიატი-11 (ოლუნდი-16, ბ. მორისონი-13), 1:5 სალო-7 (ჰ. სედინი-40, ჰ. სედინი-27), 1:6 ნესლუნდი-14 (პიატი-7).

**დეტროიტი-ჩიკაგო 6:3**

1:1, 2:1, 3:1

გოლები: 0:1 სიბრუკი-3 (შარპი-10, სალმელაინენი-6), 1:1 ჰოლმსტრიომი-13 (ზეტერბერგი-17, დაციუკი-27), 2:1 ჯეისონ უილიამსი-8 (სამუელსონი-12, ლიდსტრიომი-27), 3:1 ლანგი-12 (ლიდსტრიომი-27), 3:2 კ. მაკდონალდი-1 (ჰავლატი-14, კუკონენი-8), 4:2 ჯეისონ უილიამსი-9 (ლანგი-22), 4:3 სალმელაინენი-6 (ტ. რუუტუ-8, შარპი-11), 5:3 მარკოვი-3 (დაციუკი-28, ზეტერბერგი-18), 6:3 დრეიპერი-8 (სამუელსონი-13, ზეტერბერგი-19).

**კაროლინა-ატლანტა 3:4 (ბ)**

1:2, 1:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 მელანბი-9 (ექსელბი-3, სიმი-8), 1:1 ჯასტინ უილიამსი-22 (ბაბჩუკი-10, ე. სტაალი-19), 1:2 მეტროპოლიტი-9 (დე ვრისი-11, რუჩინი-10), 2:2 რეი უიტნი-18 (ე. კოული-22, ტანაბე-7), 3:2 სეიდენბერგი-2 (ე. კოული-22, ე. სტაალი-20), 3:3 ჰოლიკი-9 (ექსელბი-4).

ბულიტები გაიტანეს: ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა), მარსელ ჰოსა (ატლანტა).

**კოლამბუსი-ნეშვილი 1:4**

0:3, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 სმიტსონი-4 (ვაშიჩეკი-8, ნიკოლი-4), 0:2 სმიტსონი-5 (ნიკოლი-5), 0:3 კარია-15 (ლეგვანდი-20, ერატი-29), 1:3 ჰეინსი-5 (ჟერდიოვი-12, ფრიტშე-11), 1:4 შ. უებერი-8 (სალივანი-28, დუმონი-26).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 1:2 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 მადენი-6 (ბრილინი-14, პანდოლფო-9), 1:1 შატანი-13 (პოტი-17, ვიქ. კოზლოვი-15), 1:2 გომესი-8 (ელიაში-26).

**ფლორიდა-ვაშინგტონი 7:3**

2:0, 3:1, 2:2

გოლები: 1:0 ბოუმისტერი-7 (ოლეში-11, გელინასი-15), 2:0 გრეტონი-7 (ო. იოკინენი-28, ჰორტონი-21), 2:1 სიომინი-25 (ბიჩი-12, ლეიჩი-6), 3:1 ვეისი-9 (ბუტი-4, ვან რინი-14), 4:1 ოლეში-8 (შტუმპელი-23, ბოუმისტერი-17), 5:1 ბოუმისტერი-8 (კრეპსი-1, კოლნიკი-7), 6:1 ვეისი-10, 6:2 პეტინგერი-11, 7:2 ვეისი-11 (ჰორტონი-22, ბოუმისტერი-18), 7:3 კ. კლარკი-16 (ოვეჩკინი-34, ზუბრუსი-23).

**კალგარი-ედმონტონი 3:1**

0:0, 1:1, 2:0

გოლები: 0:1 ჰორკოფი-8 (ჰემსკი-25, მ-ა. ბერჟერონი-14), 1:1 ფრიზენი-1 (რიტჩი-5), 2:1 ფანოფი-10 (ჰუსელიუსი-18, ფერენსი-7), 3:1 ლომბარდი-14 (ჰამრლიკი-13).

**ფინიქსი-სან ხოსე 1:4**

0:1, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 ქლოუ-10 (ჯ. ტორნტონი-43, ჩიჩუ-16), 1:1 დოენი-14 (რაინპრეხტი-8, ნადი-26), 1:2 ქლოუ-11 (დ. მიურეი-3, ჰენანი-14), 1:3 მ. კარლი-4 (ქლოუ-3, ჯ. ტორნტონი-44), 1:4 ჩიჩუ-15 (ერჰოფი-12, ჯ. ტორნტონი-45).

**ანაჰაიმი-კოლორადო 2:3 (ბ)**

1:1, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ბრუნეტი-15 (კამისკი-1, პ. შჩასტნი-23), 1:1 გლენკროსი-1 (გეტცლაფი-12, ჯეკმენი-4), 1:2 ვოლსკი-16 (საკიკი-39), 2:2 გეტცლაფი-19 (კ. პერი-17, კუნიტცი-19).

ბულიტები გაიტანეს: კუნიტცი (ანაჰაიმი), ვოლსკი (კოლორადო), ჰეიდუკი (კოლორადო).



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩოგბურთი**

### შუტლერი ავსტრალიას დააკლდება?

გერმანელი **რაინერ შუტლერი**, სავარაუდოდ, მონაწილეობას ვერ მიიღებს ავსტრალიის ღია პირველობის გათამაშებაში. ეს ჩოგბურთელი სეზონის პირველი სასლემოს პირველ წრეში შარშანდელ ფინალისტ **მარკო ბაღდატისს** უნდა შეხვედროდა, მაგრამ, როგორც შუტლერის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, ჩოგბურთელი გრიპის გამო თითქმის მთელ დროს საწოლში ატარებს.

შეგახსენებთ, რომ კარიერაში შუტლერის მთავარი მიღწევა სწორედ ავსტრალიის ღია პირველობას უკავშირდება - 2003 წელს ის ამ ტურნირის ფინალში გავიდა, სადაც ამერიკელ **ანდრე აგასისთან** დამარცხდა.

**კრივი**

### ვალუევი როკი მარჩიანოს რეკორდს უმიზნებს

სუპერმძიმე წონაში WBA-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** ლეგენდარული **როკი მარჩიანოს** რეკორდს მიუახლოვდა - თავის დროზე, ამერიკელმა მოკრივემ კარიერაში ყველა, 49 ბრძოლა ნაგების გარეშე დაასრულა. ამ შედეგის გაუმჯობესება დღემდე ვერცერთმა მსოფლიო ჩემპიონმა ვერ შეძლო და ახლა მას, ვალუევი უმიზნებს. რუსს ამ მომენტისთვის პროფესიულ რინგზე დაუმარცხებლად 45 ბრძოლა აქვს ჩატარებული და სერიოზულად აქვს განზრახული მსოფლიო კრივის ისტორიაში შესვლა. *"ეს ფანტასტიკური მიღწევა იქნება. ამ რეკორდზე ყოველი ბრძოლის წინ ვფიქრობ. ვაპირებ ჯერ გავიმეორო და შემდეგ გავაუმჯობესო ეს მიღწევა. კრივში ჩემი მთავარი მიზანი სწორედ ეს არის"*, - ამბობს ვალუევი.

სხვათა შორის, სწორედ ამ რეკორდის გამოა, რომ რუსი მოკრივე მეტოქეებად შედარებით სუსტ მძიმეწონოსნებს ირჩევს და ღირსეულ მოწინაალმდეგებთან ბრძოლას გაურბის.

## TV სპორტი

### 15 იანვარი. ორშაბათი

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ფილადელფია.
09:50 კრივი. რინგ-საიდი.
10:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
12:35 სპორტ-კლუბი.
12:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ლევერკუზენი.
14:40 ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
16:15 ავტოსპორტი. DTM-ის სერია. I ეტაპი.
17:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ასკოლი.
19:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი.
21:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ფილადელფია.
22:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:00 სპორტ-კლუბი.
23:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
01:10 პროფესიული კრივის საღამო.
03:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ვერდერი-ბარსელონა.
05:45 ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
07:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-ასკოლი.

**EUROSPORT**

11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე.
17:30 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 საფეხბურთო პროგრამა. გოლი.
21:30 მულტისპორტი.
22:00 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. IX ეტაპი (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. ლონდონი. ბრიტანეთი.
01:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 რალი-რეიდი. დაკარი 2007. IX ეტაპი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. II ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-კოპრივნიცა (ხორვატია).
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონს ტროფი. ქალები. ავსტრალია-გერმანია. კილმესი. არგენტინა.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. II ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-კოპრივნიცა (ხორვატია).
18:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ფინალი. ანთალია. თურქეთი.
19:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში. პრაღა. ჩეხეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
21:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტაუგრესი-რეალი.
23:30 კალათბურთი. ევროლიგა.
00:00 პოკერი. ევროპის მასტერსი. დუბლინი. ირლანდია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. II ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-კოპრივნიცა (ხორვატია).
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-აელ | 79:73 |
| არისი-აპოლონი | 73:67 |
| მაკედონიკოსი-მარუსი | 91:103 (ო) |
| პანიონიოსი-ეგალეო | 84:67 |
| აეკ-პანელინიოსი | 73:67 |
| ოლიმპიაკოსი-პაოკ | 87:79 |
| ოლიმპია-პანათინაიკოსი | 62:78 |
| **ესპანეთი** | |
| ტაუგრესი-რეალი | 82:92 |
| ხირონა-ალიკანტე | 68:62 |
| ბარსელონა-გრანადა | 87:66 |
| მურსია-უნიკახა | 59:82 |
| ვალენსია-ბილბაო | 79:67 |
| ქ. სან ფერნანდო-ფუენლაბრადა | 77:68 |
| ესტუდიანტესი-მენორკა | 73:67 |
| გრან კანარია-ვალიადოლიდი | 78:82 |
| ხუვენტუდი-ბრუესა | 80:68 |
| **იტალია** | |
| ბიელა-ლივორნო | 92:76 |
| ნაპოლი-მილანი | 84:58 |
| დ'ორლანდო-სნაიდერო | 91:88 |
| კლიმამიო-აველინო | 94:76 |
| მონტეპასკი-მონტეგრანარო | 90:73 |
| რეჯო ემილია-ბენეტონი | 63:66 |
| რომა-ტერამო | 83:67 |
| საკეატი-ვირტუსი | 85:92 |
| კანტუ-ვარეზე | 76:76 ო.ტ. 96:100 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ბურჟი | 108:82 |
| რემსი-ლე მანი | 67:69 |
| ბეზანსონი-შოლე | 76:86 |
| რუანი-კლერმონი | 74:68 |
| ორლეანუხი-გრაველინი | 82:80 |
| ტულონი-სტრასბური | 66:92 |
| პსჟ-პავრი | 78:69 |
| პო ორტეზი-შალონი | 96:64 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ფინალი | |
| აკ ბარსი-ფაკ | 6:0 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-დუისბურგი | 5:3 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 4:3 |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 1:3 |
| აუგსბურგი-ფრანკფურტი | 2:4 |
| კრეფელდი-ნიურნბერგი | 3:3 |
| მანჰაიმი-ისერლონი | 3:3 |
| შტრაუბინგი-კიოლნი | 5:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 3:5 |
| სკალიცა-სლოვანი | 1:1 ო.ტ. 2:1 |
| ნიტრა-მიქულაში | 5:4 |
| კოშიცე-პოპრადი | 1:4 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ტპს | 1:1 |
| იუვასკიულა-ტაპარა | 4:3 |
| კალპა-ესპუ | 1:1 |
| ლუკო-იოკერიტი | 1:2 |
| პელიკანსი-კერპეტი | 3:1 |
| საი პა-კიეკო | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-პლზენი | 7:1 |
| **შვეიცარია** | |
| ბაზელი-რაპერსვილი | 4:3 |
| ფრიბურგი-ციურიხი | 4:1 |
| კლოტენი-ტაიგერსი | 2:5 |
| ბერნი-დავოსი | 1:6 |
| ამბრი პიოტა-ფრიბურგი | 2:5 |
| დავოსი-ბაზელი | 6:3 |
| ლანგნაუ-ბერნი | 2:5 |
| ცუგი-სერვეტი | 5:3 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-მორა | 3:1 |
| ტიმრა-ლულეა | 2:2 |
| ჰიკ-მალმიო | 4:1 |

ტურნირები

# როდიკის კოოიონგური სიზმარი

ისევე, როგორც შარშანდელი სეზონი, **როჯერ ფედერერმა** ეს სეზონიც წაგებით დაიწყო - მელბურნში, კოოიონგის საჩვენებელი ტურნირის ფინალში მას სამ სეტში, 6:2, 3:6, 6:3 აჯობა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ენდი როდიკმა**.

ეს ამ ორი ჩოგბურთელის მე-14 შეხვედრა იყო, რომელთაგან როდიკს მანამდე ერთადერთი თამაში ჰქონდა მოგებული და ისიც 2003 წლის აგვისტოში. ამერიკელისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ეს ტურნირი საჩვენებელია და ფედერერთან მოგებული შეხვედრა სეზონის სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახება.

რაც შეეხება მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ვინც გასულ სეზონში სულ ექვსი თამაში წააგო, მათგან ერთი კი კოოიონგის ტურნირზე, გერმანელ **ტომი ჰაასთან**, ის კმაყოფილი დარჩა თავისი მომზადებით და იმედი გამოთქვა, რომ ავსტრალიის ლიაზე წაუგებლად იასპარეზებს.

სხვათა შორის, ფედერერმა ბოლო მარცხი შარშან, ცინცინატის მასტერსის მეორე წრეში, ბრიტანელი **ენდი მიურეისგან** იწვნია, შემდეგ კი აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა.

*"ენდიმ შესანიშნავად ითამაშა. იმდენად კარგად, თავიდან ვიფიქრე, რომ შეხვედრა მალე მორჩებოდა. თუმცა, შემდეგ მეც ალღო ავუღე და ბრძოლა გავუმართე. მოკლედ, ავსტრალიის ლიასთვის მზად ვარ"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც ურთიერთშეხვედრებში 12:2-ს უგებს თავის ამერიკელ კოლეგას, ვინც ამ წაგებამდე, ზედიზედ რვაჯერ ჰყავდა დამარცხებული.

შეხვედრის პირველ ნახევარ საათში ამერიკელი აშკარად სჯობნიდა მეტოქეს. ის თითქმის არ ცდებოდა, მეტოქეს კი ხშირად აიძულებდა შეცდომების დაშვებას. სეტი მან ზედიზედ ორი ბრეიკის აღებით მოიგო. მისი სიზმარი მეორე სეტში დასრულდა, რომლის დასაწყისშიც შვეიცარიელმა ისევე ადვილად მოიგო, პირველი სამი გეიმი, როგორც პირველი სეტი დათმო. მოკლედ, ფედერერმა ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა.

გადამწყვეტ სეტში ფედერერს ორ გეიმში ბრეიკის შანსი (მესამეში სამი და მეშვიდეში ორი) ჰქონდა. მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენა. მერვე გეიმში მან სმეშიც უხეიროდ დაარტყა, რის შემდეგაც როდიკის შეწყვეტილი "სიზმარი" განახლდა. მერვე გეიმი, რომელშიც მომწოდებელი (სერვერი) ფედერერი იყო, როდიკმა ბრეიკს მიაღწია, თავის სერვისზე კი მეტოქისთვის ანგარიშის გათანაბრების შანსი აღარ მიუცია.



როდიკიცა (მარცხნივ) და ფედერერიც სეზონის დასაწყისით კმაყოფილები არიან

■ ■ ■

ოკლენდის ღია პირველობა, რომლის ფინალშიც, კორტის ორივე მხარეს ესპანელი ჩოგბურთელი იდგა, **დავიდ ფერერის** ტრიუმფით დასრულდა. გადამწყვეტ შეხვედრაში, მან იოლად აჯობა თავის მეგობარ **ტომი რობრედოს** და კარიერაში ატპ-ს მესამე ტურნირი მოიგო.

*"დაუჯერებელია, მე რეიტინგის მოწინავე ათეულში მყოფ ჩოგბურთელს მოვუგე, რასაც სეზონის დასაწყისში დიდი მნიშვნელობა აქვს. თანაც, ჩემთვის ეს ჰარდზე მოპოვებული პირველი ტიტულია"*, - განაცხადა ფერერმა.

■ ■ ■

სიდნეის საერთაშორისო ტურნირი კი ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკის** გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში სამ სეტში აჯობა ესპანელ **კარლოს მოიას**. ამგვარად, ბლეიკმა შარშან მოპოვებული ტიტული დაიცვა და გახდა სულ მესამე ჩოგბურთელი (**პიტ სამპრასისა** და **ლეიტონ ჰიუიტის** შემდეგ), ვინც სიდნეის ტურნირის ზედიზედ ორჯერ მოგება შეძლო.

*"შარშან პეტ კეშს შემადარეს, ახლა კი სამპრასსა და ჰიუიტს მადარებენ. ეს ჩემთვის დიდი პატივია და ვიმედოვნებ, რომ აქ ჩემი წარმატებების სერია არ დასრულებულა. აქ მერმისაც ჩამოვალ და ვნახოთ, იქნებ, პირველი მე გავხდე, ვინც სიდნეის ტურნირს ზედიზედ სამჯერ მოიგებს. თუ ეს მოხდება, მაშინ ოდესმე შვილებს მოვუყვები, რომ რაღაცაში სამპრასსა და ჰიუიტსაც ვაჯობე"*, - განაცხადა ბლეიკმა.

მოიას კი სიდნეის ტურნირის ფინალში მესამედაც მოეცარა ხელი. პირველი სეტის წაგების შემდეგ, მეორეში ის 0:4 ჩამორჩა და ისე ჩანდა, რომ ფინალური შეხვედრა მალე დასრულდებოდა, მაგრამ ესპანელმა გაიბრძოლა, სეტი თავად მოიგო და საოცნებო ტიტულის მოპოვების შანსიც გაუჩნდა. თუმცა სასწაული ვეღარ მოახდინა.

სხვათა შორის, ფორტუნამ ბლეიკი და მოია ერთმანეთს ავსტრალიის ღია პირველობის პირველივე წრეში დააჯახა ერთმანეთს. მოია პესიმისტურადაა განწყობილი, თუმცა აღიარებს, რომ ბლეიკი შესანიშნავი ჩოგბურთელია და ასეთებთან წაგება არ ესირცხვილება.

*"შესაძლოა, მასთან მელბურნშიც წავაგო, მაგრამ ასე თუ ვითამაშებ, იმით მაინც ვიამაყებ, რომ დიდ ჩოგბურთელთან წავაგე, რადგან ჯეიმსი ძალიან კარგ ფორმაშია და ასეთი თამაშით ბევრის მიღწევა შეუძლია"*, - ამბობს მოია, ვინც ფინალამდე ოთხივე ეტაპზე სამსეტიანი ბრძოლები გადაიტანა და ამის გამო, ერთობ დაღლილიც ჩანდა. ეს იმ დროს, როცა ფინალამდე ბლეიკი სეტის წაუგებლად მივიდა.

0:4-ს რომ აგებდა, მოიამ დაღლილობა დაივიწყა და ისე ათამაშდა, სიდნეის ოლიმპიურ საჩოგბურთო ცენტრში მისული მაყურებელი ფეხზე წამოყარა. აბა რა იქნებოდა - ესპანელმა ჯერ ორი ბრეიკი გააბათილა და არც მაშინ გატყდა, როცა ამერიკელმა კიდევ ერთხელ შეძლო ბრეიკის აღება და მატჩზეც აწოდებდა. ესპანელმა ბოლო ძალა მოიკრიბა, კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი მომდევნო ორი გეიმიც მოიგო და შეხვედრა მესამე სეტში გადაიყვანა.

თუმცა, მოია მეორე სეტმა მთლიანად გამოფიტა, რამაც გადამწყვეტ სეტში იჩინა თავი. ეს სეტი მისი სერვისით გაიხსნა და ის ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა. ამან ესპანელი საბოლოოდ გატეხა. ბლეიკმა კი შეხვედრის დასრულებამდე კიდევ ორჯერ მოიგო ქულა მეტოქის სერვისზე და ტიტულიც შეინარჩუნა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**ჰაინეკენის ლია**
ოკლენდი (ახ.ზელანდია).
8-13 იანვარი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი**

**ფინალი**

დავიდ ფერერი (3) - ტომი რობრედო (1) 6:4, 6:2

**მედიაბანკის საერთაშორისო**
სიდნეი (ავსტრალია).
8-13 იანვარი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი**

**ფინალი**

ჯეიმს ბლეიკი (3) - კარლოს მოია 6:3, 5:7, 6:1

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**12 იანვარი**

**ფილადელფია-მილუოკი 110:97**
21:25, 25:29, 38:24, 26:19
**ფილადელფია:** უ. გრინი (30 ქ), იგუოდალა (26 ქ. 5 ჩ), ა. მილერი (11 ქ. 11 პ).
**მილუოკი:** ჩ. ბელი (26 ქ), ბოგუტი (20 ქ. 24 მ), ბოიკინსი (11 ქ. 11 პ).

**ინდიანა-დალასი 113:115 (ო)**
26:17, 25:27, 22:30, 30:29, 10:12
**ინდიანა:** ჯ. ო'ნილი (26 ქ. 9 მ. 3 დ), გრეინჯერი (22 ქ), ს. ჯექსონი (22 ქ), ტინსლი (17 ქ. 11 პ).
**დალასი:** ნოვიცკი (43 ქ. 12 მ), ტერი (30 ქ. 7 პ), ჯოშ ჰოვარდი (15 ქ).

**ნიუ იორკი-შარლოტი 110:126**
30:26, 21:26, 27:36, 32:38
**ნიუ იორკი:** მარბერი (28 ქ), კარი (27 ქ), კ. რიჩარდსონი (17 ქ. 13 პ. 3 ჩ).
**შარლოტი:** დ. ანდერსონი (29 ქ), კეროლი (23 ქ), ოკაფორი (20 ქ. 9 მ. 10 დ), ფელტონი (16 ქ. 14 პ).

**ატლანტა-დეტროიტი 99:93**
25:20, 24:22, 28:26, 22:25
**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (34 ქ), ჩილდრესი (18 ქ), შ. უილიამსი (12 ქ. 9 მ. 7 პ).
**დეტროიტი:** ჰემილტონი (32 ქ), რ. უოლასი (17 ქ), პრინსი (16 ქ), დ. დევისი (12 ქ. 10 მ. 3 დ).

**მემფისი-მინესოტა 110:116**
19:36, 30:28, 30:27, 31:25
**მემფისი:** მ. მილერი (23 ქ), გასოლი (20 ქ), ე. ჯონსი (16 ქ), ეტკინსი (7 ქ. 12 პ).
**მინესოტა:** გარნეტი (28 ქ. 11 მ. 5 დ), რ. დევისი (27 ქ. 7 პ), მ. ჯეიმსი (16 ქ. 7 პ).

**ბოსტონი-ტორონტო 86:95**
15:21, 25:20, 18:26, 28:28
**ბოსტონი:** რონდო (23 ქ), ტელფეირი (14 ქ), ჯ. გრინი (13 ქ).
**ტორონტო:** ბოში (27 ქ. 8 მ. 3 დ), ფორდი (19 ქ. 6 პ), ე. პარკერი (18 ქ).

**დენვერი-ჰიუსტონი 86:90**
20:17, 21:17, 23:23, 22:23
**დენვერი:** აივერსონი (28 ქ. 3 ჩ), დიავარა (13 ქ), ბლეიკი (13 ქ), კემბი (7 ქ. 24 მ).
**ჰიუსტონი:** ბატიე (25 ქ), ჰედი (15 ქ), ალსტონი (15 ქ), მაკგრეიდი (12 ქ. 11 პ), მუტომბო (7 ქ. 10 მ. 4 დ).

**ნ. ორლეანი-ვაშინგტონი 104:97**
24:32, 27:19, 25:22, 28:24
**ნიუ ორლეანი:** დ. მეისონი (22 ქ), რ. ბატლერი (20 ქ), დევ. ბრაუნი (19 ქ. 9 პ), ჩენდლერი (10 ქ. 10 მ).
**ვაშინგტონი:** არენასი (23 ქ. 8 პ), სტივენსონი (22 ქ), კ. ბატლერი (18 ქ. 9 პ).

**პორტლენდი-საკრამენტო 96:87**
16:24, 26:16, 26:24, 27:23
**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (23 ქ. 12 მ. 3 ჩ), დიქსონი (21 ქ.), როი (11 ქ), დიკო (11 ქ).
**საკრამენტო:** კევ. მარტინი (17 ქ. 7 მ), არტესტი (16 ქ), უილიამსონი (14 ქ).

**გ. სტეიტი-მაიამი 96:118**
29:30, 25:34, 17:31, 25:23
**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (21 ქ. 10 პ. 4 ჩ), მ. ელისი (17 ქ), აზუბუიკე (17 ქ), ბარნსი (15 ქ. 10 მ).
**მაიამი:** უეიდი (22 ქ. 10 მ. 9 პ), კაპონო (20 ქ), მოურნინგი (19 ქ. 5 დ), ჯეი. უილიამსი (11 მ. 12 პ).

**ლეიკერსი-ორლანდო 109:106**
26:29, 29:24, 27:28, 27:25
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28 ქ. 8 მ. 7 პ), ს. პარკერი (26 ქ), უოლტონი (12 ქ).
**ორლანდო:** დუაიტ ჰოვარდი (25 ქ. 10 მ), ჰილი (20 ქ), თურქოგლუ (18 ქ).

**სიეტლი-იუტა 122:114 (ო)**
21:26, 29:28, 23:19, 33:33, 16:8
**სიეტლი:** რ. ალენი (54 ქ. 10 მ), კოლისონი (25 ქ. 13 მ), უოტსონი (10 ქ. 16 პ. 4 ჩ).
**იუტა:** ბუზერი (32 ქ. 16 მ. 3 ჩ), ოქური (23 ქ), დერ. უილიამსი (15 ქ), კირილენკო (11 ქ).

**13 იანვარი**

**შარლოტი-ფილადელფია 89:83**
23:14, 19:20, 25:28, 22:21
**შარლოტი:** მორისონი (17 ქ), დ. ანდერსონი (15 ქ), ფელტონი (14 ქ), მეი (13 ქ. 10 მ).
**ფილადელფია:** უ. გრინი (19 ქ), კორვერი (15 ქ), იგუოდალა (14 ქ. 8 მ), დალემბერი (12 ქ. 15 მ).

**დეტროიტი-ბოსტონი 81:73**
26:27, 23:16, 11:17, 21:13
**დეტროიტი:** ჰემილტონი (22 ქ), რ. მიურეი (21 ქ), პრინსი (16 ქ), რ. უოლასი (10 ქ. 11 მ).
**ბოსტონი:** ჯ. გრინი (24 ქ), გომესი (17 ქ. 8 მ), ელ ჯეფერსონი (12 ქ. 22 მ).

**მინესოტა-ნიუ ჯერსი 109:98**
19:24, 27:24, 26:29, 37:21
**მინესოტა:** გარნეტი (32 ქ. 14 მ), რ. დევისი (17 ქ), ფოიე (16 ქ), ბლაუნტი (15 ქ), ჰასელი (13 ქ).
**ნიუ ჯერსი:** კიდი (24 ქ. 13 პ. 6 ჩ), კარტერი (24 ქ), რ. ჯეფერსონი (16 ქ), მური (8 ქ. 10 მ).

**სან ანტონიო-ვაშინგტონი 93:80**
29:15, 15:23, 25:16, 24:26
**სან ანტონიო:** ჯინობილი (19 ქ), დანკანი (18 ქ. 11 მ), ტ. პარკერი (13 ქ. 10 მ. 6 პ), ობერტო (5 ქ. 10 მ).
**ვაშინგტონი:** არენასი (17 ქ), კ. ბატლერი (10 ქ. 12 მ).

**ჩიკაგო-მემფისი 111:66**
37:21, 34:17, 26:19, 14:9
**ჩიკაგო:** გორდონი (24 ქ), ჰაინრიხი (20 ქ), დენგი (18 ქ), სუიტნი (13 ქ. 11 მ), ხრიაპა (12 ქ).
**მემფისი:** გასოლი (16 ქ. 13 მ), ატკინსი (14 ქ), მ. მილერი (13 ქ).

**ფინიქსი-ორლანდო 107:101**
30:25, 30:24, 30:34, 17:18
**ფინიქსი:** ნეში (23 ქ. 8 პ), დიაო (19 ქ. 11 პ. 9 მ), მერიონი (16 ქ. 7 მ. 5 ჩ), რ. ბელი (15 ქ), ა. სტაუდმაიერი (12 ქ. 10 მ), ბარბოზა (12 ქ).
**ორლანდო:** ნელსონი (26 ქ), თურქოგლუ (18 ქ), დულინგი (13 ქ).

**იუტა-მაიამი 110:119**
21:25, 27:39, 36:33, 26:22
**იუტა:** ბუზერი (28 ქ. 14 მ), დერ. უილიამსი (19 ქ), ჰარპრინგი (18 ქ), კირილენკო (11 ქ).
**მაიამი:** უეიდი (32 ქ. 10 პ), ჯეი. უილიამსი (20 ქ), კაპონო (18 ქ), მოურნინგი (13 ქ. 4 დ), ა. უოკერი (13 ქ).

**კლიპერსი-კლივლენდი 92:104**
27:24, 21:23, 21:32, 23:25
**კლიპერსი:** მაგეტი (22 ქ), კამანი (20 ქ. 9 მ), ბრენდი (16 ქ. 10 მ).
**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (28 ქ), ილგაუსკასი (20 ქ. 8 მ), სნოუ (18), ვარეჟაო (7 ქ. 12 მ).

**საკრამენტო-ჰიუსტონი 111:115 (ო)**
26:25, 26:21, 23:31, 26:24
**საკრამენტო:** არტესტი (34 ქ), უილიამსონი (30 ქ. 12 მ), აბდურ-რაჰიმი (15 ქ), კევ. მარტინი (14 ქ).
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (37 ქ. 9 პ), ალსტონი (22 ქ. 8 პ), ჯუვ. ჰოვარდი (17 ქ), ჰედი (14 ქ), მუტომბო (11 ქ. 18 მ).


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა